პაატა გუგუშვილის სახელობის
ეკონომიკის ინსტიტუტი

80

1944-2024

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი
80
1944-2024

თბილისი
2024

პაატა გუგუშვილის სახელობის

ეკონომიკის ინსტიტუტი

1944-2024

თბილისი
2024

UDC(უაკ) 061.62:33(479.22)
პ-121

წიგნი ეძღვნება პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მე-80 წლისთავს. აქ გაეცნობით ინსტიტუტის სამეცნიერო და საორგანიზაციო საქმიანობასა და მის თანამშრომლებს.

რედაქტორი **რამაზ აბესაძე**
ინსტიტუტის დირექტორი, ეკონომიკის
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

პასუხისმგებელი პირი **ზურაბ წერეთელი**

ლიტერატურული რედაქტორი **ნელი ქაფიანიძე**

© თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, 2024

ISBN 978-9941-36-271-2

სახელოვანი 80 წელი[1]

ეკონომიკური მეცნიერების ფლაგმანი თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი იუბილარია. მას დაარსებიდან 80 წელი შეუსრულდა. ეს გზა მან, წინააღმდეგობების მიუხედავად, ღირსეულად განვლო და ახლაც წარმატებით აგრძელებს იმ ტრადიციებს, რომელსაც მისმა პირველმა თაობამ ჩაუყარა საფუძველი, ინსტიტუტის დამაარსებლისა და პირველი დირექტორის აკადემიკოს პაატა გუგუშვილის მეთაურობით.

საშტატო განრიგი საკავშირო სახკომსაბჭოსთან არსებულმა საშტატო კომისიამ 1944 წლის 15 აპრილს დაამტკიცა, მუშაობას კი ინსტიტუტი ფაქტობრივად მაისიდან შეუდგა. საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება № 734 – „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან ეკონომიკის ინსტიტუტის მოწყობის შესახებ“, მიღებულ იქნა 1944 წლის 29 ივნისს, რომლის მიხედვითაც, ინსტიტუტის შტატი განისაზღვრა 16 ერთეულით (დირექტორი, სწავლული მდივანი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, სამი სექტორის გამგე, სამი უფროსი და სამი უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი, ბიბლიოთეკის გამგე და ოთხი ადმინისტრაციულ-სამეურნეო პერსონალი).

მაშასადამე, ინსტიტუტი ოფიციალურად 1944 წლის 29 ივნისს დაფუძნდა. სწორედ ამიტომაც, 2009 წელს ინსტიტუტის დირექციისა და სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით, 29 ივნისი ინსტიტუტის დაარსების დღედ გამოცხადდა

---

[1] წიგნი წარმოადგენს წიგნის:, „პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი 1944-2019”, გაგრძელებას. თბ., „პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2019.

და მას შემდეგ ამ დღეს არაერთი ღონისძიება ეძღვნება. ამის დასტურია თვით ეს წიგნი.

ინსტიტუტის პირველი მეცნიერი თანამშრომლები იყვნენ: პროფ. **პაატა გუგუშვილი** (დირექტორი, განყოფილების გამგე), **აკაკი კაკაბაძე** (სწავლული მდივანი), ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. **ნიკოლოზ იაშვილი** (სექტორის გამგე), ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. **იოსებ ბაჯაძე** (სექტორის გამგე), ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. **ივანე ჯაში** (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი), ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. **ლევან ასათიანი** (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი), **ლუარსაბ კარბელაშვილი** (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი), **ნიკოლოზ ტყეშელაშვილი** (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი), **ნიკანდრო ჯაკობია** (უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი,) **შურა მარგველაშვილი** (უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი), **ია ყიფშიძე** (უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი), **მარი კაპანელი** (უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი). შემდეგ უახლოეს წლებში (1945-1950) ინსტიტუტში მუშაობას იწყებენ: **ფილიპე გოგიჩაიშვილი, ვასილ ჩანტლაძე, ვალერიან მელქაძე, სერგი ბერაძე, ვალერიანე ბახტაძე, კირილე ღოღობერიძე, მიხეილ გველესიანი, მიხეილ კახეთელიძე, ვლადიმერ პაპავა (უფროსი), ნიკო დგებუაძე, დიმიტრი ქორიძე, ანდრო ფაცურია, ნიჟა ხურციძე, რაფიელ ხარბედია, ბექირბი ხასია, აპოლონ ნუცუბიძე, მამულო კეკელიძე, ქეთევან დადიანი, თამარ ლაბაძე.**

ინსტიტუტის პირველ სამეცნიერო საბჭოში შედიოდნენ: პროფესორი **პაატა გუგუშვილი** (ინსტიტუტის დირექტორი), აკადემიკოსი **სიმონ ჯანაშია,** აკადემიკოსი **ნიკო კეცხოველი,** პროფესორები: **ფილიპე გოგიჩაიშვილი, გიორგი გეხტმანი** და **ნიკოლოზ ქოიავა,** დოცენტები: **აკაკი კაკაბაძე** (ინსტიტუტის სწავლული მდივანი), **იოსებ ბაჯაძე, ნიკო**

იაშვილი, ივანე ჯაში, ლუარსაბ კარბელაშვილი, ნიკოლოზ ტყეშელაშვილი, ირაკლი მიქელაძე, საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარი **კონსტანტინე ციმაკურიძე,** სტატისტიკის სამმართველოს უფროსი **გ. ფერაძე,** მიწსახკომის საკოლმეურნეო განყოფილების უფროსი, დოცენტი **შ. ჭელიძე.**

* * *

მართალია, ინსტიტუტის დაარსებასა და მის შემდგომ განვითარებაში ყველა მისმა პირველდამფუძნებელმა შეიტანა დიდი წვლილი, მაგრამ ამ მხრივ, მაინც, ფასდაუდებელია აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დამსახურება.

იმ დროისათვის ბატონი პაატა უკვე სახელმოხვეჭილი პროფესორი იყო, იგი დიდ ინიციატივას იჩენდა საქართველოში ეკონომიკის ინსტიტუტის დასაარსებლად და მთავრობამ სწორედ მას დაავალა ინსტიტუტის ფორმირების ორგანიზება, რაც მან პირნათლად შეასრულა. თავის გარშემო შემოიკრიბა მეცნიერ ეკონომისტთა საუკეთესო ნაწილი, სწორად განსაზღვრა ინსტიტუტის სტრუქტურა და სამუშაო თემატიკა, რითაც მას განვითარების სწორი მიმართულება მისცა.

ბატონმა პაატამ თავისი პიროვნული თვისებებით, დაუღალავი, მრავალმხრივი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობით განაპირობა ინსტიტუტის დიდი ავტორიტეტი და მისი ფასდაუდებელი როლი საქართველოში ეკონომიკური მეცნიერების განვითარების საქმეში.

* * *

გარკვეულ პერიოდამდე ინსტიტუტში არსებობდა სამი სამეცნიერო დანაყოფი: სოფლის მეურნეობის სექტორი

(პროფესორი **ნიკო იაშვილი),** მრეწველობის ეკონომიკის სექტორი (დოც. **იოსებ ბაჯაძე)** და სახალხო მეურნეობის ისტორიის სექტორი (პროფესორი **პაატა გუგუშვილი).**

ინსტიტუტში სხვადასხვა დროს ეკონომიკის განხრით ფუნქციონირებდა შემდეგი განყოფილებები: სოფლის მეურნეობის ეკონომიკის განყოფილება (გამგეები: ემდ, პროფ. **ნიკო იაშვილი,** ემდ, პროფ. **აპოლონ ნუცუბიძე,** ემდ, პროფ. **მიხეილ კახეთელიძე,** ემდ, პროფ. **ამირან ჯიბუტი);** სახალხო მეურნეობის ისტორიის (აკად. **პაატა გუგუშვილი);** მრეწველობის ეკონომიკის (ემკ **იოსებ ბაჯაძე,** ემდ, პროფ. **კანდიდ ჩარკვიანი,** აკად. **ავთანდილ გუნია);** სოციალისტური წარმოების გაადგილების (ემდ **აკაკი კაკაბაძე);** პოლიტიკური ეკონომიის (აკად. **ავთანდილ გუნია,** ემდ, პროფ. **აპოლონ ნუცუბიძე,** ემკ **მერაბ გველესიანი);** სტატისტიკის (ემდ, პროფ. **მიხეილ კახეთელიძე);** მიმოქცევის (ემდ, პროფ. **აკაკი კაკაბაძე);** სახალხო მეურნეობისა და ეკონომიკური აზრის ისტორიის (აკად. **პაატა გუგუშვილი);** საბჭოთა ეკონომიკისა და ეკონომიკური აზრის განვითარების (ემდ, პროფ. **ბექირბი ხასია);** საქართველოს ეკონომიკის ისტორიის (ემდ, პროფ. **ბექირბი ხასია,** ემკ **ნათია შიოლაშვილი);** სოციოლოგიის (აკად. **პაატა გუგუშვილი);** აღრიცხვისა და ფინანსების (ემკ **შალვა ბურდული);** სოციალისტური აღწარმოების (აკად. **ავთანდილ გუნია);** საქართველოს ეკონომიკის განვითარების განზოგადებისა და ქართული ეკონომიკური აზრის ისტორიის განყოფილება (ემდ, პროფესორი **მიხეილ ჯიბუტი,** ემდ **მიხეილ თოქმაზიშვილი,** ემდ, პროფ. **ვალერიან დათუკიშვილი**); მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეკონომიკურ პრობლემათა (აკად. **ავთანდილ გუნია,** ემკ **ილია რუბინშტეინი,** ემდ **თამაზ ჩიკვაიძე);** აღწარმოებისა და კაპიტალურ დაბანდებათა

ეკონომიკური ეფექტიანობის (ემდ **არჩილ თეთრაული);** აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკურ პრობლემათა (ემკ **დურსუნ დიასამიძე,** ემკ **თენგიზ ქავთარაძე);** ეკონომიკური განვითარების (ემდ **გივი ბედიანაშვილი,** ემდ, პროფ. **რამაზ აბესაძე);** არასაწარმოო სფეროს ეკონომიკურ პრობლემათა განყოფილება (ემკ **რევაზ ჯავახიშვილი);** სოციალისტური ეკონომიკის განვითარების გამოცდილების განზოგადებისა და ქართული ეკონომიკური აზრის ისტორიის (იმდ, პროფ. **ალექსანდრე ბრეგვაძე);** დემოგრაფიისა და სოციოლოგიის (აკადემიკოსი **პაატა გუგუშვილი,** ემდ **ავთანდილ სულაბერიძე);** ეკონომეტრიკის (ფ/მმკ **როლანდ სარჩიმელია);** მაკროეკონომიკის **(ემდ არჩილ თეთრაული,** ემკ **ნანული არევაძე);** მიკროეკონომიკის (ემკ **ზურაბ სოსელია,** ემდ **თემურ ბერიძე,** ემდ, პროფ. **გიორგი პაპავა,** ემდ, პროფ. **რამინ მითაიშვილი,** ემკ **იზა ნათელაური);** საფინანსო და საბანკო სისტემების (ემდ **მიხეილ როკეტლიშვილი,** ემკ **თინა ქურდაძე);** რეგიონული ეკონომიკის (ემკ **ვახტანგ ბურდული);** აგრარული ეკონომიკის (ემკ **დურსუნ დიასამიძე);** ბუნებათსარგებლობის ეკონომიკის (ემდ, პროფესორი **გიორგი წერეთელი);** ეკონომიკურ პროცესთა მართვის (ემდ, პროფ. **გიორგი ბერულავა);** ფინანსების, ბუღალტრული აღრიცხვის, სტატისტიკისა და აუდიტის (ემკ **თეა ლაზარაშვილი);** აგრარული, რეგიონული ეკონომიკის (ემდ **ვახტანგ ბურდული);** ეკონომიკური ინფორმატიკის (ემკ **ნანა ბიბილაშვილი);** ეკონომიკური აზრისა და სახალხო მეურნეობის ისტორიის (ემდ, პროფ. **ბექირბი ხასია).** გარდა განყოფილებებისა ინსტიტუტში ასევე ფუნქციონირებდა შემდეგი სამეცნიერო ლაბორატორიები: მართვის ეკონომიკური პრობლემების (ემდ **ვახტანგ ბურდული);** სისტემური გამოკვლევებისა და თბილისის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კომპლექსური პროგრამის შემუშავების მეთოდოლო-

გიის (ემდ **გივი ბედიანაშვილი);** ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ეკონომიკურ პრობლემათა (ემკ **თენგიზ ხოშტარია,** ემდ **ლეო ჩიქავა);** აღრიცხვისა და ფინანსების მართვის ავტომატიზებული სისტემის ფუნქციონირების ეკონომიკური ეფექტიანობის (ემკ **შალვა ბურდული);** შრომის ესთეტიკის (ფ/მმდ **ა. ჩხარტიშვილი);** სოციალური ინფრასტრუქტურის ეკონომიკის (ემკ, დოც. **რევაზ ჯავახიშვილი);** ინფორმატიკის (ემკ **გივი ლემონჯავა);** საგარეო ეკონომიკური კავშირების (ემკ **იზა ნათელაური);** მარკეტინგის (ემკ **მალხაზ შუბითიძე);** მენეჯმენტის (ემკ **თამაზ აქუბარდია);** მეურნეობრიობის ახალი ფორმების (ემდ **უშანგი სამადაშვილი);** რეგიონული მართვის (ემდ **ვახტანგ ბურდული);** აგრობიზნესის (ემკ **თენგიზ ქავთარაძე);** სოფლის მეურნეობაში საბაზრო ურთიერთობათა კვლევის (ემკ **ლინა დათუნაშვილი);** ენერგოეკოლოგიის ეკონომიკურ პრობლემათა (ემდ **რამაზ აბესაძე);**

* * *

ინსტიტუტში დაგროვებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით ჩამოყალიბდა ეკონომიკური პროფილის რამდენიმე განყოფილება (მათ შორის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის დ. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის (1958), ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახელობის (1958) და ცხინვალის სამეცნიერო-კვლევითი (1946) ინსტიტუტების ეკონომიკური განყოფილებები).

თავისი არსებობის მანძილზე ინსტიტუტმა არაერთგზის განიცადა ცვლილება. 1957 წელს მის შემადგენლობაში შეიქმნა სამართლის განყოფილება, რომელიც მალე გარდაიქმნა სექტორად (ხელმძღვანელი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **თინათინ წერეთელი.** თა-

ნამშრომლები: **ივანე სურგულაძე, ლამარა სურგულაძე, დავით ფურცელაძე, ვლადიმერ მაყაშვილი, ისიდორე დოლიძე, თამარ ცაგურია, გიორგი ნადარეიშვილი, თენგიზ ლილუაშვილი, აკაკი მენაბდე, გივი ჟვანია, ალბერტ აბესაძე, დიმიტრი ბარათაშვილი, რევჯინალდ დეკანოზოვი, ბადრი ხასან ფარვიზფური, ხუტა როგავა, რევაზ ჩიჩუა, მიხეილ კეკელია, ოთარ გამყრელიძე, ბესარიონ ზოიძე, იაკობ ფუტკარაძე, ჯონი ხეცურიანი, ელენე მისკარიანი, გიორგი ტყეშელიაძე, ლევან გიორგაძე, თედო ნინიძე, კარლო ბზიშვილი, ნიბლია უგრეხელიძე, მინდია უგრეხელიძე, მზია ლეკვეიშვილი, ჯამლეტ ბაბილაშვილი, თამარ ებრალიძე, გიორგი თოდრია, ირაკლი გოძიაშვილი, სულხან გოგინავა, რუსუდან ბაქანიძე, ედუარდ კემულარია, გივი გოლოშვილი, დოდო ჯულუხაძე, ჯემალ ლეონიძე, ჯუმბერ რუსიაშვილი, მურთაზ გულედანი, მარიკა ცისკაძე, ქეთინო გაბელაია, ბესარიონ სეხნიანიძე, დავით ნადირაძე, მედიკო გვაზავა, მერაბ გელოვანი, თემურ გამცემლიძე, გოგი ლეჟავა, დავით დარახველიძე, გია ჭიღვარია, მაია ჩხატარაიშვილი, რევაზ ცინცაძე, თემურ ჯაფარიძე)** და რის გამოც მას 1958 წელს ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი ეწოდა. 1988 წელს სამართლის სექტორი სამართლის ცენტრად გადაკეთდა (პროფ. **თამაზ შავგულიძე).**

ინსტიტუტის სამართლის სექტორი ქართული იურიდიული მეცნიერების განვითარების კერად იქცა. მის წიაღში იურისტ მეცნიერთა მთელი თაობა აღიზარდა, რომელთა ნაშრომები მრავალ უმნიშვნელოვანეს პრობლემას (კრიმინოლოგიის, საერთაშორისო სამართლის, სახელმწიფოსა და სამართლის, სამოქალაქო სამართლის და სხვ.) ეძღვნება, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს ეროვნულ სამართალშემოქმედებით წინსვლაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენ-

ტის **თინათინ წერეთელის** მოღვაწეობდა, რომლის სამეცნიერო შრომებმა ეროვნულ იურიდიულ მეცნიერებას საყოველთაო აღიარება მოუტანა. ასევე აღსანიშნავია **ისიდორე დოლიძის, ვლადიმერ მაყაშვილის, თამაზ შავგულიძის, დავით ფურცელაძის, გიორგი ნადარეიშვილის, გივი ჟვანიას, თენგიზ ლილუაშვილის, ოთარ გამყრელიძის, იაშა ფუტკარაძის, ჯონი ხეცურიანის, ბესარიონ ზოიძის, ლაშა ბრეგვაძის** და სხვათა ნაშრომები.

XX საუკუნის 70-იანი წლებიდან ეკონომიკაში მათემატიკური მეთოდებისა და გამოთვლითი ტექნიკის გამოყენების მიმართულებით დაწყებულ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებში ჩართული იყვნენ ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი **სერგო ბუაჩიძე,** ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი **ბიძინა კელენჯერიძე,** ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი **ზურა გალდავა,** უმცროსი მეცნიერი თანამშრომლები **დავით კურტანიძე, დავით ჯაფარიძე, მზია ქებურია,** ამასთან, **დავით კურტანიძე** და **მზია ქებურია** ეკონომიკურ-მათემატიკური მიმართულებით ინსტიტუტის პირველი ასპირანტები იყვნენ (ხელმძღვანელი **ბიძინა კელენჯერიძე).** აკადემიკოს **პაატა გუგუშვილის** წინადადებით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა **ილია ვეკუამ** თსუ გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტიდან ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში ეკონომიკის მათემატიკურ-კიბერნეტიკული კვლევების გასაღრმავებლად ბრძანებით გადმოიყვანა 50-მდე თანამშრომელი, ძირითადად მათემატიკოსები. შედეგად, 1973 წლიდან ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში ფუნქციონირება დაიწყო ეკონომიკურ-მათემატიკური კვლევისა და მათემატიკური სტატისტიკის სექტორმა (ხელმძღვანელი ფ/მმდ, პროფ. **გვანჯი მანია),** რომელთანაც ერთად სექტორის მუშაობას

ახალგაზრდა პერსპექტიული მეცნიერი **რევაზ ჩიტაშვილი** წარმართავდა. მოგვიანებით სექტორის საორგანიზაციო საქმეები დაევალა ფ/მმკ **თენგიზ შერვაშიძეს.**

სექტორში თავიდან შედიოდა ორი განყოფილება და ერთი ჯგუფი. შემდეგ სექტორი გაფართოვდა და წარმოდგენილი იქნა ხუთ განყოფილებად: ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **ელიზბარ ნადარაია,** 1981 წლიდან ფ/მმდ **თენგიზ შერვაშიძე);** მართვადი შემთხვევითი პროცესების სტატისტიკის (ფ/მმდ **რევაზ ჩიტაშვილი);** სოციალურ-ეკონომიკური პროგნოზირებისა და ოპტიმალური პროგრამირების (ფ/მმკ **როლანდ სარჩიმელია);** შემთხვევითი პროცესების სტატისტიკის (ფ/მმდ **ომარ ღლონტი);** სტატისტიკურ გადაწყვეტილებათა განყოფილება (ფ/მმდ **ესტატე ხმალაძე).** სექტორში ასევე მუშაობდა პროგნოზირების მეთოდოლოგიის ჯგუფი (ვიქტორ **სარაჯიშვილი).**

სექტორის შემადგენლობაში მუშაობდნენ მეცნიერ თანამშრომლები: **გურამ ბერიშვილი, შოთა ბერიძე, ირაკლი ბოკუჩავა, ტრისტან ბუაძე, მიხეილ ბრეგვაძე, ნიკო გამყრელიძე, ლეილა გვანცელაძე, დიმიტრი დუნდუა, ოფელია ებრალიძე, შორენა ებრალიძე, ნუგზარ ელბაქიძე, სიმონ ელოშვილი, ზურაბ ზერაკიძე, ნანული ლაზრიევა, გივი ლემონჯავა, ქეთევან მანჯგალაძე, იოსებ მელამედი, გურამ მირზაშვილი, ედიკ მნაცაკანოვი, მარინა მუჩიაშვილი, ელიზბარ ნადარაია, აჩიკო ოსიძე, რეზო სალია, ვიქტორ სარაჯიშვილი, როლანდ სარჩიმელია, გია სოხაძე, მერი ტალახაძე, თემურ ტორონჯაძე, როლანდ ტყებუჩავა, ვოვა ფელკერი, გივი ფიფია, ვოვა ფრიშლინგი, მზია ქებურია, გია ქინქლაძე, ომარ ღლონტი, თამაზ შაფათავა,**

მალხაზ შაშიაშვილი, თენგიზ შერვაშიძე, ლია ჩიტაშვილი, რევაზ ჩიტაშვილი, ელენე ჩიქოვანი, მერი ჩხეტია, ზურაბ ძაგნიძე, რევაზ ჭეიშვილი, ბადრი ხარაძე, ციალა ხახუ-ბია, ესტატე ხმალაძე, ლევან ჯამბურია.

სექტორში ჩატარებული სამეცნიერო სამუშაოებიდან აღ-სანიშნავია **რევაზ ჩიტაშვილის, ესტატე ხმალაძის, ელიზ-ბარ ნადარაიას, როლანდ სარჩიმელიას, ომარ ღლონტის, თენგიზ შერვაშიძის, ნანული ლაზრიევას, მზია ქებურიას, გივი ლემონჯავას, თემურ ტორონჯაძის, მიხეილ მანიას, ლია ჩიტაშვილის, ელენე ჩიქოვანის, გურამ მირზაშვილის, მერი ტალახაძის, ლევან ჯამბურიას** ნაშრომები.

ეკონომიკურ-მათემატიკურ გამოკვლევათა და მათემა-ტიკური სტატისტიკის სექტორის მეცნიერ მუშაკთა ძირითა-დი ნაწილი 1983 წელს შეუერთდა საქართველოს მეცნიერე-ბათა აკადემიის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტს, მეცნიერ მუშაკთა დანარჩენი ნაწილი გადაყვა-ნილ იქნა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელ-მწიფო უნივერსიტეტში და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საწარმოო ძალთა შემსწავლელი კომისიის შემად-გენლობაში. ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში დარ-ჩა სოციალურ-ეკონომიკური პროგნოზირებისა და ოპტიმა-ლური პროგრამირების განყოფილება, რომელიც ინსტიტუ-ტის დირექტორის აკად. **ავთანდილ გუნიას** ინიციატივით ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების სექტორად გა-დაკეთდა (ემდ **როლანდ სარჩიმელია).**

ეკონომიკურ-მათემატიკური კვლევის მიმართულების ძლიერი სამეცნიერო პოტენციალი თსუ ეკონომიკური კი-ბერნეტიკის კურსდამთავრებულთა და ასპირანტთა ახალ-გაზრდა პერსპექტიული მეცნიერული კადრებით შეივსო.

* * *

ინსტიტუტის ბაზაზე 1963, 1989 და 1991 წლებში შეიქმნა სამი დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი: საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის ინსტიტუტი (დამფუძნებელი და პირველი დირექტორი პროფესორი **ვალერიან მელქაძე,** თანამშრომლები: **კანდიდ ჩარკვიანი, ნანული არევაძე, დომენტი მოურავიძე, გურამ ყუფუნია, გია ფირცხალავა, ალექსანდრე წერეთელი, ნიჟა ხურციძე, ილია მანაშეროვი);** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი (დამფუძნებელი და პირველი დირექტორი, პროფესორი **თამაზ შავგულიძე,** ამჟამად დირექტორი პროფესორი **ლაშა ბრეგვაძე);** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიის ინსტიტუტი (დამფუძნებელი და პირველი დირექტორი, პროფესორი **ლეო ჩიქავა,** ამჟამად დირექტორი პროფესორი **ავთანდილ სულაბერიძე).**

1989 წელს ინსტიტუტს კვლავ ეკონომიკის ინსტიტუტი ეწოდა, ხოლო 1991 წლიდან მაშინდელი დირექტორის, პროფესორ **ვლადიმერ პაპავას** ინიციატივით მისი დამაარსებლის აკადემიკოს **პაატა გუგუშვილის** სახელი მიენიჭა.

2006 წელს ინსტიტუტი გამოყვანილ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობიდან და ჩამოყალიბდა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად და ეწოდა „სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი“.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 ოქტომბრის №103 დადგენილების შესაბამისად, სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი რეორგანიზებულ იქნა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევითი ერთეულად.

* * *

ინსტიტუტის დაარსებიდან არაერთმა მეცნიერ-თანამშრომელმა გამოიჩინა თავი სამეცნიერო მოღვაწეობით. სამეცნიერო პროდუქციის სიუხვით გამოირჩეოდნენ: **პაატა გუგუშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, ავთანდილ გუნია, ვასილ ჩანტლაძე, ვალერიან ბახტაძე, მიხეილ გველესიანი, ნიკო იაშვილი, აკაკი კაკაბაძე, ლუარსაბ კარბელაშვილი, მიხეილ კახეთელიძე, აპოლონ ნუცუბიძე, გრიგოლ ქარჩავა, ბექირბი ხასია, ვალიკო ჯიბლაძე, კირილე ღოღობერიძე** და სხვა. 60-იან წლებში და 70-იანი წლების პირველ ნახევარში მათ შეუერთდათ: **იზოლდა აბაშიძე, ნანული არევაძე, ვლადიმერ ახალაია, ოთარ ავალიშვილი, ლეო ბალანჩივაძე, ალექსანდრე ბრეგვაძე, ლეილა გუგუშვილი, რევაზ გოგოხია, შალვა ბურდული, ვალერიან დათუკიშვილი, დურსუნ დიასამიძე, გრიგოლ თოდუა, ანზორ თოთაძე, არჩილ თეთრაული, იური კაპანაძე, შურა მარგველაშვილი, გიორგი მშვილდაძე, ვალენტინა მიშინა, ნოე პაიჭაძე, გიორგი პაპავა, ვალიკო რეხვიაშვილი, სერგო სოსელია, არჩილ სტეფანიშვილი, გია ფირცხალავა, რაფაელ ხარბედია, კანდიდ ჩარკვიანი, გურამ ყუფუნია, დალი შენგელია, როზეტა ცხადაია, ალექსანდრე წერეთელი, თენგიზ ხოშტარია, რეზო ჯავახიშვილი, ამირან ჯიბუტი** და სხვები.

განსაკუთრებით შესამჩნევი და მნიშვნელოვანია ავტორთა ზრდა 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან. ამ პერიოდში აქტიურ სამეცნიერო ასპარეზზე გამოვიდნენ: **რამაზ აბესაძე, თამაზ აქუბარდია, რამაზ ახმეტელი, გივი ბედიანაშვილი, ციალა ბენაშვილი, თემურ ბერიძე, გიორგი ბერულავა, ვახტანგ ბურდული, თემურ ბრელიძე, მარინა ბეგთაბეგიშვილი, ვალიკო ბუჩუკური, ციცინო გვრიტიშ-**

ვილი, მერაბ გველესიანი, ლილი გვენეტაძე, ლინა დათუ-ნაშვილი, ხვთისო დარისპანაშვილი, ბონდო ზარნაძე, ლია თოთლაძე, გია თოფურია, მიხეილ თოქმაზიშვილი, ეთერ კაკულია, ნაზირა კაკულია, ოთარ კანდელაკი, არჩილ კო-ბახიძე, ევგენი კირიკოვი, თეა ლაზარაშვილი, გივი ლე-მონჯავა, მედეა მელაშვილი, ელგუჯა მექვაბიშვილი, მა-რინა მუჩიაშვილი, მაკა მდინარაძე, იზა ნათელაური, კო-ტე ნიჟარაძე, ვლადიმერ პაპავა, დავით პაქსაშვილი, ზუ-რაბ რევიშვილი, მიხეილ როკეტლიშვილი, როლანდ სარ-ჩიმელია, ზურაბ სოსელია, აზიკო სისვაძე, ავთანდილ სუ-ლაბერიძე, უშანგი სამადაშვილი, ამირან სხირტლაძე, ნო-დარ ულუმბერაშვილი, მზია ქებურია, თემურ ქოჩიაშვი-ლი, თენგიზ ქავთარაძე, ნუნუ ქისტაური, თინა ქურდაძე, ნათია შიოლაშვილი, თამაზ ჩიკვაიძე, ელენე ჩიქოვანი, თინათინ ჩხეიძე, რომან ხარბედია, ქეთევან წიკლაური, ნუგზარ ცომაია, მარინე ცუცქირიძე, გიორგი წერეთელი, მიხეილ ჯიბუტი, მამუკა ხუსკივაძე, ნუნუ ყრუაშვილი და სხვები. აღსანიშნავია ისიც, რომ **გიორგი წერეთლის, ხვთი-სო დარისპანაშვილის, თემურ ბერიძისა და უშანგი სამა-დაშვილის** მონოგრაფიებს სხვადასხვა წლებში მიენიჭა სა-ქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სპეციალური მედალი და პრემია ახალგაზრდა მეცნიერთა საუკეთესო მეცნიერუ-ლი ნამუშევრებისათვის.

2000-2003 წლებში აქტიური სამეცნიერო და პედაგოგიუ-რი მოღვაწეობისთვის საქართველოს ღირსების ორდენით დაჯილდოვდნენ ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: **რამაზ აბესაძე, იოველ ასათიანი, ვალერი-ან დათუკიშვილი, გიორგი პაპავა, როლანდ სარჩიმელია, გიორგი წერეთელი;** სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **თინა ჩხეიძე,** ეკონომიკურ მეცნიე-

რებათა კანდიდატი **იური კაპანაძე,** ღირსების მედლებით ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, **პროფესორი არჩილ თეთრაული;** ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატები, დოცენტები: **ლინა დათუნაშვილი, იზა ნათელაური.**

ეკონომიკის ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ გამოცემულია მრავალი ნაშრომი. მათგან აღსანიშნავია აკადემიკოსების **პაატა გუგუშვილის, ავთანდილ გუნიას** და **ვასილ ჩანტლაძის,** აკადემიკოს **ვლადიმერ პაპავას** და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის **ლეო ჩიქავას,** პროფესორების: **გიორგი წერეთლის, რამაზ აბესაძის, გიორგი პაპავას, თამაზ ჩიკვაიძის, ალფრედ კურატაშვილის, ვახტანგ ბურდულის, გიორგი ბერულავასა** და სხვათა მონოგრაფიები. მნიშვნელოვანია „ეკონომიკის ინსტიტუტის შრომების“ კრებულის (მთავარი რედაქტორი **პაატა გუგუშვილი**) თხუთმეტი ტომის, კრებულის – „ეკონომიკა“ – ექვსი ტომის (მთავარი რედაქტორი **პაატა გუგუშვილი),** ინსტიტუტის თემატური სამეცნიერო ნაშრომთა კრებულის „საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში“ ოთხი ტომის (პროფ. **გიორგი წერეთლის** რედაქციითა და წინასიტყვაობით), „პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებულის“ თექვსმეტი ტომის (მთავარი რედაქტორი ემდ, პროფ. **რამაზ აბესაძე**), „საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ზოგიერთი მიმართულება: მოსაზრებები, წინადადებები, რეკომენდაციები“ (რედაქტორი ემდ, პროფ. **რამაზ აბესაძე);** საერთაშორისო და ეროვნული კონფერენციების მასალათა თექვსმეტი კრებულის (მთავარი რედაქტორი ემდ, პროფ. **რამაზ აბესაძე);** ასევე კოლექტიური ნაშრომები „ეკონომიკურად დამოუკიდებელი საქართველოს კონცეპტუალურ-ნორმატიული მოდელი“ (ხელ-

მძღვანელი ემდ, პროფ. **ვლადიმერ პაპავა**), „სუვერენული საქართველოს ეკონომიკის განვითარების კონცეფცია“ (ხელმძღვანელი აკად. **ავთანდილ გუნია**) და „საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კონცეფცია“ (ხელმძღვანელი ემდ, პროფ. **ვლადიმერ პაპავა**),

* * *

ინსტიტუტის კოლექტივი წარმატებით ახორციელებს კვლევის შედეგების ცალკე ნაშრომებად გამოცემას. 2000 წლიდან გამოიცა მრავალი ნაშრომი, რომელთაგან აღსანიშნავია: „პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა“ (ვლადიმერ პაპავა); „**Necroeconomics**: **The Political Economy of Post-Communist Capitalism**” (ვლადიმერ პაპავა); **„ცენტრალური კავკაზია (გეოპოლიტეკონომიური ნარკვევი)“** (ვლადიმერ პაპავა); „**ნეკროეკონომიკის ზომბირება (გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის ზეგავლენა შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებზე)**“ (ვლადიმერ პაპავა); **Economic Reforms in Post-Communist Georgia: Twenty Years After** (ვლადიმერ პაპავა); **Laffer-Keynesian Synthesis and Macroeconomic Equilibrium** (ვლადიმერ პაპავა, თანაავტორი იური ანანიაშვილი); **„გარემო ბუნების დაცვის პროცესთა ეკონომიკური რეგულირების საკითხები საბაზრო ურთიერთობების პირობებში“** (გიორგი წერეთელი); **„პოსტკომუნისტურ ქვეყანაში უმუშევრობით გამოწვეული ნეგატიური ეკონომიკური შედეგების განსაზღვრისა და შემცირების გზები (საქართველოს მაგალითზე)“** (გიორგი წერეთელი, ნანა ბიბილაშვილი); **„ეკონომიკური განვითარება“** (პროფესორი რამაზ აბესაძე); **„ეკონომიკური განვითარება და ეკონომიკური რეგრესი“** (რამაზ აბესაძე); **„მცირე ბიზნესის მაკროეკო-**

ნომიკური რეგულირების მექანიზმი საქართველოში“ (რამაზ აბესაძე, ემკ ეთერ კაკულია); **„Сруктурные и инновационные проблемы экономического развития“** (რამაზ აბესაძე, ვახტანგ ბურდული); **„Foreign experience and formation innovation system Georgia“** (რამაზ აბესაძე, ვახტანგ ბურდული); **„Методология познания качеств реалий смешанной рыночной экономики и паралогизмы“** (გიორგი პაპავა); **„ეკონომიკური განვითარებისა და პროგნოზირების პრობლემები“** (რამაზ აბესაძე, როლანდ სარჩიმელია, ნანული არევაძე, მედეა მელაშვილი); **„საით მიდის საქართველო? სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური ანალიზი“** (როზეტა ასათიანი); **„საბაზრო ეკონომიკა და სოფლის მეურნეობა“** (თინათინ ჩხეიძე); **„პოლიტიკური მენეჯმენტის ფილოსოფიურ-სამართლებრივი საფუძვლები“** (ალფრედ კურატაშვილი), **„კონსტიტუცია: ხალხის ინტერესებისადმი მისი დაქვემდებარების პოლიტიკურ-სამართლებრივი მექანიზმები“** (ალფრედ კურატაშვილი), **„ჰუმანოსოციალური სახელმწიფოს და მისი სამართლებრივი სისტემის შექმნისა და ფუნქციონირების თეორიული საფუძვლები“** (ალფრედ კურატაშვილი); **„ქვეყნის ეკონომიკური განვითარების რეგულირების მექანიზმი და მისი პრაქტიკული რეალიზაციის გზები (საქართველოს მაგალითზე)“** (ვახტანგ ბურდული); **„საქართველოს მთავრობის ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის უსაფრთხოების ასპექტის გაძლიერება“** (გიორგი ბერულავა); **„ეკონომიკური და სოციალური მოწყვლადობა საქართველოში“** (გიორგი ბერულავა, თანაავტორები: ფრ. გასმანი, მ. თოქმაზიშვილი)); **„აგროეკონომიკისა და აგრობიზნესის საკითხები“** (თინა ჩხეიძე); **„ილია ჭავჭავაძე და კაპიტალიზმის პრობლემები საქართველოში“** (მურმან კვარაცხელია);

„საერთაშორისო ბიზნესის პრობლემები“ (რევაზ ჯავახიშვილი); **„ინფლაციური პროცესები: შეფასება და რეგულირება (საქართველოს მაგალითზე)“** (თეა ლაზარაშვილი, ლია თოთლაძე); **„საგარეო-ეკონომიკური კომპლექსის ფუნქციონირება და განვითარება“** (იზა ნათელაური); **„საერთაშორისო ეკონომიკის და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის თანამედროვე პრობლემები მცირე ღია ეკონომიკის ქვეყნებში“** (იზა ნათელაური); **„მეაბრეშუმეობის ეკონომიკის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების ღონისძიებები საქართველოში“** (ლინა დათუნაშვილი); **„Нобелевские лауреаты по экономике и их вклад в развитие экономической науки“** (ნატა დავლაშერიძე); **„აგრარული რეფორმა საბაზრო ეკონომიკის პირობებში“** (თენგიზ ქავთარაძე); **„სამრეწველო ფირმის მართვის სრულყოფის აქტუალური საკითხები“** (ნუნუ ქისტაური); **„ეკონომეტრიკის მეთოდების გამოყენების საკითხები და ძირითადი ეკონომეტრიკული მოდელები“** (მარინე ცუცქირიძე); **„ეროზიული ნიადაგების რეკულტივაციის ეკონომიკურ-ეკოლოგიური ეფექტიანობა“** (ქეთინო ქველაძე) და სხვები.

* * *

ეკონომიკის ინსტიტუტში ტრადიციულად დიდი ყურადღება ექცეოდა და ექცევა დისციპლინათშორის კვლევას. მისი დაარსების დღიდანვე გაიშალა მუშაობა ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგიის შესაქმნელად. 1947 წელს გამოიცა რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ეკონომიკური ტერმინოლოგია, რომლის შექმნაში მონაწილეობდნენ: **პაატა გუგუშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, ვასილ ჩანტლაძე, იოსებ ბაჯაძე, ნიკო დგებუაძე, აკაკი კაკაბაძე, ლუარსაბ კარბელაშვილი, აპოლონ ნუცუბიძე, ია ყიფშიძე და**

სხვ. (აღნიშნული მუშაობა მიმდინარეობდა ენათმეცნიერებთან თანამშრომლობით).

დისციპლინათაშორისი კვლევა ინსტიტუტში განსაკუთრებით გააქტიურდა XX საუკუნის 70-იან და 80-იან წლებში. მნიშვნელოვანი შედეგები იქნა მიღებული ეკონომიკურ-მათემატიკური და სისტემური გამოკვლევების მიმართულებით, როგორც თეორიულ-მეთოდოლოგიური, ისე პრაქტიკულ-გამოყენებითი კუთხით, წარმატებით მიმდინარეობდა ეკოლოგიის ეკონომიკური პრობლემების კვლევა. იყო ცდა, ინტენსიური გამხდარიყო კვლევა ეკონომიკისა და ფილოსოფიის, ეკონომიკისა და ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და ესთეტიკის საერთო პრობლემებზე. ნაყოფიერი მუშაობა მიმდინარეობდა მეცნიერების, განათლებისა და ჯანდაცვის ეკონომიკის სფეროებში.

გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისიდან ინსტიტუტი აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემის გადაჭრაში. 90-იანი წლებიდან გააქტიურდა ისეთი პრობლემების კვლევა, რომლებიც დაკავშირებული იყო ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ სტაბილურობასა და საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების ფორმირებასთან. გამოკვლევები საფუძვლად დაედო მთელ რიგ სამთავრობო და საკანონმდებლო დოკუმენტებს, აგრეთვე საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის დაძლევის კონცეფციებს და პროგრამებს. ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევით თემატიკაში გამოირჩეოდა ისეთი საკითხები, როგორიცაა: **სოციო-კაპიტალიზმის ეკონომიკური საფუძვლები, საბაზრო ურთიერთობების სრულყოფის თეორიული პრობლემები პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში, ეკონომიკური განვითარების კანონზომიერებანი საბაზრო ურთიერთობათა ფორმირების**

პირობებში, ეკონომიკური პროგნოზირების თეორიული პრობლემები, საბაზრო ეკონომიკის მოდელები და მაკროეკონომიკური განვითარების ტენდენციები, ფირმის ფუნქციონირების მარკეტინგული სტრუქტურის სრულყოფის მიმართულებები, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და დაცვის ეკონომიკური პრობლემები საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პირობებში, რეგიონული ეკონომიკის პრობლემები, საგარეო ეკონომიკური კომპლექსის განვითარების მიმართულებები გარდამავალ პერიოდში, ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების და მაკროეკონომიკური რეგულირების თეორიული პრობლემები, ეკონომიკური აზრის განვითარებისა და ეკონომიკური ისტორიის, ფინანსების, სოფლის მეურნეობის ეკონომიკის პრობლემები და სხვა.

ინსტიტუტში წლების განმავლობაში ტრადიციად ქცეულმა დისციპლინათშორისმა კვლევებმა და მისმა შედეგებმა მნიშვნელოვანი საფუძველი შექმნა ფართომასშტაბიანი კომპლექსური კვლევების ჩასატარებლად. სწორედ ამან განაპირობა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილება, აღნიშნულ შედეგებზე დაყრდნობით, მოწვეულ სპეციალისტებთან ერთად, დამუშავებული ყოფილიყო სისტემურად ურთიერთდაკავშირებული ერთიანი კომპლექსური კვლევის ამსახველი ნაშრომი: **„მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები და მოდელები“. აღსანიშნავია, რომ ამ ნაშრომმა, რომელიც გამოვიდა პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის ეგიდითა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფ. ვლადიმერ პაპავას, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფ. გიორგი წერეთლის, საქართველოს**

მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონ-დენტის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფ. ავთანდილ სილაგაძის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქ-ტორის, პროფ. იაკობ მესხიას, ეკონომიკურ მეცნიერება-თა დოქტორის, პროფ. კლიმენტი აჩელაშვილისა და ეკო-ნომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფ. იური ანანი-აშვილის ავტორობით, 2004 წელს მიიღო საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში. 2008 წელს აკადემიკოს **ვლადიმერ პაპავამ** მიიღო საქარ-თველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფილიპე გო-გიჩაიშვილის სახელობის პრემია წიგნისათვის **„Necroeconomics: The Political Economy of Post-Communist Capitalism“.**

* * *

ცალკე უნდა აღინიშნოს ინსტიტუტის მიღწევებში დი-რექტორების: აკადემიკოს **ავთანდილ გუნიას,** აკადემიკოს **ვლადიმერ პაპავასა** და პროფესორ **გიორგი წერეთლის** განსაკუთრებული დამსახურების, ასევე ინსტიტუტის დი-რექტორის მოადგილეების – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის **ლეო ჩიქა-ვას,** პროფესორ **თამაზ ჩიკვაიძის,** პროფესორ **ბექირბი ხა-სიას,** პროფესორ **თეიმურაზ ბერიძის,** დოცენტების **თენ-გიზ ხოშტარიასა** და **თამაზ აქუბარდიას** მნიშვნელოვანი წვლილის შესახებ.

* * *

ინსტიტუტის თანამშრომლები აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ: **პაატა გუგუშვილი, ავთანდილ გუნია, ვასილ ჩანტლაძე, აპო-**

ლონ ნუცუბიძე, მიხეილ კახეთელიძე, ბექირბი ხასია, სერგო ბუაჩიძე, ალექსანდრე ბრეგვაძე, დურსუნ დიასამიძე, მიხეილ ჯიბუტი.

გასული საუკუნის 90-იან წლებიდან კიდევ უფრო გაძლიერდა ინსტიტუტის თანამშრომელთა მონაწილეობა საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში. ამ მხრივ ყველაზე ნაყოფიერია აკადემიკოს **ვლადიმერ პაპავას, გიორგი წერეთელის, რამაზ აბესაძის, ალფრედ კურატაშვილის, ვახტანგ ბურდულის, გიორგი ბერულავას, მურმან კვარაცხელიას, თემურ ბერიძის, თამაზ აქუბარდიას, ილია ზაქარიაძის, ნაზირა კაკულიას, თეიმურაზ გოგოხიას** საქმიანობა.

ინსტიტუტის თანამშრომლები თავიანთ ძირითად სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად, წლების განმავლობაში ეწეოდნენ და ეწევიან აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას. გარდა ამისა, ინსტიტუტში ხშირად სხვადასხვა დანიშნულების პრაქტიკას გადიოდნენ და გადიან უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები.

* * *

XX საუკუნის 60 – 70-იან წლებში ეკონომიკის ინსტიტუტში ფუნქციონირებდა სამეცნიერო ხარისხდებიან მიმნიჭებელი სამი სპეციალიზებული საბჭო. ერთი სადოქტორო (პოლიტიკური ეკონომიისა და სახალხო მეურნეობის ისტორიის სპეციალობით) და ორი საკანდიდატო (1. პოლიტიკური ეკონომიის, სახალხო მეურნეობის ისტორიის, ეკონომიკური აზრის ისტორიის სპეციალობებით და 2. მრეწველობის ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის ეკონომიკის სპეციალობით.) 1981 წელს მუშაობა დაიწყო ეკონომიკურ მეცნიერება-

თა კანდიდატის ხარისხის მიმნიჭებელმა სპეციალიზებულმა საბჭომ, სპეციალობით: 08.00.05 – სახალხო მეურნეობისა და მისი დარგების ეკონომიკა, დაგეგმვა და მართვის ორგანიზაცია (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა). 1992 წლიდან 2006 წლამდე ინსტიტუტში მუშაობდა სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი სამეცნიერო-საატესტაციო საბჭო შემდეგი სპეციალობებით: 08.00.01 – „პოლიტიკური ეკონომია (ეკონომიკსი), ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია“, 08.00.03 – „მაკროეკონომიკა“, 08.00.04 – „ეკონომეტრიკა“ და 08.00.09 – „ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის ეკონომიკა“ (სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეები იყვნენ აკადემიკოსები **პაატა გუგუშვილი, ავთანდილ გუნია და ვლადიმერ პაპავა,** პროფესორები **გიორგი წერეთელი და რამაზ აბესაძე).**

* * *

ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო კადრებით შევსება ძირითადად ხდებოდა მისი ასპირანტურის წარმატებით კურსდამთავრებულებით, პირველი ასპირანტები იყვნენ: **დიმიტრი ქორიძე, ნიკანდრო ჯაკობია და ქეთევან დადიანი (საქართველოში პირველი მეცნიერებათა კანდიდატი ქალი ეკონომიკურ მეცნიერებაში.) ამ გზით ინსტიტუტმა ქვეყანას აღუზარდა მრავალი მაღალკვალიფიციური ეკონომისტი და იურისტი, რომლებიც წარმატებით საქმიანობდნენ და საქმიანობენ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, უმაღლეს სასწავლებლებში, ეკონომიკის სხვადასხვა დარგში, სამართალდამცავ ორგანოებში, პარლამენტში, ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში და სხვ.**

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ინსტიტუტის დამსახურება ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების კადრებით უზრუნველყოფის საქმეში. ინსტიტუტის კედლებში აღიზარდნენ პარლამენტის, მთავრობის, სამინისტროებისა და უწყებების არაერთი პასუხისმგებელი თანამშრომელი. მათ რიცხვს მიეკუთვნებიან ეკონომისტები: **ვლადიმერ პაპავა, მიხეილ ჯიბუტი, ზურაბ სოსელია, თეიმურაზ ბერიძე, სოლომონ პავლიაშვილი, მიხეილ ჭკუასელი, თამაზ ჩიკვაიძე, მურმან კვარაცხელია, რევაზ გოგოხია, თამაზ აქუბარდია, ნოდარ ულუმბერაშვილი, ილია ზაქარიაძე, გია თოფურია, გურამ ხასია, ანზორ თოთაძე, ზურაბ გარაყანიძე, მარინა მუჩიაშვილი, ელენე ჩიქოვანი, მიხეილ თოქმაზიშვილი, ლილი გვენეტაძე, ციალა ბენაშვილი, თემურ გოგოხია; იურისტები: ჯონი ხეცურიანი, კონსტანტინე კემულარია, თედო ნინიძე, მინდია უგრეხელიძე, სოსო ბაჩიაშვილი, იაკობ ფუტკარაძე, ბესარიონ ზოიძე, ადა მარშანია, დავით სულაქველიძე და ბევრი სხვა.**

* * *

ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორები მისი დაარსებიდან იყვნენ: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **პაატა გუგუშვილი** (1944-1976), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **ავთანდილ გუნია** (1976-1991), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი **ვლადიმერ პაპავა** (1991-1996), ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გიორგი წერეთელი** (1996-2008). ამჟამად ინსტიტუტის დირექტორია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **რამაზ აბესაძე** (2008 წლიდან).

პაატა გუგუშვილი

პაატა გუგუშვილი დაიბადა 1905 წლის 28 სექტემბერს სოფელ კოდორში (აბაშის რ-ნი).

1917-1923 წლებში სწავლობდა ფოთისა და ქუთაისის გიმნაზიებში. 1923 წელს სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომლის სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტი ეკონომისტ-ფინანსისტის სპეციალობით დაამთავრა 1927 წელს.

1930 წელს დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. იმავე წელს მას მიენიჭა დოცენტის სამეცნიერო-პედაგოგიური წოდება, 1938 წელს კი, დისერტაციის დაუცველად, პროფესორების ფ. გოგიჩაიშვილის, გ. გეხტმანის, მ. პოლიექტოვის წარდგინებით, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი (უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს მიერ). 1940 წელს პ. გუგუშვილმა წარმატებით დაიცვა დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, რომელსაც გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერებმა ივ. ჯავახიშვილმა, ნ. ბერძენიშვილმა და ფ. გოგიჩაიშვილმა (რომლებიც დისერტაციის ოფიციალური რეცენზენტ-ოპონენტები იყვნენ) დიდი შეფასება მისცეს.

1940-1945 წლებში აკად. პ. გუგუშვილი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახალხო მეურნეობის ისტორიისა და პოლიტიკური ეკონომიის კათედრის გამგე.

მეორე მსოფლიო ომის ქარცეცხლიან დღეებში – 1944 წელს აკადემიკოს პაატა გუგუშვილის ინიციატივით, აქტიური ძალისხმევითა და შესაბამისი ორგანოების გადაწყვეტილებით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შეიქმნა ეკონომიკის ინსტიტუტი, რომელსაც დაარსებიდან 1976 წლამდე, 32 წლის განმავლობაში, თვითონვე ედგა სათავეში. 1948-1974 წლებში იყო ამავე ინსტიტუტთან არსებული სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციების დაცვის სპეციალიზებული სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.

1961 წელს პაატა გუგუშვილი არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1974 წელს – აკადემიკოსად.

პ. გუგუშვილი 30-იანი წლებიდან იყო ქართული ჟურნალ „ეკონომისტი“-ს რედკოლეგიის წევრი, ხოლო 1958 წლიდან, 15 წლის განმავლობაში, მისი ინიციატივით აღდგენილი ჟურნალ „საქართველოს ეკონომისტის“ მთავარი რედაქტორი. იგი აქტიურ მუშაობას ეწეოდა, როგორც ჟურნალ „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნეს“ (ეკონომიკისა და სამართლის სერიების) რედკოლეგიის წევრი.

პ. გუგუშვილი 1930-1967 წლებში მრავალმხრივ მეცნიერულ მოღვაწეობასთან შესანიშნავად ათავსებდა ნაყოფიერ პედაგოგიურ საქმიანობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 100-ზე მეტი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. იყო 90-მდე საკვალიფიკაციო ნაშრომის რეცენზენტ-ოპონენტი. აკადემიკოს პაატა გუგუშვილის მეცნიერული თვალსაწიერი მეტად ფართოა. მისი ავტორობით გამოქვეყნებულია 500-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომელთაგან 50-ზე მეტი ცალკე წიგნადაა გამოცემული.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მონოგრაფიების შვიდტომეული – „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს.“, რომელშიც, გარდა იმისა, რომ წარმოდგენილია უმდიდრესი მასალა საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარების შესახებ, ასევე გამოვლენილია ეკონომიკური ურთიერთობების არაერთი, მანამდე მეცნიერებისათვის შეუმჩნეველი მხარე და მოცემულია მათი სიღრმისეული ანალიზი.

აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი, რომ ფართო დიაპაზონის მეცნიერი იყო, ამაზე მეტყველებს იმ ნაშრომთა არასრული ჩამონათვალი, რომელიც ეხება ისტორიის, ჟურნალისტიკის, დემოგრაფიისა და სოციოლოგიის აქტუალურ პრობლემებს. აი ისინიც: „ქართული წიგნი 1629-1929 წწ.“; „ქართული ჟურნალისტიკა“; „სოციოლოგიური ეტიუდები“; „საქართველოს მოსახლეობა 160 წლის (1800-1960) მანძილზე“; „საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების საკითხები“, „მოსახლეობა, ოჯახი, შვილიანობა“; „დემოგრაფიის ნარკვევები“ და სხვ., რომელთაც, ისე, როგორც მისმა ყველა ნაშრომმა, სპეციალისტთა ფართო გამოხმაურება და მაღალი შეფასება დაიმსახურა.

1983 წელს აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი დაჯილდოვდა საქართველოს პროფკავშირის პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, როგორც პროფკავშირების სახალხო უნივერსიტეტის რექტორი. 1985 წელს დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი გარდაიცვალა 1987 წლის 27 თებერვალს.

ავთანდილ გუნია

ავთანდილ გუნია დაიბადა 1912 წლის 27 სექტემბერს თბილისში, მოსამსახურის ოჯახში.

1928 წელს დაამთავრა ბაქოს სამხედრო სასწავლებელი.

1928-1932 წლებში სწავლობდა თბილისის შ. ელიავას სახელობის რკინიგზის ტექნიკუმში.

1934 წელს ჩაირიცხა და 1939 წელს მოსკოვში დაამთავრა პლეხანოვის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი საქონელმცოდნის სპეციალობით.

ინსტიტუტის დამთავრებისთანავე დაინიშნა ვაჭრობის ტექნიკუმის დირექტორად, თბილისში.

1940 წელს გაგზავნილ იქნა მოსკოვში, უმაღლეს პარტიულ სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1942 წელს.

1942-1952 წლებში მუშაობდა სხვადასხვა პარტიულ თანამდებობაზე საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატში.

1952-1953 წლებში იყო საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიისა და გამომცემლობათა სამმართველოს უფროსი.

1953 წელს საქართველოს კომპარტიის ცკ პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე.

1953-1957 წლებში იყო საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი.

1957 წლის ბოლოს გადაყვანილ იქნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში განყოფილების გამგედ. 1960 წლიდან იყო ამავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო მუშაობის დარგში, ხოლო 1976 წლიდან – დირექტორი.

1950 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1962 წელს – სადოქტორო დისერტაცია. 1966 წელს მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო წოდება.

1967 წლიდან იგი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1979 წლიდან კი – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

1980 წელს მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

ავთანდილ გუნია 160-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, მათ შორის 20 მონოგრაფიის. მის შრომებში ასახულია ეკონომიკური თეორიის, მრეწველობის ეკონომიკის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის და საბაზრო ეკონომიკის აქტუალური პრობლემები.

მათგან აღსანიშნავია: „Экономические проблемы научно-технического прогресса в Грузии“, Тбилиси, «мецниереба», 1983; „საბაზრო ურთიერთობათა მექანიზმის ფორმირების საკითხები“, თბილისი „მეცნიერება“, 1991; „მოსახლეობის ცხოვრების დონე – ეკონომიკური განვითარების ამსახველი ფაქტორი“, ჟ. „მაცნე“ ეკონომიკის სერია, 1993, ტ. 1, #1; „ბაზარი (საბაზრო ურთიერთობები როგორც ეკონომიკური კატეგორია)“ ჟ. „მაცნე“ ეკონომიკის სერია, 1995, ტ. 1, #1.

დიდია მისი წვლილი სამეცნიერო კადრების აღზრდის საქმეში. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 20-ზე მეტი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. განსაკუთრებულ

აღნიშვნას იმსახურებს მისი პედაგოგიური საქმიანობა. იგი წლების განმავლობაში იყო კათედრის გამგე საქართველოს პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში და წარმატებით კითხულობდა ლექციებს ამავე უმაღლეს სასწავლებელში.

აკადემიკოს ავთანდილ გუნიას ნაყოფიერი მუშაობა არაერთგზის აღინიშნა მაღალი სახელმწიფო ჯილდოებით და ფულადი პრემიებით.

აკადემიკოსი ავთანდილ გუნია გარდაიცვალა 1997 წლის 2 ოქტომბერს.

ვლადიმერ (ლადო) პაპავა

ვლადიმერ (ლადო) პაპავა დაიბადა 1955 წლის 25 მარტს თბილისში, პედაგოგების ოჯახში.

1972 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა თბილისის მე-15 საშუალო სკოლა.

1972 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკური კიბერნეტიკის სპეციალობით, რომლის სრული კურსიც წარჩინებით დაამთავრა 1977 წელს.

1982 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია (მოსკოვში, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ ეკონომიკურ-მათემატიკურ ინსტიტუტში), 1989 წელს კი – სადოქტორო დისერტაცია.

ვლადიმერ პაპავა 1991 წლიდან ეწევა დიდ სამეცნიერო, სახელმწიფო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. იგი 1991-1996 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი; 1994-2000 წლებში – საქართველოს ეკონომიკის მინისტრი, ხოლო 2004-2008 წლებში – საქართველოს პარლამენტის წევრი. 1997 წლიდან არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 2013 წლიდან აკადემიის ნამდვილი წევრი. იგი არის საქართველოს განათლების სამინისტროს რესპუბლიკური პრემიის (1987), მეცნი-

ერებისა და ტექნიკის დარგში საქართველოს სახელმწიფო პრემიის (2004) და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის პრემიის (2008) ლაურეატი.

ვლადიმერ პაპავა ეწევა ნაყოფიერ საზოგადოებრივ, სამეცნიერო-კვლევით და პედაგოგიურ მოღვაწეობას.

ვლადიმერ პაპავა არის ავტორი 500-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა, რომლებიც ეძღვნება თეორიული ეკონომიკის, ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკის მათემატიკური მოდელირების, მაკროეკონომიკის, ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის, საქართველოსა და კავკასიის ეკონომიკურ პრობლემებს. მათგან აღსანიშნავია: *პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა*. თბილისი, „პდპ“, 2002; *Necroeconomics: The Political Economy of Post-Communist Capitalism*. New York, Universe, 2005; *The Central Caucasus: Essays on Geopolitical Economy*. Stockholm, CA&CC Press, 2006 (თანაავტორი ელდარ ისმაილოვი); *ცენტრალური კავკასია (გეოპოლიტ-ეკონომიური ნარკვევი)*. თბილისი, „სიახლე“, 2009; *ნეკროეკონომიკის ზომბირება (გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის ზეგავლენა შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებზე)*. თბილისი, „პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2010; *Economic Reforms in Post-Communist Georgia: Twenty Years After*. New York, Nova Science Publishers, 2013; *Laffer-Keynesian Synthesis and Macroeconomic Equilibrium*. New York, Nova Science Publishers, 2014 (თანაავტორი იური ანანიაშვილი); *არატრადიციული ეკონომიკსი: მეთოდოლოგია და მეთოდიკა*. თბილისი, „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“,

„პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2020; *Becoming European: Challenges for Georgia in the Twenty-First Century*. Bloomington, iUniverse, 2020.

აკადემიკოს **ვლადიმერ პაპავას** მეცნიერული სიახლეებიდან შეიძლება აღინიშნოს: დაასაბუთა, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური უნარი არის წარმოების მეხუთე ფაქტორი, ხოლო ირიბი გადასახადები – შესაბამისი ფაქტორული შემოსავალი. ქართველი მეცნიერის ეს შედეგი ასახულია „გამოყენებითი ეკონომიკის“ ცნობილ ბრიტანულ სახელმძღვანელოში, რითაც აღიარებულია მისი წვლილი ზოგადად ეკონომიკური მეცნიერების თეორიული საფუძვლების განვითარებაში; ჩამოაყალიბა ნეკროეკონომიკის თეორია, როგორც პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტეკონომიის საფუძველი, ასევე – რეტროეკონომიკის თეორია, ჩრდილოვანი პოლიტეკონომიის საფუძვლები (ნოდარ ხადურთან ერთად), საბაზრო თანასწორობის დოქტრინა, მილსადენების ჰარმონიზაციის კონცეფცია (მიხეილ თოქმაზიშვილთან ერთად); გამოყო და დაასაბუთა ადამიანის ახალი ტიპების არსებობა ეკონომიკაში – ჰომო ტრანსფორმატიკუსი და ზომბი ეკონომიკუსი (მათგან პირველი პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესში მყოფი ეკონომიკის, ხოლო მეორე ზომბი ეკონომიკის მთავარი შემოქმედია), შემოიღო ნაწილობრივ პროდუქტიული მატრიცის ცნება, ინფლაციის გაზომვის არატრადიციული მაჩვენებლები და მისი კომპლექსური თარგეთირების რეჟიმი (ვახტანგ ჭარაიასთან ერთად); განავითარა ეკონომიკის ზომბირების თეორია (ერთმანეთისაგან გამიჯნა ორთოდოქსული და ჰეტეროდოქსული ზომბი ეკონომიკა); შექმნა გადასახადების გარეშე ეკონომიკის მოდელი, საგადასახადო კორუფციის ინდექსები, სანქციონო-

მიკის თეორიის საფუძვლები; ააგო ლაფერის ეფექტის ამ-სახველი ახალი მრუდები, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებ-ლები მკვეთრი ზრდის ეფექტის ზეგავლენის გამორიცხვის გზით; საფუძველი ჩაუყარა ლაფერ-კეინზიანურ სინთეზს (შემდგომში განავითარა იური ანანიაშვილთან ერთად); შეი-მუშავა (ელდარ ისმაილოვთან ერთად) ცენტრალური კავკა-სიისა (ცენტრალურ კავკასიას ქმნის აზერბაიჯანი, საქარ-თველო და სომხეთი, ხოლო სამხრეთ კავკასია აერთიანებს თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ და ირანის ჩრდილო-და-სავლეთ რეგიონებს, რომელთაგან პირველი ეთნიკური ქარ-თველებით, ხოლო მეორე ეთნიკური აზერბაიჯანელებითაა დასახლებული) და ცენტრალური კავკაზიის (ამ რეგიონს ქმნის ცენტრალური აზიის და ცენტრალური კავკასიის ქვეყნები) გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური კონცეფ-ციები. მისი ნაშრომები გამოქვეყნებულია ქართულ, ინგლი-სურ, რუსულ, ფრანგულ, გერმანულ, ჩინურ, არაბულ, აზერ-ბაიჯანულ, ჩეხურ და უკრაინულ ენებზე.

ვლადიმერ პაპავას ხელმძღვანელობით 10 ასპირანტს მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიე-რო ხარისხი, ხოლო 2 დოქტორანტს – ეკონომიკის დოქტო-რის ხარისხი.

აკადემიკოს **ვლადიმერ პაპავა** 2013-2016 წლებში იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი. 2023 წლიდან ის არის საქართვე-ლოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს-მდი-ვანი, ასევე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სა-ხელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფა-კულტეტის პროფესორი. არის თსუ პაატა გუგუშვილის სა-ხელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თა-

ნამშრომელი, რონდელის ფონდის – საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდის უფროსი მკვლევარი.

ვლადიმერ პაპავას, როგორც საქართველოს საკონსტიტუციო კომისიის წევრს ხელი აქვს მოწერილი საქართველოს კონსტიტუციაზე, რომელიც 1995 წელს იქნა მიღებული.

აკადემიკოს ვლადიმერ პაპავა საქმიანობის შესახებ გამოცემულია ორი წიგნი: Greer N. P. (ed.). Vladimer Papava. Beau Bassin, Patho Publishing, 2012; Russell J., Cohn R. Vladimer Papava. Edinburgh, LENNEX Corp, 2012.

გიორგი წერეთელი

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი შაქროს ძე წერეთელი დაიბადა 1952 წელს 20 იანვარს ქალაქ ლანჩხუთში.

1969 წელს წარმატებით დაამთავრა ვ. მ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა, ხოლო 1975 წელს – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკური კიბერნეტიკის სპეციალობით.

1996-2008 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი.

1980 წლიდან იგი იწყებს მოღვაწეობას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტში, სადაც ის მუშაობდა უმცროს, უფროს, წამყვან, მთავარ მეცნიერ თანამშრომლად, დირექტორის მოადგილედ, დირექტორის პირველ მოადგილედ და 1996-2008 წლებში (გარდაცვალებამდე) იყო დირექტორი.

გამოქვეყნებული აქვს 160-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. მათ შორის 20 წიგნი (5 თანაავტორობით). ერთ-ერთ მონოგრაფიას – „ბუნებათსარგებლობის პროცესების ოპტიმიზაციის ეკონომიკური საკითხები 1984 წელს მიენიჭა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სპეციალური მედალი და პრემია ახალგაზრდა მეცნიერთა შორის. 2003 წელს მიღე-

ბულ აქვს საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში.

გიორგი წერეთლის სამეცნიერო ნაშრომები ძირითადად ეძღვნება ეკონომიკურ-მათემატიკური, ეკონომიკურ-ეკოლოგიური, მაკროეკონომიკის, ეკონომიკური თეორიისა და სხვა პრობლემების კვლევას. მისი მონოგრაფიებიდან აღსანიშნავია: „გარემო ბუნების დაცვის პროცესთა ეკონომიკური რეგულირების საკითხები საბაზრო ურთიერთობების პირობებში“. თბილისი, „მეცნიერება“, 2003; „პოსტკომუნისტურ ქვეყანაში უმუშევრობით გამოწვეული ნეგატიური ეკონომიკური შედეგების განსაზღვრისა და შემცირების გზები (საქართველოს მაგალითზე)“. თბილისი, „მეცნიერება“, 2004 (თანაავტორობით); „ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების საფუძვლები და მათი ეკონომიკაში გამოყენების ზოგიერთი პრაქტიკული მაგალითი“. თბილისი, „მეცნიერება“, 2000 და სხვა.

იგი, სამეცნიერო მუშაობასთან ერთად, ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობას. 1996-2003 წლებში იყო საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს და მისი დარგობრივი ეკონომიკური სექციის წევრი, სეს-ის სანოსტრიფიკაციო კომისიის წევრი. 1998-2001 წლებში იყო საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოსთან არსებული ეკონომიკის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; 1996-2003 წლებში საქართველოს ეკონომიკის, ფინანსთა, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის, სოფლის მეურნეობის, ეკონომიკის სამინისტროებთან, ანტიმონოპოლიურ სამსახურთან და კონტროლის პალატასთან არსებული სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოების წევრი; 1998-2006 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული ეკონომიკის საკოორდინაციო-სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; 2000 წლიდან გარდაცვალებამდე საქართვე-

ლოს მეცნიერ-ეკონომისტთა ასოციაციის თანათავმჯდომარე; 2001-2003 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტთან არსებული სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე; 2003-2006 წლებში საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის წევრი, ამავე საბჭოს ეკონომიკის დარგობრივი სექციის თავმჯდომარე; 2004 წლიდან გარდაცვალებამდე საქართველოს პრეზიდენტთან არსებული ეკონომიკის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი.

გიორგი წერეთელი, ინტენსიურ მეცნიერულ და მეცნიერულ-ორგანიზაციულ მუშაობასთან ერთად, ეწეოდა აქტიურ პედაგოგიურ საქმიანობას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტებში. მას მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის რესპუბლიკის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაში. გარდა იმისა, რომ აღზრდილი ჰყავს სტუდენტ-ეკონომისტთა რამდენიმე თაობა, მისი, როგორც დირექტორის, საერთო ხელმძღვანელობით მომზადდა ხუთ ათეულზე მეტი სამეცნიერო ხარისხის მქონე მაღალკვალიფიციური ეკონომისტი, ხოლო მისი უშუალო ხელმძღვანელობით – ორი მეცნიერებათა დოქტორი და ხუთი მეცნიერებათა კანდიდატი.

გიორგი წერეთელი საქართველოში ეკონომიკური მეცნიერების განვითარებასა და ეკონომიკის დარგში მიმდინარე რეფორმების განხორციელებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის 2001 წელს დაჯილდოვდა საქართველოს ღირსების ორდენით.

პროფესორი გიორგი წერეთელი გარდაიცვალა 2008 წლის 12 ივნისს.

რამაზ აბესაძე

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რამაზ აბესაძე დაიბადა 1952 წლის 14 მაისს ქ. ტყიბულში პედაგოგების ოჯახში.

1969 წელს, თბილისის 54-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1974 წელს ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაციით.

იმავე წელს მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში, სადაც იგი იყო უფროსი ლაბორანტი (1974), მეცნიერი თანამშრომლი (1976), უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (1986), წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი (1989), ლაბორატორიის გამგე (1991), განყოფილების გამგე (1997), დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში (2002). ინსტიტუტის დირექტორად არჩეულ იქნა 2008, 2018 და 2023 წელს.

1985 წელს მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის, 1999 წელს ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, 1989 წელს უფროსი მეცნიერ თანამშრომლის, 1998 წელს დოცენტის, ხოლო 2003 წელს პროფესორის სამეცნიერო-პედაგოგიური წოდება მაკროეკონომიკის სპეციალობით.

პედაგოგიური საქმიანობა დაიწყო 1987 წელს ჯერ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ხოლო შემდეგ

საქართველოს სამედიცინო ინსტიტუტში. 1995 წლიდან დღემდე პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მაკროეკონომიკისა და ეკონომიკის პრინციპების კათედრაზე. იყო და არის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სრული პროფესორი.

რამაზ აბესაძე 2001-2003 წლებში იყო ინსტიტუტთან არსებული სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო 2003-2007 წლებში თავმჯდომარე.

პროფ. რამაზ აბესაძეს გამოქვეყნებული აქვს 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი (მათ შორის 9 მონოგრაფია (4 თანაავტორობით)) და 2 სახელმძღვანელო. თავდაპირველად მისი სამეცნიერო კვლევის საგანს წარმოადგენდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და სამრეწველო წარმოების, განსაკუთრებით, ელექტროდენერგეტიკული წარმოებისა და მოხმარების ეკონომიკური პრობლემები, რომელსაც მან მიუძღვნა მონოგრაფია – „Научно-технический прогресс и эффэктивность производства и потребления электроэнергии в Грузии“. Тб., Мецниереба, 1985. შემდეგ ავტორის კვლევის საგანი ფართოვდება ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის ეკონომიკური პრობლემებით. ამ პრობლემებთან დაკავშირებით აღსანიშნავია მისი მონოგრაფია – „ეკონომიკური განვითარების ენერგოეკოლოგიური ფაქტორი და ენერგეტიკული ბაზრის ფორმირების მაკროეკონომიკური მექანიზმი საქართველოში“. (თბ., „მეცნიერება“, 2004). ამჟამად პროფ. რამაზ აბესაძის სამეცნიერო კვლევის სფერო მოიცავს ეკონომიკური განვითარებასა და პოსტკომუნისტურ ტრანსფორმაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ პრობლემებს, რასაც ეძღვნება მისი არაერთი სამეცნიერო სტატია და მონოგრაფია, როგორც საქართველოში, ისე

საზღვარგარეთ. მონოგრაფიებიდან აღსანიშნავია: **„ეკონომიკური განვითარება“. თბ., „მერიდიანი“, 2006; „მცირე ბიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი საქართველოში“.** თბ., „პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2008 (თანაავტორობით ეთერ კაკულიასთან); **„ეკონომიკური განვითარება და ეკონომიკური რეგრესი“.** თბ., თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2014; **„Сруктурные и инновационные проблемы экономического развития“.** თბ., „თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2014 (თანაავტორობით ვახტანგ ბურდულთან); **„Foreign experience and formation innovation system Georgia“. LAMBERT. Academik Pablishing.** 2018 (თანაავტორობით ვახტანგ ბურდულთან).

ეკონომიკური განვითარების პრობლემებისადმი მიძღვნილი ნაშრომის საფუძველზე, თსუ მაკროეკონომიკის კათედრის ინიციატივით, პროფ. რ. აბესაძის მიერ მომზადდა ლექციების კურსი, გამოიცა შესაბამისი სახელმძღვანელოები და იკითხება თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე დისციპლინები – **„ეკონომიკური განვითარება“** და **„ეკონომიური განვითარების თეორია“**.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რ. აბესაძე არის საერთაშორისო-ანალიტიკური ჟურნალის – „ეკონომისტისა“ და პერიოდული გამოცემის – „პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებულის“ დაარსების ინიციატორი და მთავარი რედაქტორი, მისი ინიციატივით ყოველწლიურად ტარდება ინსტიტუტის დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციები და საერთაშორისო ინტერნეტ-კონფერენციები, დაარსდა **„დიდი ქართული ეკონომიკური ენციკლოპედიის მთა-**

ვარი რედაქცია“, რომელიც შეუდგა **„დიდი ქართული ეკონომიკური ენციკლოპედიის“** გამოსაცემად მომზადებას. მისივე ინიციატივით და სამეცნიერო საბჭოს მხარდაჭერით ინსტიტუტში ასევე განხორციელდა სხვა არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება (დაარსდა ინსტიტუტის გამომცემლობა, გაიხსნა აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელობის კაბინეტი, დაარსდა სადისკუსიო დარბაზი, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დაწესდა აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელობის სამეცნიერო პრემია ეკონომიკური მეცნიერების დარგში, მოწესრიგდა ინსტიტუტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რეკომენდაციების შემმუშავებელი კომისია და სხვ.).

პროფესორ რამაზ აბესაძეს საქართველოში ეკონომიკური მეცნიერების განვითარებასა და ეკონომიკის დარგში მიმდინარე რეფორმების განხორციელებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის 2001 წელს გამოეცხადა საქართველოს პრეზიდენტის მადლობა, ხოლო 2002 წელს დაჯილდოვდა საქართველოს ღირსების ორდენით, 2014 წელს დაჯილდოვდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლით, 2022 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოქროს მედლით, ის დაჯილდოებულია ასევე თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტისა და თსუ ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი ინსტიტუტის მედლით, არის საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი.

წარსულიდან დღევანდელობამდე

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი – 80

ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეები 2006 წლამდე იყვნენ ინსტიტუტის დირექტორები. 2007-2013 წლებში სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე იყო პროფესორი **თინა ჩხეიძე.** ამჟამად სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეა პროფესორი **რამაზ აბესაძე.**

ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეები იყვნენ: აკადემიკოსი **ავთანდილ გუნია,** ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი **თენგიზ ხოშტარია,** ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. **ლეო ჩიქავა,** ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **თამაზ ჩიკვაიძე,** ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გიორგი წერეთელი,** ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ბექირბი ხასია** ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **თეიმურაზ ბერიძე,** ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი **თამაზ აქუბარდია,** პროფესორი **თინათინ ჩხეიძე,** ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **რამაზ აბესაძე.** ამჟამად ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში არის ეკონომიკის დოქტორი **თეა ლაზარაშვილი,** მოადგილე მეცნიერი თანამშრომელი **ზურაბ წერეთელი.**

ინსტიტუტის სწავლული მდივნები იყვნენ: ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატები: **აკაკი კაკაბაძე, კირილე ღოღობერიძე, თენგიზ ხოშტარია, გრიგოლ ქარჩავა, მამულო კეკელიძე, ვალიკო ჯიბლაძე, ლეილა ნოდია, ზინა გვაჯავა, ლამარა მინდორაშვილი, ნოდარ ულუმბერაშვილი, თამაზ აქუბარდია, ნანა მიჩელაშვილი, ლინა დათუნაშვილი,** პროფესორები **თინათინ ჩხეიძე, ჯამლეთ შათირიშვილი,** მეცნიერი თანამშრომელი **კოტე ბაქრაძე.** ამჟამად ინსტი-

ტუტის სწავლული მდივანია ეკონომიკის დოქტორი **ლინა დათუნაშვილი.**

ინსტიტუტის ბიბლიოთეკის გამგეები იყვნენ: **ქეთევან ასათიანი, მარი კაპანელი.** ამჟამად ბიბლიოთეკის გამგეა **ელენე დათუკიშვილი.**

ინსტიტუტის მთავარი ბუღალტრები იყვნენ: **ა. პოდ-კოლვინა, ნინო გოგოლაძე, ნუცა ჯღამაძე, ზურაბ ჭიჭი-კოშვილი, მარგალიტა კარგარეთელი, მაია ჭინჭარაული.**

* * *

2006 წელს პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი გახდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ხოლო 2011 წლიდან თსუ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტი-ტუტი.

2015 წელს საქართველოს კანონმდებლობის, თსუ წესდე-ბისა და ინსტიტუტის დებულების საფუძველზე განისაზღვრა ინსტიტუტის და მეცნიერ თანამშრომელთა სტატუსი და ჩა-ტარდა შესაბამისი კონკურსები. ამჟამად ინსტიტუტის სტრუქტურას აქვს შემდეგი სახე:

დირექცია (დირექტორი – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. **რამაზ აბესაძე,** მოადგილე სამეცნიერო დარგში ეკონომიკის დოქტორი **თეა ლაზარაშვილი,** მოადგი-ლე მეცნიერი თანამშრომელი **ზურაბ წერეთელი.**

სამეცნიერო საბჭო (თავმჯდომარე – პროფესორი **რა-მაზ აბესაძე,** მოადგილეები: ეკონომიკის მეცნიერებათა დოქ-ტორი – **ვახტანგ ბურდული;** ეკომომიკის დოქტორი **მამუკა ხუსკივაძე.**

სამეცნიერო-კვლევითი განყოფილებები:

1. **ეკონომიკური თეორიისა და ბიზნესის პრობლემა-თა კვლევის** (ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. **გიორგი ბერულავა);**

2. **სექტორული და რეგიონული ეკონომიკის** (ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი **ვახტანგ ბურდული);**

3. **მაკროეკონომიკის, მდგრადი განვითარებისა და ფინანსების** (ეკონომიკის დოქტორი **მამუკა ხუსკივაძე);**

4. **საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების** (ეკონომიკის დოქტორი **რევაზ ჯავახიშვილი)**

სამეცნიერო პერსონალი:

მთავარი მეცნიერი თანამშრომლები: აკადემიკოსი **ვლადიმერ პაპავა,** ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: **რამაზ აბესაძე, ვახტანგ ბურდული, გიორგი ბერულავა. მურმან კვარაცხელია;** ეკონომიკის დოქტორები: **თეა ლაზარაშვილი, რევაზ ჯავახიშვილი, მამუკა ხუსკივაძე, ლია თოთლაძე, ლინა დათუნაშვილი.**

უფროსი მეცნიერი თანამშრომლები: ეკონომიკის დოქტორები: **ნანა ბიბილაშვილი, ხათუნა ბერიშვილი, გიორგი ბრეგვაძე, თეიმურაზ გოგოხია, ნატა დავლაშერიძე, ეთერ კაკულია, თენგიზ ქავთარაძე, ქეთევან ქველაძე, ნუნუ ქისტაური, მარინე ცუცქირიძე.**

მეცნიერი თანამშრომლები: ეკონომიკის დოქტორები: **ნინო ჟორჟიკაშვილი,** მაგისტრები: **ლია დვალიშვილი, თამარ თაფლაძე, ციცინო თეთრაული, მედეა მელაშვილი, ზურაბ ნოზაძე, ზურაბ წერეთელი.**

დამხმარე სტრუქტურული ერთეულები და პერსონალი:

– სამეცნიერო ინფორმაციის მოპოვებისა და ანალიზის სამსახური (უფროსი – ეკონომიკის დოქტორი **ნანა ბიბილაშვილი;** მთავარი სპეციალისტი – **ნინელი თხინვალელი;** მთავარი სპეციალისტი – **ნინო კედია;** უფროსი სპეციალისტი – **ანზორ სამხარაძე;** სპეციალისტი – **ლია აბრამიშვილი)**

– **სწავლული მდივანი** (ეკონომიკის დოქტორი **ლინა დათუნაშვილი);**

– **კანცელარია** (ეთერ **ჯაბანაშვილი);**

– **ფინანსური მენეჯერი (თეა შონია);**

– **ბიბლიოთეკა** (ელენე **დათუკიშვილი);**

– **გამომცემლობა (ხელმძღვანელი, ჟურნალისტი – სოფიო ოხანაშვილი; თარჯიმან-მთარგმნელი, საერთაშორისო სამეცნიერო ურთიერთობების მენეჯერი – გოჩა გოგუაძე; გამოცემათა ინგლისურენოვანი რედაქტორი – ლიანა შაყულაშვილი; გამომცემლობის რედაქტორი – ნელი ქაფიანიძე).**

სხვა პერსონალი:

ინჟინერ-მექანიკოსი – თამაზ გველესიანი, ინსპექტორი – ზურაბ ჯიბლაძე, დამლაგებელი – პეპელა ტაბატაძე.

* * *

ბოლო 15 წლის მანძილზე, მიუხედავად ცნობილი სიძნელეებისა, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტმა, გარდა სამეცნიერო საქმიანობისა, მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია საერთაშორისო სამეცნიერო სტანდარტების მიღწევისა და სამეცნიერო-საორგანიზაციო საქმიანობის მიმართულებით, სახელდობრ 2009-2019 წლებში:

1. დაარსდა საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომისტი“. ჟურნალის რეიტინგის ზრდაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ 2016 წლიდან იგი გამოდის როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული (**www.ekonomisti.tsu.ge**) ფორმით (ინგლისურ, რუსულ და ქართულ ენებზე) და ინდექსირებულია დიდ ელექტრონულ ბაზაში (**ERIH PLUS**). დღეისათვის გამოცემულია ჟურნალის 72 ნომერი;

2. დაარსდა პერიოდული გამოცემა „პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული“, რომელშიც იბეჭდება ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომელთა გეგმური შრომები და სხვა სამეცნიერო ნაშრომები თანამედროვე აქტუალურ ეკონომიკურ პრობლემებზე. დღეისათვის გამოცემულია 16 ტომი;

3. დაარსდა სადისკუსიო დარბაზი, სადაც მოხსენებებით გამოვიდნენ როგორც ჩვენი, ისე საზღვარგარეთელი მეცნიერები (აკადემიკოსი **ვლადიმერ პაპავა,** პროფესორი **რამაზ აბესაძე,** რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **დიმიტრი სოროკინი,** პროფესორები: **სლავომირ პარტიცკი** (პოლონეთი), **ლევან ეფრემიძე** (აშშ) და სხვ.);

4. დაარსდა აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელობის სამეცნიერო პრემია ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლებისათვის (მიენიჭათ ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორებს, პროფესორებს **გიორგი პაპავასა** და **როზეტა ასათიანს);** ამჟამად, ინსტიტუტის ინიციატივით, პრემია დაარსდა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ და მასში მონაწილეობს ყველა მეცნიერი ქვეყნის მასშტაბით. პრემია მოიპოვეს ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **სოლომონ პავლიაშვილმა** და ეკონომიკის დოქტორმა **ზურაბ გარაყანიძემ.**

5. ტრადიციად იქცა ინსტიტუტის ორგანიზებით (საკუთარი სახსრებით) საერთაშორისო და ეროვნული სამეცნიერო კონფერენციების გამართვა (ჩატარდა 21 საერთაშორისო და 2 ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია); გამოიცა კონფერენციის მასალათა 22 კრებული;

6. საქართველოს მეცნიერებათ ეროვნული აკადემიის ეკონომიკის სექციასთან ერთად ყოველწლიურად ტარდება

ეროვნული სამეცნიერო კონფერენციები მიძღვნილი ეკონომიკის დღისადმი.

7. გაძლიერდა საერთაშორისო სამეცნიერო ურთიერთობები. ინსტიტუტს კავშირები აქვს მსოფლიოს წამყვან საგანმანათლებლო და სამეცნიერო ცენტრებთან;

8. შეიქმნა ინსტიტუტის (www.pgie.tsu.ge) და ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო კონფერენციების (https://conferenceconomics.tsu.ge), ასევე ჟურნალ „ეკონომისტის“ (https://ekonomisti.tsu.ge) ვებ-გვერდები;

9. საიუბილეო სხდომებით აღინიშნა ინსტიტუტის დაარსებიდან 65-ე და 70-ე, 75-ე წლისთავი. ამ თარიღებთან დაკავშირებით, ახალი საარქივო მასალების მოპოვების საფუძველზე, გამოიცა წიგნები: „ეკონომიკის ინსტიტუტი 65“, „ეკონომიკის ინსტიტუტი 70“ და „ეკონომიკის ინსტიტუტი 75“;

10. ტრადიციად დამკვიდრდა სახელოვან ქართველ ეკონომისტ მეცნიერთა საიუბილეო თარიღების აღნიშვნა (აღინიშნა აკადემიკოსების **პაატა გუგუშვილისა და ავთანდილ გუნიას,** აკადემიის წევრ-კორესპონდენტის **ლეო ჩიქავას,** პროფესორების **გიორგი წერეთლის, გიორგი პაპავასა, არჩილ თეთრალისა და თამაზ ჩიკვაიძის** დაბადებიდან საიუბილეო თარიღები. ეს ღონისძიებები გაშუქდა ტელევიზიასა და პრესაში და გამოიცა წიგნები: **„აკადემიკოსი ავთანდილ** გუნია“, „პროფესორი გიორგი წერეთელი“, „პროფესორი გიორგი პაპავა“.

სიმპოზიუმებით აღინიშნა პროფესორების **მიხეილ კახეთელიძის, თენგიზ ხოშტარიას, იოველ ასათიანის, დურსუნ დიასამიძის** დაბადებიდან საიუბილეო თარიღები. საიუბილეო სხდომებით აღინიშნა, პროფესორ **თინა ჩხეიძისა** და აკადემიური დოქტორის **ნანული არევაძის,** ასევე ინსტიტუტის თანამშრომლების ეკონომიკის დოქტორების **რე-**

ვაზ ჯავახიშვილისა და **ლინა დათუნაშვილის** დაბადებიდან საიუბილეო თარიღები.

წარმატებულ მეცნიერთა საიუბილეო თარიღების აღნიშვნის დანიშნულებაა არა მხოლოდ მათი ხსოვნისათვის პატივის მიგება, არამედ, საერთოდ, ეკონომიკური მეცნიერების და, ამასთან ერთად, ჩვენი ინსტიტუტის საქმიანობის პოპულარიზაცია;

11. დაარსდა „დიდი ქართული ეკონომიკური ენციკლოპედიის“ რედაქცია. ენციკლოპედიის შექმნა, როგორც ცნობილია, წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტს ქვეყნის სამეცნიერო და კულტურულ ცხოვრებაში. ამჟამად მიმდინარეობს დამამთავრებელი სამუშაოები ენციკლოპედიის პირველ ტომზე, თუმცა როგორც პრაქტიკამ აჩვენა ენციკლოპედიაზე მუშაობა დიდ დროს მოითხოვს;

12. ინსტიტუტის ბაზაზე ფუნქციონირებდა საბუღალტრო აღრიცხვის კურსები;

13. სამეცნიერო და ორგანიზაციული მუშაობის მიხედვით ინსტიტუტი ზედიზედ ორჯერ, 2009 და 2010 წლებში, აღიარებული იქნა გამარჯვებულად (როგორც საუკეთესო სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაცია) საზოგადოებრივ მეცნიერებათა მიმართულების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს შორის, რომელსაც ავლენდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მას შემდეგ აღნიშნული კონკურსი აღარ ჩატარებულა, ინსტიტუტების უნივერსიტეტებთან შეერთების გამო;

14. მომზადდა რეკომენდაციები, წინადადებები და მოსაზრებები, რომელიც გამოიცა წიგნად – „საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ზოგიერთი მიმართულება: რეკომენდაციები, წინადადებები, მოსაზრებე-

ბი“. (თბ., „თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2013, (რედაქტორი პროფ. **რამაზ აბესაძე**) და დაეგზავნა შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში (2020-2024):

I. სამეცნიერო-კვლევითი თემატიკა მოიცავდა შემდეგ ძირითად პრობლემებს:

– ადამიანისეული კაპიტალი: განვითარებისა და გამოყენების თეორიული პრობლემები;

– ადამიანისეული კაპიტალის გამოყენების საზღვარგარეთის გამოცდილება;

– ცოდნის ეკონომიკა: ჩამოყალიბება და განვითარება;

– ცოდნისა და ინფორმაციის ტრანსფერი ინოვაციურ ეკონომიკაში;

– ცოდნის ეკონომიკა: ინოვაციური ეკონომიკის ჩამოყალიბებისა და განვითარების ერთ-ერთი მთავარი საფუძველი;

– ინოვაციური ეკონომიკის რესურსული უზრონველყოფისა და გარემოს დაცვის პრობლემები;

– საქართველოს ეკონომიკური კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების არსებული მდგომარეობა და პერსპექტივები;

– საქართველოს ეკონომიკაში ინოვაციების გავრცელების მაკროეკონომიკური, ბუნებისდაცვითი და ფინანსური პრობლემები;

– პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის არსებული მდგომარეობა და მისი როლი ინოვაციების გავრცელებაში საქართველოს ეკონომიკაში;

– საქართველოში ინოვაციების გავრცელების სექტორული და რეგიონული პრობლემები;

– შიგა ინვესტიციების მოზიდვა ინოვაციების დანერგვაზე ბიზნესში: არსებული გარემო და მისი სრულყოფის გზები საქართველოში;

– პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის არსებული მდგომარეობა და მისი როლი ინოვაციების გავრცელებაში საქართველოს ეკონომიკაში;

– ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოების თეორიულ-მეთოდოლოგიური პრობლემები გლობალიზაციის პირობებში და საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება;

– გლობალური ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური საფრთხეები და მათი გავლენა ეროვნულ უსაფრთხოებაზე;

– საქართველოს ეკონომიკაში არსებული მდგომარეობა და ეკონომიკური საფრთხეები;

II. ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ გამოქვეყნდა 448 -ზე მეტი სამეცნიერო სტატია და ბროშურა, 8-ზე მეტი მონოგრაფია, მათ შორის, საზღვარგარეთ – 22 სტატია და 2 მონოგრაფია, იმფაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში – 9 სტატია. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების მასალათა კრებულებში გამოქვეყნდა 211-ზე მეტი სტატია, ასევე მრავალი საგაზეთო სტატია და ინტერვიუ. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გამოქვეყნდა ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების 5 ტომი, ჟურნალ ეკონომისტის 20 ნომერი, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების მასალათა 5 კრებული და სხვ.

III. 2021 წელს ინსტიტუტმა დაამთავრა მუშაობა მნიშვნელოვან პროექტზე – **„ევრო-ინტეგრაცია და ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების პრობლემები საქართველო-**

ში“. მიმდინარეობს მუშაობა შესაბამისი კოლექტიური მონოგრაფიის გამოცემაზე.

იმავე წელს შემუშავდა ასევე მნიშვნელოვანი 7-წლიანი პროექტი – **„საქართველოს ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოების სტრატეგია“,** რომელიც წარედგინა უნივერსიტეტსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და 2022 წლიდან დაიწყო მასზე მუშაობა.

IV. ინსტიტუტი გახდა წევრი საერთაშორისო ორგანიზაციების:

1. გაეროს მდგრადი განვითარების გადაწყვეტილებათა ქსელი (UN SDSN- Institute into list of members is N- 479). ასევე აქტიურად ვართ ჩართული ამ ორგანიზაციის შავი ზღვის აუზის ქვეყნების პროგრამებში (UN SDSN The Black Sea Countries Program);

2. ევროკომისიის მიერ დაფუძნებული კვლევისა და ინოვაციის პროგრამა (European Commission Program on Research and Innovation, Institute's code: 903928742)

V. 2023 წელს დაარსდა ინსტიტუტის გაზეთი – **„ეკონომიკა და საზოგადოება“** (https://eas.tsu.ge) მისი, როგორც მასმედიის ნებისმიერი საშუალების, მთავარი ფუნქციაა, საზოგადოებას მიაწოდოს სწორი ინფორმაცია ქვეყანაში და მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებზე. იგი განსაკუთრებით ორიენტირებულია ეკონომიკური პრობლემების გაშუქებაზე;

VI. გაძლიერდა საერთაშორისო სამეცნიერო ურთიერთობები. ინსტიტუტს კავშირი აქვს ისეთ სამეცნიერო და სასწავლო ცენტრებთან, როგორიცაა: კოლუმბიის უნივერსიტეტი (ნიუ-იორკი, აშშ); რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი (მოსკოვი, რუსეთი); ნიუორკის

უნივერსიტეტი (ნიუ-იორკი, აშშ); კალიფორნიის უნივერსიტეტი (ბერკლი, აშშ); კალიფორნიის უნივერსიტეტი (დეივისი, აშშ); კალიფორნიის უნივერსიტეტი (ლოსანჯელესი, აშშ); კალგარის უნივერსიტეტი (კანადა); ბერგენის უნივერსიტეტი (ნორვეგია); კეპლერის უნივერსიტეტი (ავსტრია); ტრინიტის უნივერსიტეტი (ირლანდია); ლონდონის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი); ლონდონის ეკონომიკის სკოლა (დიდი ბრიტანეთი); ვენის ეკონომიკისა და ბიზნესის უნივერსიტეტი (ავსტრია); გენტის უნივერსიტეტი (ბელგია); პოზნანის უნივერსიტეტი (პოლონეთი); იოანე პავლე მეორის სახელობის ლუბლინის კათოლიკური უნივერსიტეტი (პოლონეთი); ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის ეროვნული უნივერსიტეტი (კიევი, უკრაინა); ტელ-ავივის უნივერსიტეტი (ისრაელი); ევროპული უნივერსიტეტის ინსტიტუტი (იტალია); ერასმუსის უნივერსიტეტი (ნიდერლანდები); ეკონომიკური ურთიერთობების ინსტიტუტი (ლონდონი, დიდი ბრიტანეთი); ვილნიუსის უნივერსიტეტი (ვილნიუსი, ლიეტუვა).

VII. ჟურნალ „ეკონომისტის“ სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგიის წევრები გახდნენ ცნობილი უცხოელი მეცნიერები: ***ჯეფრი საქსი (კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი, გაეროს სპეციალური მრჩეველი),*** **ფრენკ არაუჰო** (პროფესორი, კალიფორნიის უნივერსიტეტი ბერკლი, კალიფორნიის უნივერსიტეტი დევისი), **ლარისა ბელინსკაია** (პროფესორი, ვილნიუსის უნივერსიტეტი), **რუსლან გრინბერგი** (რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი), **სიმონე გუერჩინი (პროფესორი, ფლორენციის უნივერსიტეტი,) ბარნი ერედია (პროფესორი, კალიფორნია, აშშ), ვოლფგანგ ვენგი** (პროფესორი, ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტი), **ტომას დ. ვილეტი** (პროფესორი,

კლერმონტის უნივერსიტეტი), **ელდარ ისმაილოვი** (პროფესორი. ბაქოს სოციალური მართვისა და პოლიტოლოგიის ინსტიტუტი), **გინდრა კასნაუსკიენე** (პროფესორი, ვილნიუსის უნივერსიტეტი,) **სტივენ კოენი** (კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი), **ვლადიმერ მენშიკოვი** (პროფესორი, დაუგავილის უნივერსიტეტი, ლატვია), **სლავომირ პარტიცკი** (იოანე პავლე II-ს სახელობის ლუბლიანას კათოლიკური უნივერსიტეტი), **გალინა სავინა** (პროფესორი, ხარკოვის ტექნიკური უნივერსიტეტი,) დაროლ ჯ. სტეინლი (პროფესორი, პეპერდაინის უნივერსიტეტი), ალექს სტუპნიცკი (პროფესორი, ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის ეროვნული უნივერსიტეტი,) **ადამ ნიუმენ ტიორნერი** (პროფესორი, ლესტერის უნივერსიტეტი, ლესტერი, დიდი ბრიტანეთი).

VIII. ინსტიტუტის ორგანიზებით ჩატარდა:

1. ინსტიტუტის დაარსებიდან 75-ე და აკადემიკოს **პაატა გუგუშვილის** დაბადებიდან 115-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია და საიუბილეო სხდომა.

2. პროფ. **გიორგი წერეთლის** დაბადებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია და საიუბილეო სხდომა.

3. პროფესორ **გიორგი პაპავას** დაბადებიდან მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია და საიუბილეო სხდომა.

IX. **ჩატარდა ერთობლივი კონფერენციები:**

1. ლუბლინის (პოლონეთი) იოანე პავლე II კათოლიკური უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ინტერნეტის სოციოლოგიური კვლევის ცენტრთან ერთად ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „ტექნოლოგია-საზოგადოება-მდგრადობა

ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში“ (ლუბლინი, 20-22 მაისი, 2024);

2. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეკონომიკის სექციასა და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტთან ერთად ჩატარდა საქართველოს ეკონომისტთა VI ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია: „მსოფლიო წესრიგის ტრანსფორმაცია და ეკონომიკური უსაფრთხოება: „საქართველოს ძირითადი გამოწვევები და შესაძლებლობები“ (ქუთაისი, 13 სექტემბერი, 2024).

X. ინსტიტუტის თანამშრომლებმა (პროფ. **გიორგი ბერულავამ** და აკადემიურმა დოქტორმა **თეიმურაზ გოგოხიამ)** მოიპოვეს რუსთაველის ფონდის საერთაშორისო გრანტი, ასევე ინსტიტუტმა 2023 წელს მოიპოვა რუსთაველის ფონდის საკონფერენციო გრანტი.

* * *

და ბოლოს, მადლობა მინდა გადავუხადო ყველას ვინც წვლილი შეიტანა ინსტიტუტის შენარჩუნებასა და წარმატებებში. უპირველეს ყოვლისა მადლობა ინსტიტუტის კოლექტივს, მის თითოეულ წევრს, როგორც მათი მეცნიერული საქმიანობის, ისე ურთიერთმხარდაჭერისა და სოლიდარობისათვის.

მადლობა უნივერსიტეტის ყოფილ ხელმძღვანელობას (რექტორებს: **ალექსანდრე კვიტაშვილს,** აკადემიკოს **ვლადიმერ პაპავას,** პროფესორ **გიორგი შარვაშიძეს,** კანცლერებს: **დავით ჩომახიძეს, ნუნუ ოვსიანიკოვას),** რომელთაც ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ უნივერსიტეტში არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები შენარჩუნებულიყო და განვითარებულიყო.

მადლობა უნივერსიტეტის ახალ ხელმძღვანელობას (რექტორს აკადემიკოს **ჯაბა სამუშიას,** რექტორის მოადგილეებს: ქალბატონ **ნინო გვენეტაძეს,** ბატონ **ერეკლე ასტახიშვილს,** ბატონ **კახაბერ ჭეიშვილს;** კანცლერს ბატონ **ლაშა საღინაძეს** უნივერსიტეტში სამართლიანი და მშვიდი ატმოსფეროს არსებობის, ინსტიტუტების თანამშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების ზრუნვისათვის. მადლობა უნივერსიტეტის მეცნიერებისა და განვითარების დეპარტამენტს (ხელმძღვანელს **გიორგი ღვედაშვილს,** ხელმძღვანელის მოადგილეს **თეა წითლანაძეს),** უნივერსიტეტის ყველა დეპარტამენტს, რომელთაგან ყოველთვის იგრძნობოდა და იგრძნობა თანადგომა და დახმარება.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს, ჩვენი ინსტიტუტის დიდ მეგობარს, აკადემიკოს **როინ მეტრეველს,** ვიცე პრეზიდენტს რამაზ ხუროძეს საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებას ხელმძღვანელს **ლია მელიქიშვილს,** მთელ აკადემიას სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების შენარჩუნებისა და განვითარების მიმართულებით გაწეული საქმიანობისათვის, ეკონომიკური მეცნიერებისადმი გამოჩენილი მუდმივი ყურადღებისათვის.

მადლობა მინდა გადავუხადო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხელმძღვანელობასა და პროფესურას (დეკანს, პროფესორ **გიორგი ღაღანიძეს,** დეკანის მოადგილეს ეკონომიკის დოქტორს **მანანა ლობჟანიძეს,** კათედრის ხელმძღვანელებს: აკადემიკოს **ავთანდილ სილაგაძეს,** პროფესორებს: **იური ანანიაშვილს, სიმონ გელაშვილს, რევაზ გველესიანს, ნუგზარ თოდუას, ირაკლი კოვზანაძეს, ელგუჯა მექვაბიშვილს, დავით ნარმანიას, ლევან საბაურს, დემურ სიჭინავას, მირიან ტუხაშვილს,**

თემურ შენგელიას, ეთერ ხარაიშვილს, იოსებ ხელაშვილს) მხარდაჭერისა და თანადგომისათვის.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ასევე ინსტიტუტის ყოფილი თანამშრომლების თანადგომა, რომლებიც დღეს წარმატებით მოღვაწეობენ სხვადასხვა სფეროში (თსუ ასოცირებულ პროფესორებს: **უშანგი სამადაშვილს, გივი ბედიანაშვილს, გულნაზ ერქომაიშვილს, ნარინა მუჩიაშვილს და სხვებს)**.

მადლობა საქართველოს ეკონომიკურ საზოგადოებას (აკადემიკოსებს: **მიხეილ ჯიბუტს, სოლომონ პავლიაშვილს,** ს/მ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებს: **ნოდარ ჭითანავას, პაატა კოღუაშვილს,** ილიას უნივერსიტეტის ეკონომიკისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს **ავთანდილ სულაბერიძეს** და სხვ.), გვერდში დგომისა და დახმარებისათვის.

მადლობა და არდავიწყება ამ ქვეყნიდან წასულ ინსტიტუტის თანამშრომლებს.

* * *

ინსტიტუტის მე-80 წლისთავზე ახლანდელ თაობას შეუძლია იამაყოს, რომ მათ, სერიოზული საფრთხეების მიუხედავად, შეძლეს, არათუ შეენარჩუნებინათ ინსტიტუტი და წინაპართა ტრადიციები, არამედ კიდევ უფრო გაეძლიერებინათ და გაემდიდრებინათ იგი.

კიდევ უფრო დიდი წარმატებები ვუსურვოთ მას მომავალში.

რამაზ აბესაძე

ემდ, პროფესორი, ინსტიტუტის დირექტორი,
სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე,

PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS - 80

Over the past 15 years, despite the well known challenges, the Institute of Economics by Paata Gugushvili at Tbilisi State University, in addition to scientific activities, has achieved a significant success in the directions of achieving international scientific standards and scientific-organizational activities, namely:

1. In 2009, by own financial resources, was founded the international scientific-analytical journal ~Economisti~. The growth of the journal's rating is indicated by the fact that since 2016 it has been published both in the print and electronic forms (www.ekonomisti.tsu.ge), in English, Russian and Georgian languages and is indexed in a large electronic database (ERIH PLUS). Nowadays are published 72 issues of journal ;

2 In 2008, by own financial resources, was founded the periodical publication „The Collection of Scientific Works of Paata Gugushvili Institute of Economics“ in which are published the planned works of the Institute's scientists and researchers as well as other scientific articles on current economic problems. Nowadays are published 16 volumes;

3. The discussing hall was established, where have made presentations both, our and foreign scientists (academician Vladimir Papava, professor Ramaz Abesadze, member-correspondent of the Russian Academy of Sciences- Dimitri Sorokin, professors: Slavomir Particki (Poland), Levan Efremidze (USA), etc.;

4. It was established the scientific prize named by academician Paata Gugushvili ;

5. It has become a tradition to organize international and national scientific conferences organized by the Institute (with its own funds). (There were organized 21 international and 2 national scientific conferences); It had been published 22 collections of conference materials;

6. Together, with the Economics Section of the National Academy of Sciences of Georgia, annually are organized the national scientific conferences dedicated to the Day of Economics;

7. It has been strengthened the international scientific relations worldwide. The Institute has connections with world's leading educational and scientific centers;

8. It had been created the website of the Institute as well as the sites of international conferences organized by Institute and the journal's „Economisti".

9. The 65th, 70th and 75th anniversaries of the Institute had been celebrated with jubilee sessions. In connection with these dates, based on the acquisition of new archival materials, the following books were published: **„Institute of Economics 65", „Institute of Economics 70" and „Institute of Economics 75"**;

10. It has become a good tradition to celebrate the jubilee dates of famous Georgian economists ;

11. It has begun the preparation of the **„Great Georgian Economic Encyclopedia" ;**

12. According to scientific and organizational works, the Institute was awarded twice, in 2009 and 2010 years, as the winner (as the best scientific-research organization) among scientific-research institutes in the field of public sciences, which was awarded by the National Academy of Sciences of Georgia in accordance with the Georgian legislation. Since then, that competition had not been held anymore, due to the merger of the institutes with the universities;

13. Recommendations, suggestions and opinions had been prepared, which had been published as a book - "Some Directions of Economic and Social Development of Georgia: Recommendations, Suggestions, Opinions". (Tb. TSU "The Publishing House of Paata Gugushvili Institute of Economics", 2013, (editor **Prof. Ramaz Abesadze**) and the

book was sent to the relevant state and official organizations and bodies.

During the last five years (2020-2024):

1.By scientists and researchers of the Institute are published more than 448 scientific articles and brochures, more than 8 monographs, including 22 articles and 2 monographs abroad, 9 articles in journals with an impact factor.

More than 211 articles, as well as many newspaper's articles and interviews were published in the collections of materials of international scientific-practical conferences. During the last five years have published 5 volumes of scientific works of the Institute, 20 issues of the journal „Economisti". 8 collections of materials from international scientific-practical conferences;

2. In 2021, the Institute completed work on an important project - "European integration and problems of innovative economy formation in Georgia". Work is underway on the publication of the corresponding collective monograph.

In the same year, an important 7-year project was developed - "Economic, Social and Environmental Security Strategy of Georgia", which was presented at University and the Ministry of Education and Science, and work on it's realization was begun in 2022.

3. The institute became a member of international organizations:

1. United Nations Sustainable Development Decision Network (UN SDSN-Institute into list of members is N-479). We are also actively involved in the Black Sea Countries Program of this organization (UN SDSN The Black Sea Countries Program);

2. The research and innovation program established by the European Commission (European Commission Program on Research and Innovation, Institute's code: 903928742)

4. In 2023 was founded the Institute's newspaper –**„Economy and Society";**

5. International scientific relations of the Institute were strengthened and enlarged. The Institute has connections with such scientific and educational centers that are : Columbia University (New York, USA); Institute of Economics of the Russian Academy of Sciences (Moscow, Russia); New York University (New York, USA); University of California (at Berkeley, USA); University of California (at Davis, USA); University of California (at Los Angeles, USA); University of Calgary (Canada); University of Bergen (Norway); Kepler University (Austria); Trinity University (Ireland); University of London (UK); London School of Economics (UK); Vienna University of Economics and Business (Austria); Ghent University (Belgium); University of Poznan (Poland); John Paul II Catholic University of Lublin (Poland); Taras Shevchenko Kyiv National University (Kiev, Ukraine); Tel-Aviv University (Israel); European University Institute (Italy); Erasmus University (Netherlands); Institute of Economic Relations (London, UK); Vilnius University (Vilnius, Lithuania);

6. Famous foreign scientists became members of the scientific-editorial board of the journal "Economisti" : Jeffrey D. Sachs (Professor at Columbia University in New York, USA, the special adviser to the United Nations Secretary General), Frank Arauho (Professor, University of California at Berkeley , USA), Joshua Bernstein (Professor at New York University, USA) Larisa Belinskaya (Professor, Vilnius University, Lithuania), Ruslan Greenberg (Corresponding Member of the Russian Academy of Sciences, Russia), Simone Guerchini (Professor, University of Florence, Italy), Barney Eredia (Professor at California University at Davis, USA), Wolfgang Weng (Professor at Technical University of Berlin, Germany), Thomas D. Willett (Professor at University of Clermont, USA), Eldar Ismailov (Professor at Baku Institute of Social, Management and Political Science, Azerbaijan), Gindra Kasnauskiene (Professor at University of Villnius, Lithuania), Steven Cohen (Professor at Columbia University, USA), Vladimir Menshikov (Professor at Daugavpils University, Latvia), Slavomir Particki (John Paul II Catholic

University of Ljubljana, Poland), Galina Savina (Professor, Kharkiv Technical University, Ukraine), Roll J, Alex Stupnitsky (Professor at Taras Shevchenko Kyiv National University, Ukraine), Adam Newman Turner (Professor at University of Leicester ,UK);

7. It had been organized some anniversaries and jubilees :

1. 75th anniversary of the founding of Institute, 115th anniversary dedicated the birth of academician **Paata Gugushvili.** International scientific conferences and jubilee sessions dedicated to the 70th jubilee of **Professor Giorgi Tsereteli** and the 100th jubilee of **Professor Giorgi Papava;**

8. The combined and joint conferences:

1. International scientific conference: "Technology-Society-Sustainability in Central and Eastern Europe" was organized together with the Center for Sociological Research of Economy and Internet of John Paul II Catholic University of Lublin (Poland), May 20-22, 2024.)

2. Together, with the Economics Section of the National Academy of Sciences of Georgia and Akaki Tsereteli University of Kutaisi, the VI-th National Scientific Conference of Georgian Economists: „Transformation of the World Order and Economic Security: Georgia's Main Challenges and Opportunities“ (Kutaisi, September 13, 2024);

9. The scientists and researchers of the Institute granted an international grant from Rustaveli Foundation, and in 2023 the Institute also was granted for organizing annual conference from the same Foundation .

Ramaz Abesadze

Professor, Doctor of Economics
Director of Institute Chairman of Scientific Council

ИНСТИТУТ ЭКОНОМИКИ ИМИНИ ПААТА ГУГУШВИЛИ - 80

За последние 15 лет, несмотря на известные трудности, Институт экономики имени Пааты Гугушвили ТГУ, помимо научной деятельности, добился значительных успехов в направлении достижения международных научных стандартов и научно-организационной деятельности, а именно:

1.В 2009 году на собственные средства основан международный научно-аналитический журнал „Экономист“. О росте рейтинга журнала говорит тот факт, что с 2016 года он издается как в печатном, так и в электронном (www.ekonomisti.tsu.ge) виде (на английском, русском и грузинском языках) и индексиру-ется в крупной электронной базе данных. (ЭРИХ ПЛЮС). На сегодняшний день вышло 72 номера журнала;

2. В 2008 году на собственные средства было основано периодическое издание „Сборник научных трудов Института Экономики имени Пааты Гугушвили“, в котором печатаются плановые труды научных сотрудников Института и другие научные работы по актуальным экономическим проблемам. На сегодняшний день опубликовано 16 томов;

3. Создан дискуссионный зал, где выступили с докладами как наши, так и зарубежные ученые (академик Владимир Папава, профессор Рамаз Абесадзе, член-корреспондент РАН Дмитрий Сорокин, профессора: Славомир Партицкий (Польша), Леван Ефремидзе(США), и т.д.;

4. Учреждена научная премия имени академика Пааты Гугушвили;

5. Стало традицией проведение международных и национальных научных конференций, организуемых Институтом (за

собственные средства) (провели 21-у международную и 2 национальные научные конференции); издано 22 сборника материалов конференций;

6. Ежегодно, совместно с отделом экономики Национальной Академии Наук Грузии, проводятся национальные научные конференции, посвященные Дню Экономики;

7. Укрепились международные научные связи. Институт имеет тесные контакты с ведущими мировыми образовательными и научными центрами;

8, Созданы сайты Института и проводимых Институтом международных конференций, а также сайт журнала „Экономист“;

9. Юбилейными сессиями были отмечены 65-ая, 70-ая и 75-ая годовщины создания Института. В связи с этими датами на основе приобретения новых архивных материалов были изданы книги: **„Институт Экономики 65“, „ Институт Экономики 70“ и Институт Экономики 75“;**

10. Стало традицией празднование юбилеев известных грузинских экономистов ;

11. Началась подготовка **„Большой Грузинской Экономической Энциклопедии“;**

12. По итогам научной и организационной работы Институт дважды подряд, в 2009 и 2010 годах, признавался победителем (лучшей научно-исследовательской организацией) среди научно-исследова–тельских институтов в области общественных наук, что было вручено Национальной Академией Наук Грузии в соответствии с законодательством Грузии. С тех пор указанный конкурс больше не проводился в связи с объединением институтов с университетами;

13. Подготовлены рекомендации, предложения и заключения, которые изданы в виде книги – „Некоторые направления

экономического и социального развития Грузии: Рекомендации, предложения, мнения“. (Тб., ТГУ «Издательство Института экономики имени Пааты Гугушвили», 2013 г., (ред. **проф. Рамаз Абесадзе**) и отправлено в соответствующие государственные органы.

За последние пять лет (2020-2024гг.)

1. Сотрудниками Института опубликовано более 448 научных статей и брошюр, более 8 монографий, в том числе 22 статьи и 2 монографии за рубежом, 9 статей в журналах с импакт-фактором. Более 211 статей, а также множество газетных статей и интервью опубликовано в сборниках материалов международных научно-практических конференций. За последние пять лет издано 5 томов научных трудов Института, 20 номеров журнала «Экономист», 8 сборников материалов международных научно-практических конференций и др.;

2. В 2021 году Институт завершил работу над важным проектом – «Европейская интеграция и проблемы формирова-ния инновационной экономики в Грузии». Ведется работа над изданием соответствующей коллек–тивной монографии.

В том же году был разработан важный семилетний проект – „Стратегия экономической, социальной и экологической безопасности Грузии“, который был представлен университету и Министерству образования и науки, а работа над ним началась в 2022 году.

3. В 2019 году Институт стал членом международной организации:

1. Сеть по принятию решений в области устойчи–вого развития при ООН (N-479). Мы также активно участвуем в Программе стран Черного моря этой организации (UN SDSN The Black Sea Countries Program);

2. Программа исследований и инноваций, учрежденная Европейской комиссией (European Commission Program on Research and Innovation, Institute's code: 903928742)

4. В 2023 году основана газета Института – **„Экономика и Общество“;**

5. Укрепились международные научные связи. Институт имеет связи с такими научными и образова–тельными центрами, как: Колумбийский университет (Нью-Йорк, США); Институт Экономики РАН (Москва, Россия); Нью-Йоркский университет (Нью-Йорк, США); Калифорнийский университет в Беркли (США); Калифорнийский университет в Дэвис (США); Калифорнийский университет в Лос-Анджелесе (США); Университет Калгари (Канада); Бергенский университет (Норвегия); Университет Кеплера (Австрия); Университет Тринити (Ирландия); Лондонский университет (Великобритания); Лондонская школа экономики (Великобритания); Венский университет экономики и бизнеса (Австрия); Гентский университет (Бельгия); Познаньский университет (Польша); Люблинский католический университет имени Иоанна Павла II-го (Польша); Киевский национальный университет имени Тараса Шевченко (Киев, Украина); Тель-Авивский университет (Израиль); Институт Европейского Университета (Италия); Университет Эразмуз (Нидерланды); Институт экономических отношений (Лондон, Великобритания); Вильнюсский университет (Вильнюс, Литва);

6. Членами научно-редакционного совета журнала «Экономист» стали известные зарубежные учёные: Джеффри Сакс (профессор Колумбийского университета, США, специальный советник ген. Секретаря ООН), Фрэнк Араухо (профессор Калифорнийского университета в Беркли, США), Джошуа Бернстайн (профессор Нью Йоркского университета, США), Лариса Белинская (профессор Вильнюсского университета, Литва), Руслан

Гринберг (член-корреспондент РАНб Россия), Симона Гверчини (профессор Флорентийского университета, Италия), Барни Эредиа (профессор, Калифорнийского университета, США), Вольфганг Венг (профессор, Технического университетф Берлина, Германия), Томас Д. Уиллетт (профессор Клермонского университета, США), Эльдар Исмаилов (профессор Бакинского института социальных, управленческих и политических наук, Азербайджан), Гиндра Каснаускене (профессор Университета Вильнюс, Лиетува), Стивен Коэн (профессор Колумбийского университета, США), Владимир Меньшиков (профессор Даугавпилсского университета, Латвия), Славомир Партицкий (Католический университет имени Иоанна Павла II-го в Любляне, Польша), Галина Савина (профессор Харьковского технического университета, Украина), Алекс Ступницкий (профессор, Киевский нацио-нальный университет имени Тараса Шевченко, Украина), Адам Ньюман Тернер (профессор, Лестерсского Университета, Великобритания);

7. Проведены мероприятия по случаю:

1. 75-ой годовщины со дня основания Института, 115-ой годовщины со дня рождения **академика Пааты Гугушвили**. Международные научные конференциии и юбилейные сессии, посвященные 70-летию со дня рождения **профессора Гиоргия Церетели**и, к 100-летию со дня рождения **профессора Георгия Папавы**.

8. Совместные конференции:

1. Международная научная конференция: „Техно–логии-Общество-Устойчивость в Центральной и Восточной Европе“ проведена совместно с Центром социологических исследований экономики и интернета Люблинского католического университета имени Иоанна Павла II-го (Польша) (Люблин, 20-22 мая, г. 2024);

2. Совместно с отделением экономики Национальной академии наук Грузии и Кутаисским университетом имени Акакия Церетели проводится VI-ая Национальная научная конференция экономистов Грузии: **„Трансформация мирового порядка и экономическая безопасность: основные вызовы и возможности Грузии“ (Кутаиси, 13 сентября 2024 г.);**

9. Сотрудники Института получили международный грант Фонда Руставели, а в 2023 году Институт также получил грант по проведению конференции от Фонда Руставели.

Рамаз Абесадзе

Профессор, Доктор Экономических Наук,
Директор Института,
Председатель Научного Совета

მ ი ლ ო ც ვ ე ბ ი

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი დაარსებიდან 80 წლის იუბილეს აღნიშნავს

ეკონომიკის, როგორც ქვეყნის სიძლიერის ერთ-ერთი ფუნდამენტის შესწავლის აუცილებლობას XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ნათლად ხედავდა ვახუშტი ბატონიშვილი. მისი ნაშრომი „აღწერაჲ სამეფოსა საქართველოსა“ მოიცავს უნიკალურ ცნობებს საქართველოს ცალკეული კუთხეების ეკონომიკური შესაძლებლობების შესახებ. რა თქმა უნდა, ვახუშტისთან მხოლოდ ემპირიული ცნობებია გადმოცემული. კომპლექსური ანალიზი ქართული ეკონომიკისა, მხოლოდ XIX საუკუნეში დაიწყო და მაშინაც ამ საკითხს ერთეული მეცნიერები ეხებოდნენ. ეკონომიკური მეცნიერებების განვითარების აუცილებლობაზე არაერთ სტატიაში საუბრობს დიდი ილია. ის სწორედ „ეკონომიკურ აგებულებასა და წყობაში“ ხედავს იმ სიძლიერეს, რომლის წყალობითაც ჩვენმა ერმა გაუძლო უამრავ შემოსევასა და აოხრებას. ილია ჭავჭავაძე მოუწოდებდა მეცნიერებს შეესწავლათ და გამოერკვიათ საქართველოს წარსულის ეს შეუსწავლელი სფერო.

საქართველოს ეკონომიკური ისტორიის მეცნიერული შესწავლა დაკავშირებულია **ივ. ჯავახიშვილის** სახელთან. 1907 წელს მან გამოსცა ნაშრომი „საქართველოს ეკონომიკური ისტორია“. იმ ეპოქაში ეს იყო სრულიად ახალი სიტყვა მეცნიერებაში.

ამავე პერიოდში, საქართველოში აქტიურად ინტერესდებიან ეკონომიკური მეცნიერებით. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე იბეჭდება საინტერესო კვლევები, საგაზეთო წერილები ეკონომიკური აზრის შესახებ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების წინა პერიოდში უკვე მოღვაწეობ-

დნენ ახალგაზრდა მეცნიერები, რომელთაც შეეძლოთ საკუთარ თავზე აეღოთ მისია ქართული ეკონომიკური მეცნიერების სკოლის ჩამოყალიბებისა. 1918 წელს, უნივერსიტეტის გახსნისთანავე, **ფილიპე გოგიჩაიშვილის** თაოსნობით დაიწყო ისეთი კურსების კითხვა, როგორიცაა: პოლიტეკონომია, ფინანსები, სტატისტიკა, ეკონომიკური აზრის ისტორია. 1922 წელს, შეიქმნა სოციალ-ეკონომიკური ფაკულტეტი (ეკონომიკის ფაკულტეტი კი 1931 წელს ჩამოყალიბდა).

სწორედ ამ პერიოდიდან იწყება ჩვენს ქვეყანაში ასე საჭირო პროფესიის კადრების აღზრდა და ეკონომიკის, როგორც ქვეყნის განვითარებისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგის განვითარება. დღის წესრიგში ამ პროფილის მეტად გაფართოების საკითხი დადგა. ამიტომაც, პირველი ქართველი ეკონომისტების ძალისხმევით, განსაკუთრებით აკადემიკოს **პაატა გუგუშვილის** ინიციატივითა და ხელმძღვანელობით 1944 წელს ჩამოყალიბდა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომელიც საქართველოში ამ პროფილის ერთადერთი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებაა დღემდე.

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი საქართველოში ეკონომიკის სფეროში ფუნდამენტური და გამოყენებითი მიმართულების მსხვილი სამეცნიერო კვლევითი ცენტრია, რომლის წვლილი ქვეყნის განვითარებაში უდიდესია. ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები მონაწილეობდნენ და დღესაც ჩართულები არიან ქვეყნის უმნიშვნელოვანესი გამოწვევების გააზრებასა და განხორციელებაში. განსაკუთრებით დიდია ინსტიტუტის მეცნიერ-ეკონომისტების როლი საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრულ სტანდარტებთან მიახლოების და მოთხოვნების შესრულების საქმეში.

80 წლის ინსტიტუტი დღემდე ინარჩუნებს აქტუალობას როგორც ქვეყნის, ასევე საერთაშორისო მასშტაბით. ამის დასტურია რეიტინგული სამენოვანი სამეცნიერო ბეჭდურ-ელექტრონული ჟურნალი „ეკონომისტი“ („Ekonomist“), რომელიც ინდექსირებულია ERIH PLUS-ში. ამ ჟურნალში ქართველ მეცნიერებთან ერთად მსოფლიოს წამყვანი ეკონომისტები ბეჭდავენ სტატიებს უახლეს ეკონომიკურ მიღწევებზე.

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემადგენლობაში ყოფნა ხელს უწყობს ეკონომიკის არა მხოლოდ სამეცნიერო კუთხით განვითარებას, არამედ მნიშვნელოვან როლს თამაშობს თსუ-ის შესაბამისი მიმართულების სტუდენტების სწავლების, სტაჟირებისა და პრაქტიკის საქმეში.

კიდევ ბევრ სამეცნიერო და პრაქტიკულ მიღწევას ვუსურვებ თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტს, მის თანამშრომლებს ქვეყნის განვითარების საქმეში.

აკადემიკოსი **ჯაბა სამუშია**
თსუ რექტორი

ახალ წარმატებებს გისურვებთ

80 წლის შესრულდა – პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი – ქვეყნის უმნიშვნელოვანესი კვლევითი დაწესებულება. რვა ათეული წელი ინსტიტუტმა ღირსებით გაიარა. იგი ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალკვალიფიციური კადრებით სწორედ მათი საშუალებით ხდებოდა უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური პრობლემების შესწავლა. ინსტიტუტმა ღირსეული სახელი და მაღალი ავტორიტეტი დაიმკვიდრა. იგი რეალურად იდგა სახელმწიფოს სამსახურში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმ მოვლენას, რომ 1957 წელს ინსტიტუტში შეიქმნა სამართლის განყოფილება, რომელიც შემდგომში სამართლის სექტორად გარდაიქმნა (ინსტიტუტსაც ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი ეწოდა). გარკვეული დროის შემდეგ სამართლის მეცნიერება ცალკე კვლევით ცენტრად ჩამოყალიბდა. ქვეყნის სამეცნიერო საზოგადოებამ აშკარად დაინახა იმ დიდი შრომის შედეგი, რომელსაც ეკონომიკის ინსტიტუტი ეწეოდა. აქ წარმატებით შეისწავლიდნენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეკონომიკურ პრობლემებს, სოციოლოგიისა და დემოგრაფიის, ფინანსებისა და აღრიცხვის, მათემატიკური სტატისტიკის, ეკონომიკური კიბერნეტიკის და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

ინსტიტუტმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და ზოგიერთ სხვა უმაღლეს სასწავლო-კვლევით დაწესებულებებთან ერთად დიდი წვლილი შეიტანა მაღალი დონის კადრების აღზრდის საქმეში.

ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ ხელი შეუწყო მძლავრი ეკონომიკური სკოლის ჩამოყალიბებას. დიდია აკადემიკოს

პაატა გუგუშვილის და მისი კოლეგების, ცალკეულ მეცნიერ-თანამშრომლების ღვაწლი ინსტიტუტის განვითარების საქმეში, ქვეყნის წინაშე მდგარი სამეცნიერო-ეკონომიკური საკითხების კვლევაში. დიდი ამაგი დასდო ზოგადად ეკონომიკის დარგის განვითარებასა და ინსტიტუტის წინსვლას აკადემიკოსმა ავთანდილ გუნიამ. ახალი ენერგია შთაბერა კვლევას და ინსტიტუტის სახელის ფართოდ გატანას საერთაშორისო მასშტაბით აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ. გარკვეული წვლილი შეიტანა საქმის წინსვლაში პროფესორმა გიორგი წერეთელმა და ინსტიტუტის ახლანდელმა დირექტორმა, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა რამაზ აბესაძემ. ინსტიტუტი მაღალი დონის კვლევით ცენტრად ჩამოყალიბდა.

გულწრფელად ვულოცავ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის ყველა თანამშრომელს, ქართველ მეცნიერებს – მნიშვნელოვან თარიღს – ინსტიტუტის მე – 80 წლისთავს. წარმატებებსა და წინსვლას გისურვებთ.

როინ მეტრეველი

აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა
ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი

მადლობა და წარმატება ჩემს ინსტიტუტს!

1944 წელს, სანამ მეორე მსოფლიო ომი დასრულდებოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სტრუქტურაში შეიქმნა ეკონომიკის ინსტიტუტი. ის საქართველოში თავიდანვე გახდა ეკონომიკის მოწინავე სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება. საყურადღებოა, რომ ეკონომიკის ინსტიტუტი იმთავითვე გამოირჩეოდა, როგორც საქართველოს ეკონომიკური ისტორიის და საქართველოს მიმდინარე ეკონომიკური პრობლემების შესწავლის უმთავრესი სამეცნიერო ცენტრი.

ინსტიტუტის დაარსებიდან მისი დირექტორი და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე ცნობილი ქართველი ეკონომისტი და საზოგადო მოღვაწე, აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი იყო. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი თემატიკა თავიდანვე ეროვნული საკითხების კვლევაზე იყო მიმართული. შედეგად ინსტიტუტი საკავშირო მასშტაბით იყო გამორჩეული, როგორც საქართველოსა და კავკასიის ეკონომიკური ისტორიის კვლევის უმთავრესი ცენტრი.

დღეს ეკონომიკის ინსტიტუტი მისი დამფუძნებლის – **პაატა გუგუშვილის** სახელს ატარებს.

საყურადღებოა, რომ ეკონომიკის ინსტიტუტის კედლებში წარმატებით მუშაობდნენ ქართველი იურისტებიც. ინსტიტუტს ამ პერიოდში ერქვა ეკონომიკის და სამართლის ინსტიტუტი. მოგვიანებით იურისტები გამოეყვნენ ეკონომიკის ინსტიტუტს და საქართველოს მეცნერებათა აკადემიის ქოლგის ქვეშ შექმნეს სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი. ეკონომიკის ინსტიტუტის ასევე გამოეყ-

ვნენ დემოგდრაფები, რის შედეგადაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში დემოგრაფიის და სოციოლოგიის ინსტიტუტის დაარსდა. აუცილებლად ხაზგასასმელია, რომ საქართველოში დემოგრაფიაში სამეცნიერო კვლევების ფუძემდებელი აკადემიკოსი **პაატა გუგუშვილი** იყო.

კარგადაა ცნობილი, რომ ნაციონალების მმართველობის პირობებში საქართველოში მეცნიერებამ, ქართველმა მეცნიერებმა და უშუალოდ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ უდიდესი დარტყმა მიიღო, რის შედეგად არაერთი ცნობილი სამეცნიერო ერთეული ან საერთოდ დაიხურა, ან ფორმალურადაა შენარჩუნებული.

არც ეკონომიკური მეცნიერება აღმოჩნდა გამონაკლის მდგომარეობაში. კერძოდ, **პაატა გუგუშვილის** სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გარდა ეკონომიკის სფეროში მოქმედი ყველა სამეცნიერო ერთეული, სამწუხაროდ, დაიხურა.

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი დღეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემადგენლობაშია. დაარსებიდან 80 წლის საიუბილეო თარიღს **პაატა გუგუშვილის** სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, სამწუხაროდ, საკუთარი შენობის გარეშე ხვდება. ქართველი ეკონომისტები ვიმედოვნებთ, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ინსტიტუტისთვის მიცემულ პირობას შეასრულებს და მას ექნება თანამედროვე, ახლადაშენებული შენობა.

მიუხედავად სიძნელეებისა, ის წარმატებით აგრძელებს სამეცნიერო საქმიანობას, რაც გამოიხატება რეიტინგული ჟურნალის „ეკონომისტის“ და სამეცნიერო შრომების ყო-

ველწლიური კრებულების გამოცემაში, ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების ჩატარებასა და ინსტიტუტის თანამშრომლების მრავალრიცხოვან პუბლიკაციებში როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.

ინსტიტუტის სამეცნიერო კოლექტივს, მის ხელმძღვანელობას და ყველა ქართველ ეკონომისტს ვულოცავ ინსტიტუტის დაარსებიდან 80 წლისთავის იუბილეს, და ვუსურვებ შემდგომ შემოქმედებით წარმატებებს!

ვლადიმერ (ლადო) პაპავა

აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა
ეროვნული აკადემიის აკადემიკოს-მდივანი

საიუბილეო თარიღი

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტს, რომელიც 80 წლის წინ, 1944 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის **წიაღში, პაატა გუგუშვილის** ინიციატივით, დაარსდა **გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს!**

მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა და მასში მოღვაწე მეცნიერების თავდაუზოგავი შრომით, არაერთხელ დაიმსახურა საუკეთესო სამეცნიერო კვლევითი დაწესებულების სტატუსი.

იგი ეკონომიკის სფეროში ფუნდამენტური და გამოყენებითი მიმართულების მსხვილ სამეცნიერო კვლევით ცენტრად იქცა. განსაკუთრებით აღსანიშნავია აკადემიკოს პაატა გუგუშვილის მოღვაწეობა, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა საქართველოში ეკონომიკური სამეცნიერო სკოლის ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში.

გისურვებთ სამეცნიერო წინსვლას ჩვენი ქვეყნის სასიქადულოდ!!!

ლია მელიქიშვილი

აკადემიკოსი, აკადემიკოს-მდივანი, საქართველოს
მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებრივ
მეცნიერებათა განყოფილების წევრების სახელით

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის 80 წლის იუბილე

ძვირფასო კოლეგებო!

ჩვენ დღეს აღვნიშნავთ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 80 წლის იუბილეს. ინსტიტუტის კოლექტივი საერთაშორისო დონეზე აღიარებული მიღწევებით ხვდება ამ საიუბილეო თარიღს. მოგეხსენებათ, ინსტიტუტი დაარსდა 1944 წელს აკადემიკოს პაატა გუგუშვილის ინიციატივით, ხოლო 2010 წლიდან რეორგანიზებული იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულად. ინსტიტუტი ეკონომიკის სფეროში საუკეთესო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება და პრიორიტეტული სამეცნიერო მიმართულებების განმსაზღვრელია. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას და სამეცნიერო კადრების მომზადებას. ინსტიტუტს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად დიდი წვლილი მიუძღვის კადრების აღზრდაში ეკონომიკის მიმართულებით. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ ინსტიტუტში აკადემიკოს პაატა გუგუშვილის თაოსნობით დაიწყო საქართველოს დემოგრაფიული პრობლემების კვლევა, რის საფუძველზეც შემდეგ შეიქმნა დემოგრაფიის ინსტიტუტი.

ასევე, საგულისხმოა, რომ ინსტიტუტი წარმატებით თანამშრომლობს ადგილობრივ და უცხოეთის წამყვან სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან, აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო კვლევებში, რომლებიც მაღალი მეცნიერული დონით გამოირჩევიან, რეგულარულად ატარებს სამეცნიერო კონფერენციებს და სამეცნიერო ტიპის სხვა ღონისძიებებს. გამოიცემა ჟურნალი „ეკონომისტი“, რომელიც ERIH

PLUS-ის ბაზაშია ინდექსირებული და რომლის სამეცნიერო-სარედაქციო საბჭოში იმყოფებიან მსოფლიოში ცნობილი მეცნიერები. დიდი მნიშვნელობა ენიჭება სტუდენტთა ჩართვას სამეცნიერო საგრანტო პროექტებში და ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში.

ინსტიტუტის პირველი დირექტორი იყო აკადემიკოსი **პაატა გუგუშვილი.** შემდეგ დირექტორები იყვნენ ცნობილი მეცნიერები: აკადემიკოსი **ავთანდილ გუნია,** აკადემიკოსი **ვლადიმერ პაპავა** და პროფესორი **გიორგი წერეთელი.** ამჟამად ინსტიტუტის დირექტორია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **რამაზ აბესაძე.** აღსანიშნავია მათი განსაკუთრებული წვლილი ინსტიტუტის წინსვლაში.

ინსტიტუტი წარმატებით პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს, ზედიზედ ორჯერ, 2009 და 2010 წლებში, გამოცხადდა წლის საუკეთესო სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებად საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში. ასევე, ინსტიტუტის საერთაშორისო აღიარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ 2019 წელს ინსტიტუტი გახდა გაეროს მდგრადი განვითარების გადაწყვეტილებების საერთაშორისო ქსელის სრულუფლებიანი წევრი (UN SDSN).

და ბოლოს, გილოცავთ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის 80 წლის იუბილეს! ნება მომეცით გულწრფელი მადლობა გადაგიხადოთ მთელ გუნდს და გისურვოთ წარმატებები აქტიურ სამეცნიერო საქმიანობაში. წარმატება და წინსვლა ყოფილიყოს თქვენი მეგზური!

ღრმა პატივისცემით და
საუკეთესო სურვილებით,

კახაბერ ჭეიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე

საქართველოს ეკონომიკური მეცნიერების ფლაგმანი იუბილარია

პაატა გუგუშვილის სახელობის ინსტიტუტი, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის სამართალ მემკვიდრეა, ყოველთვის იდგა და დღესაც დგას ჩვენ ქვეყანაში ეკონომიკური მეცნიერების განვითარების და მეცნიერ-ეკონომისტთა კადრების მომზადების ავანგარდში. იგი წლების მანძილზე ასევე წარმატებით ასრულებდა საქართველოში ეკონომიკისა და ბიზნესის სფეროებში პრიორიტეტული სამეცნიერო მიმართულებების განმსაზღვრელის და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კოორდინატორის საპატიო და საპასუხისმგებლო როლს.

1944 წელს ეკონომიკის ინსტიტუტის შექმნას პროფესორ პაატა გუგუშვილის თაოსნობით და ხელმძღვანელობით, ეპოქალური მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში ეკონომიკური მეცნიერების განვითარებისა და ეკონომიკური აზროვნების კულტურის ამაღლებისათვის. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სწორედ ამ ინსტიტუტში დაგროვილ გამოცდილებაზე დაყრდნობით და მის კედლებში ჩამოყალიბებული კვალიფიციური სამეცნიერო კადრების მონაწილეობით ჩამოყალიბდა საქართველოში ეკონომიკური პროფილის რამდენიმე ინსტიტუტი.

თავისი არსებობის მანძილზე, ინსტიტუტმა ბევრჯერ განიცადა ცვლილება და მათ შორის, საეტაპო მოვლენად მიგვაჩნია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისი ინტეგრირება, რამაც მნიშვნე-

ლოვნად აამაღლა ინსტიტუტის პრესტიჟი და ცნობადობის დონე.

შემდგომ წინსვლას ვუსურვებ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტს.

ერეკლე ასტახიშვილი
პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
რექტორის მოადგილე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით

დღეს ჩვენ ერთად ვზეიმობთ საქართველოს ერთ-ერთი წამყვანი სამეცნიერო – კვლევითი დაწესებულების – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის 80 წლის იუბილეს. ეს თარიღი არა მხოლოდ ინსტიტუტისთვის, არამედ მთელი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი მოვლენაა.

ინსტიტუტის ისტორია საქართველოს ეკონომიკური განვითარების ისტორიის განუყოფელი ნაწილია. ამ წლების განმავლობაში, ინსტიტუტმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქვეყნის ეკონომიკური თეორიისა და პოლიტიკის განვითარებაში. აქ გაიზარდა მრავალი თაობის ეკონომისტი, რომლებმაც თავიანთი ცოდნა და უნარები ქვეყნის სასიკეთოდ გამოიყენეს.

ინსტიტუტის წარმატება მისი მაღალკვალიფიციური მეცნიერების დამსახურებაა. მათი ერთობლივი ძალისხმევით, ინსტიტუტი ყოველთვის იყო და რჩება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამის სამეცნიერო ცენტრად.

დღეს, როდესაც მსოფლიო ეკონომიკა სწრაფად იცვლება, ინსტიტუტის წინაშე ახალი გამოწვევები დგას. მე დარწმუნებული ვარ, რომ ინსტიტუტის კოლექტივი ამ გამოწვევებს წარმატებით გადალახავს და მომავალშიც შეინარჩუნებს თავის წამყვან როლს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საქმეში.

დასასრულს უახლოვდება ინსტიტუტის ახალი შენობის საპროექტო სამუშაოები, რომლის შემდგომაც გამოცხადდება ტენდერი სამშენებლო სამუშაოებზე.

უახლოეს წლებში უნივერსიტეტის ქუჩაზე, მაღლივი კორპუსის მიმდებარედ აშენდება თანამედროვე სტანდარტების შენობა, რომელსაც იმსახურებს ინსტიტუტი.

გილოცავთ იუბილეს! გისურვებთ ახალ წარმატებებს და კიდევ ბევრ წელს ერთად მუშაობას, უნივერსიტეტის და ქვეყნის განვითარებისთვის!

პატივისცემით,

ლაშა საღინაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის კანცლერი

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის საპატიო საიუბილეო თარიღი

ბატონო რამაზ, პატივცემულო კოლეგებო,

გილოცავთ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის საპატიო საიუბილეო თარიღს!

სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ საქართველოს თანამედროვე ისტორიაში არ ყოფილა რაიმე მნიშვნელოვანი მაპროფილებელი სამეცნიერო და პრაქტიკული ღონისძიება, რომელშიც თავისი ავტორიტეტული სიტყვა არ ეთქვას ინსტიტუტს და მის მაღალკვალიფიცირებულ მკვლევარებს!

საქართველოში მიმდინარე რთული ტრანსფორმაციული პროცესების პირობებში ინსტიტუტმა შეძლო ტრადიციული ღირებულებების შენარჩუნება და განვითარება!

იმედია, შესაძლებლობის ფარგლებში, ყველაფერი გაკეთდება ქვეყანაში გამორჩეული ავტორიტეტის მქონე ეკონომიკური პროფილის ერთადერთი ინსტიტუტის სამუშაო პირობების გაუმჯობესებისთვის, რაც კიდევ მეტად გააძლიერებს მის სამეცნიერო პროდუქტიულობას და წვლილს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში.

კოლეგებო კიდევ ერთხელ გილოცავთ და ახალ წარმატებებს გისურვებთ!

ავთანდილ სილაგაძე

აკადემიკოსი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა
და ბიზნესის ფაკულტეტის კათედრის ხელმძღვანელი

ლეგენდარული ინსტიტუტი 80 წლისაა!

80 წელი სამეცნიერო კერის საქმიანობაში მაღალი მიჯნაა, საიდანაც კარგად ჩანს განვლილი გზის თითქმის ყველა მონაკვეთი: საქმიანობის დაწყების ეტაპი, პირველი ნაბიჯების შედეგები, წინააღმდეგობები, ეპოქის განვითარების თავისებურებანი, მზარდი როლის საეტაპო მნიშვნელობა ქვეყნისა და თავად ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში. ასეთი საყოველთაოდ აღიარებული მიდგომის თვალსაზრისით, სანიმუშო მაგალითს წარმოადგენს პაატა გუგუშვილის ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. იგი იუბილარია და 80 წლის საქმიანობის მდიდარი ისტორიით ანგარიშს აბარებს საზოგადოებას, ეროვნულ მეცნიერებას. რეზონანსული მნიშვნელობა ჰქონდა ინსტიტუტის შექმნას 1944 წელს. ეს ის დროა, როცა საქართველო სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ხალხებთან ერთად საბჭოთა კავშირის სახელით ებრძვის ფაშიზმს. ასეთ სიტუაციაში ინსტიტუტის შექმნა შემთხვევითი მოვლენა არ ყოფილა. იგი განპირობებული იყო ომის შემდგომი პერიოდის ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენის სტრატეგიული ამოცანების განხორციელების ისტორიული მნიშვნელობის სწორად გაცნობიერებით. ინსტიტუტმა დიდი წვლილი შეიტანა ომის შემდგომ პერიოდში მრავალდარგოვანი ეკონომიკის ომამდელი დონის აღდგენისა და მაღალი ტემპებით განვითარებაში. ეს პერიოდი ცნობილია როგორც „ეკონომიკური სასწაულების“ თვალსაჩინო მაგალითი, რომლის შექმნაში ინსტიტუტის სახელოვანი კოლექტივის ექსკლუზიური წვლილი განსაკუთრებულია.

ოცდათორმეტი (1944-1976წწ.) წლის განმავლობაში ინსტიტუტს მაღალი კომპეტენტურობით უძღვებოდა აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი. მის სახელთან უშუალოდ არის დაკავშირებული ინსტიტუტის კოლექტივის შემოქმედებითი წარმატებები. განუზომლად დიდია მისი როლი ეროვნული ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში. ამას დღევანდელობაც ადასტურებს. ეკონომიკური პროფილის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებიდან (ინსტიტუტები, ცენტრები) დღეს მხოლოდ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი ნაყოფიერად ფუნქციონირებს. იგი სიცოცხლისუნარიანი, დროის მოთხოვნების დონეზე შემოქმედებითი საქმიანობის ეპიცენტრში იმის კარგ მაგალითს იძლევა, თუ როგორ უნდა ემსახურებოდეს მეცნიერება ქვეყანას, საზოგადოებას.

კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ ინსტიტუტის მაღალრეიტინგულ დაწესებულებად ფორმირებაში ეკსკლუზიური წვლილი შეიტანეს სხვადასხვა დროს მისმა ხელმძღვანელებმა: **აკადემიკოსებმა ავთანდილ გუნიამ და ვლადიმერ პაპავამ, პროფესორმა გიორგი წერეთელმა.**

უკვე რამდენი წელია ინსტიტუტს ხელმძღვანელობს პროფესორი **რამაზ აბესაძე** – საქართველოს ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთი თვალსაჩინო ლიდერი. მან შეძლო ინსტიტუტის 8 ათეული წლის განმავლობაში განვლილი გზის – ტრადიციების შენარჩუნება-განვითარება, თანამედროვე მოთხოვნებთან მათი ადაპტირების რთული პროცესების სწორად გაცნობიერება და დღეს ეროვნული ეკონომიკური მეცნიერების ერთადერთი ინსტიტუტის წარმატებული ხელმძღვანელის მაღალი რეპუტაციით მაქსიმალურად ხელს

უწყობს ქვეყანაში საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებული ეკონომიკური სისტემის შემდგომ განვითარებას.

წარმატებებს ვუსურვებთ სახელოვან კოლექტივს. გვჯერა, რომ ინსტიტუტი მომავალშიც იქნება ეროვნული ეკონომიკური აზრის აღორძინების ავანგარდში.

ნოდარ ჭითანავა
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი

გულითადი მილოცვა ინსტიტუტის დაარსებიდან 80 წლისთავთან დაკავშირებით

ბატონო რამაზ,

ვფიქრობ, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ მეორე მსოფლიო ომის ჯერ კიდევ ქარცეცხლიან დღეებში (1944 წ.) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსება გმირობის ტოლფასი მოვლენა იყო. ამ საპატიო და ეროვნული მნიშვნელობის მისიის შესრულება წილად ხვდა ჭეშმარიტად გამორჩეულ ქართველ სწავლულ ეკონომისტსა და ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, აკადემიკოს **პაატა გუგუშვილს.** რომ არა მისი ორგანიზატორული ნიჭი და შემართება, ინსტიტუტი, რომლის დაარსებიდან 80 წლისთავს აღვნიშნავთ, დღეისთვის გაცილებით უფრო ახალგაზრდა იქნებოდა.

სულითა და გულით ვულოცავ სახელოვან ინსტიტუტს 80 წლის იუბილეს. მთელი ამ წლების მანძილზე პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი გვევლინებოდა საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური აზროვნების ცენტრად, სადაც მოღვაწეობდნენ და მოღვაწეობენ ქართული ეკონომიკური აზრის თვალსაჩინო წარმომადგენლები.

გისურვებთ დიდ ნაყოფიერ და ხანგრძლივ მოღვაწეობას ქვეყნისა და ერის საკეთილდღეოდ.

დიდი პატივისცემით

პაატა კოღუაშვილი

საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიის აკადემიკოსი

ქართული ეკონომიკური აზროვნების განვითარების ინსტიტუტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტს დაარსებიდან 80 წელი შეუსრულდა. ამ ხნის მანძილზე ინსტიტუტი ყოველთვის ასრულებდა უდიდეს როლს ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური განვითარების პოლიტიკისათვის შესაბამისი თეორიული საფუძვლების მომზადებით. განსაკუთრებით აღმავალი იყო მისი განვითარება საბჭოთა პერიოდში, რაც უზრუნველყოფილი იყო მაღალკვალიფიციური სამეცნიერო კოლექტივისა და მაშინდელი ხელისუფლების აქტიური ურთიერთთანამშრომლობით.

სამწუხაროდ, საქართველოს მიერ სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდეგ, სახელისუფლო ინტერესი ინსტიტუტისადმი, შემცირების დინამიკით ხასიათდება. პირიქით კი უნდა ყოფილიყო. ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს განხორციელებული საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სისტემის რეფორმა მხოლოდ მის დაშლაში გამოიხატა. ეკონომიკის ინსტიტუტს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სხვა სამეცნიერო კვლევით ცენტრებთან ერთად, ჯერ კიდევ არ მოუშუშებია ეს დარტყმა.

ქართული ოცნების ხელისუფლების პირობებში განხორციელდა, როგორც ამბობენ, კეთილი განწყობით, ფუნქციონირებისათვის უკეთესი პირობების შექმნის პირობით, ინსტიტუტის შენობის პრივატიზება. პრივატიზებიდან შემოსული თანხებით ახალი შენობის აშენებამდე, ფაქტია, რომ ინსტიტუტი თავის სახელოვან იუბილეს „ქუჩაში“ ხვდება,

მას არ აქვს სამუშაო წვდომა თავის ბიბლიოთეკასა და ფონ-დებთან. ერთადერთი, რაზეც დღეს ეს ინსტიტუტი დგას, იქ მომუშავე თავდადებული ადამიანებია. მათი ერთგულება ეკონომიკური მეცნიერებისადმი, მათი ღვაწლი, მათი თვით-შეწირვა შეუფასებელია.

ამ საზეიმო დღეს მე ქედს ვიხრი მათ წინაშე, ვულოცავ ეკონომიკის ინსტიტუტის 80 წლისთავს და ვუსურვებ, რომ მათი საქმიანობა დაგვირგვინებულიყოს ქართული ეკონო-მიკური აზრის ახალი აღმასვლით, ეკონომიკური მეცნიერე-ბის ღირსეული ადგილის დამკვიდრებით ახალ, ევროპულ საქართველოში!

აკადემიკოსი **მიხეილ ჯიბუტი**

პაატა გუგუშვილის სახელობის ინსტიტუტის დაარსებიდან 80 წელი შესრულდა

ჩვენ წელს ვზეიმობთ იმ ინსტიტუციის შექმნის 80 წელს, რომელმაც უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა არა მხოლოდ ქართული მეცნიერების განვითარების კუთხით, არამედ ჩვენი სახელმწიფოს არსებობის ურთულეს პერიოდში ეკონომიკური უსაფრთხოებისა და ეკონომიკური პოლიტიკის პროცესი შექმნა.

ინსტიტუტი პაატა გუგუშვილის სახელს ატარებს. როგორც დიდი ივანე ჯავახიშვილი ამბობდა: „პაატა გუგუშვილმა გამოქვეყნებული მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი გამოკვლევებით გაამდიდრა ისტორიული და ეკონომიკური ლიტერატურა. მისი დისერტაცია ახალგაზრდა მკვლევარის მიერ დიდძალი ლიტერატურული და საარქივო მასალების შესწავლის და მეცნიერული ანალიზის ძლიერი ნიჭის გამოვლინების მხოლოდ ერთ-ერთი დადასტურებაა. მან უკვე არაერთი საყურადღებო ცნობა შესძინა ეკონომიკურ ისტორიულ მწერლობასო. სწორედ პაატა გუგუშვილმა და მისმა თანამოაზრეებმა დაადგეს გვირგვინი ეკონომიკის სფეროში ფუნდამენტურ და გამოყენებითი მიმართულების მსხვილ სამეცნიერო კვლევითი ცენტრს. სწორედ მათმა დაუღალავმა შრომამ და რწმენამ, რომ ქართველებს გვქონდა საამისო ინტელექტუალური რესურსი, შესაძლებელი გახადა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ხორცი შესხმოდა სანუკვარ იდეას ეკონომიკის ინსტიტუტის ჩამოყალიბებისა და ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში სრულიად ახალი ეპოქის დასაწყისს.

ეს არის გამორჩეული მნიშვნელობის თარიღი პირადად ჩემთვის – 1982 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ასპირანტურაში ჩავაბარე ეკონომიკის ინსტიტუტში, სადაც მოხვედრა არც ისე მარტივი იყო. არ არსებობს სიტყვები, რომლებიც აღწერს სიყვარულს და კავშირს ეკონომიკის ინსტიტუტთან. მიხარია და მეამაყება ამ ინსტიტუტის წევრობა და ის, რომ ჩემი როგორც პიროვნების, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის ისტორია ამ კედლებში დაიწერა.

ეკონომიკის ინსტიტუტი სწორედ დიდი მეცნიერების – **ავთანდილ გუნიას, ვლადიმერ პაპავას, გიორგი წერეთლის, რამაზ აბესაძის, რეზო ჯავახიშვილის, ლეო ჩიქავას, თამაზ ჩიკვაიძის, ვალერიან დათუკიშვილის** ნაშენებ ფუნდამენტზე დგას და 80 წლის იუბილეს ხვდება, როგორც ქვეყნის ეკონომიკის სამეცნიერო დაწესებულება. სწორედ ეკონომიკის ინსტიტუტის კერაზე გაიზარდა არაერთი სასიქადულო მამულიშვილი, რომელმაც ჩვენი ქვეყნის სახელი ქვეყნის გარეთ გაიტანა.

ეკონომიკის ინსტიტუტი, როგორც ახალგაზრდა მეცნიერების სამჭედლო აგრძელებს 80 წლის წინ დაწყებულ საქმეს და ჩვენი ვალია, ხელი შევუწყოთ ეკონომიკური განათლების, ეკონომიკური მეცნიერებისა და ცოდნის მიღების მისიის შესრულებაში. ვფიქრობ, რომ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის პოლიტიკის გზაზეც.

სოლომონ პავლიაშვილი

აკადემიკოსი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტს 80 წელი შეუსრულდა

საქართველოში ეკონომიკური მეცნიერების პრობლემების ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული შემსწავლელი თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი იუბილარია. მას დაარსებიდან 80 წელი შეუსრულდა. ეს გზა მან, ღირსეულად განვლო და ახლაც წარმატებით აგრძელებს იმ ტრადიციებს, რომელსაც მისმა პირველმა თაობამ ჩაუყარა საფუძველი, ინსტიტუტის დამაარსებლისა და პირველი დირექტორის აკადემიკოს **პაატა გუგუშვილის** თაოსნობით.

ინსტიტუტმა უდიდესი წვლილი შეიტანა ქართული ეკონომიკური სკოლის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში, დამოუკიდებელი ეკონომიკური აზროვნების ფორმირებაში. რაც მთავარია, ინსტიტუტი აგრძელებდა მუშაობას ურთულეს პირობებში დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკური სისტემის ფორმირებაში თავისი წვლილის შესატანად.

ინსტიტუტი სამართლიანად ითვლება საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე წამყვან დაწესებულებად ეკონომიკის კვლევის საკითხებში და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ერთ-ერთ მთავარ კერად. თავიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი დაარსდა მეორე მსოფლიო ომის წლებში აკადემიკოს პაატა გუგუშვილის ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით.

(1945-1950) წლებში ინსტიტუტში მუშაობას იწყებენ: თსუ ერთ-ერთი დამფუძნებელი და ქართული ეკონომიკური სკოლის დამაარსებელი ფილიპე გოგიჩაიშვილი, ვასილ ჩან-

ტლაძე, ვალერიან მელქაძე, სერგი ბერაძე, ვალერიანე ბახტაძე, კირილე ღოღობერიძე, მიხეილ გველესიანი, მიხეილ კახეთელიძე, ვლადიმერ პაპავა (უფროსი), ნიკო დგებუაძე, დიმიტრი ქორიძე, ანდრო ფაცურია, ნიჟა ხურციძე, რაფიელ ხარბედია, ბექირბი ხასია, აპოლონ ნუცუბიძე, მამულო კეკელიძე, ქეთევან დადიანი. შემდგომ წლებში მისი თანამშრომლები იყვნენ: ემკ, მერაბ გველესიანი, ემდ, პროფ. მიხეილ კახეთელიძე, ემდ, პროფ. აკაკი კაკაბაძე, ემდ, პროფ. ბექირბი ხასია, ემკ, ნათია შიოლაშვილი, ემკ, შალვა ბურდული, ემდ, პროფესორი მიხეილ ჯიბუტი, ემდ, მიხეილ თოქმაზიშვილი, ემდ, პროფ. ვალერიან დათუკიშვილი, ილია რუბინშტეინი, ემდ, თამაზ ჩიკვაიძე, ემდ არჩილ თეთრაული, ემკ დურსუნ დიასამიძე, პროფ. ალექსანდრე ბრეგვაძე, ემდ, ავთანდილ სულაბერიძე, ფ/მმკ, როლანდ სარჩიმელია, ემკ, ნანული არევაძე, ემკ, ზურაბ სოსელია, ემდ, თემურ ბერიძე, ემდ, პროფ. გიორგი პაპავა, ემდ, პროფ. რამინ მითაიშვილი, ემკ, იზა ნათელაური, ემდ, მიხეილ როკეტლიშვილი, ემკ თინა ქურდაძე და სხვები.

დღეს ამ ტრადიციას ღირსეულად აგრძელებენ აკადემიკოსი **ვლადიმერ პაპავა,** ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი **რამაზ აბესაძე** და თანამშრომლები – პროფესორი **ვახტანგ ბურდული,** პროფესორი **გიორგი ბერულავა,** პროფესორი **მურმან კვარაცხელია** და სხვები.

ათწლეულების განმავლობაში ეკონომიკის ინსტიტუტს მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა და შეაქვს რეგიონის სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ საქმიანობაში. დღევანდელ ციფრული ტრანსფორმაციის ეპოქაში ინსტიტუტი აგრძელებს კვლევებს ახალი ეკონომიკური რეალობის პირობებში.

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის ყველა თაობის წარმომადგენელს გილოცავთ 80 წლის იუბილეს.

გილოცავთ დაბადების დღეს და გისურვებთ წარმატებულ მომავალს.

გიორგი ღაღანიძე

პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორს,
პროფესორ რამაზ აბესაძეს,
ინსტიტუტის მთელ კოლექტივს!

ჩემთვის სასიხარულო და დიდი პატივია გულითადად მოგილოცოთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ინსტიტუტის დაარსების 80 წლის იუბილე, რომლის თაოსანიც იყო თავისი მრავალმხრივი სამეცნიერო თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობით მსოფლიოში აღიარებული, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში ეკონომისტთა შორის პირველად არჩეული, ახალი ქართული ტერმინოლოგიის შემოქმედი, ქართული სამეცნიერო ეკონომიკური სკოლის ფუძემდებელი, ჭეშმარიტად ღვთიური პიროვნება, პროფ. **პაატა გუგუშვილი,** რომელიც 30 წელზე მეტ ხანს ედგა სათავეში ინსტიტუტს და რომლის სახელიც, სრულიად დამსახურებულად, 1991 წელს მიენიჭა ინსტიტუტს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ თავისი არსებობის მანძილზე ინსტიტუტში ხორციელდებოდა უმნიშვნელოვანესი და მრავალმხრივი სოციალურ-ეკონომიკური, სოციოლოგიური თუ სხვა ხასიათის კვლევები, რომელთა ნაწილმა საერთაშორისო აღიარება დაიმსახურა. ასევე დიდია ინსტიტუტის დამსახურება ახალგაზრდა მეცნიერთა აღზრდაში. მსჯელობა ინსტიტუტის წარმატებული საქმიანობის შესახებ შორს წაგვიყვანს, მით უმეტეს, რომ ეს საყოველთაოდ ცნობილია.

მე კი, პირადად ბედნიერად ვთვლი ჩემ თავს, რომ ასეთ ბრწყინვალე კოლექტივში 15-იოდე წელი (1960-1974) ვიზრდებოდი როგორც ადამიანი და მეცნიერი (ასპირანტი, წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, დოქტორანტი, ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარე, ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი და სხვ.).

რაც შეეხება ინსტიტუტის დღევანდელ დირექტორს, პროფ, **რამაზ აბესაძეს,** მან ამისკენ მიმავალი ყველა ეტაპი წარმატებით გაიარა – იყო ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-მუშაკი, ლაბორატორიის გამგე, დირექტორის მოადგილე... და, თუმცა, ქვეყნისათვის ძალიან რთულ პერიოდში მოუწია საქმიანობა, მაინც ღირსეულად წარმოჩინდა. თუმცა, წინ კიდევ მრავალი პრობლემაა, მათ შორის ინსტიტუტის ახალი სამუშაო კორპუსით უზრუნველყოფა, რაშიც მას სჭირდება როგორც მთავრობის, ასევე განსაკუთრებით, თსუ-ის ხელმძღვანელობის თანადგომა. იმედია, ყველაფერი მოგვარდება და ინსტიტუტი კვლავ წარმატებული გზით ივლის.

დიდი პატივისცემითა და მოკრძალებით,

რევაზ გოგოხია

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გიგანტების მხრებზე დაფუძნებული ინსტიტუტი

რა სწრაფად გადის დრო. 80 წელი შესრულდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან. ნამდვილად დიდი ბედნიერება მხვდა წილად, წლების მანძილზე ვყოფილიყავი ამ ინსტიტუტში მოღვაწე დიდი მეცნიერების გვერდით, რომლებმაც მუხლჩაუხრელად აკეთეს თავისი საკეთებელი, მიაღწიეს ისეთ წარმატებებს, რაც დიდად აჭარბებს ერთი ინსტიტუტის შესაძლებლობებს, ბოლომდე გაიხარჯნენ თავისი ერისა და ქვეყნის სიყვარულში, არ დარჩენიათ საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის არც ერთი სფერო თავისი კომპეტენტური სიტყვა რომ არ ეთქვათ და თავისი გონიერება რომ არ წარმოეჩინათ.

მე, როგორც ამ ინსტიტუტში აღზრდილ ერთ-ერთ მოწაფეთაგანს, დიდი მოწიწებით, უაღრესად მოკრძალებულად მინდა მივულოცო ეს იუბილე ინსტიტუტში ცალკეულ წლებში და დღეს მოღვაწე მეცნიერებს, ეკონომისტებს, სოციოლოგებს, დემოგრაფებს და ყველას, ვისაც ამ ინსტიტუტის მადლი მიუღია.

შემთხვევითი არაა, რომ ეკონომიკური მეცნიერების განვითარების ისტორია აკად. პ. გუგუშვილის უკავშირდება. მეორე მსოფლიო ომამდე არც ერთ ეკონომიკურ დისციპლინაში ქართულად არა თუ სახელმძღვანელო, საერთოდ, სტუდენტებისათვის საკითხავი ლიტერატურაც არ იყო. 1944 წლს სამამულო ომის დროს, ერთობ ძნელსა და სოციალურ-ეკონომიკურად რთულ პირობებში მყოფი მშიერი ხალხი პურს ეძებდა, მათგან განსხვავებით ერთი ახალგაზრდა მეცნიერი, ქართული კულტურისა და მეცნიერების ისეთი ჭეშმარიტი კორიფეების, როგორებიც იყვნენ ნიკო ნიკოლაძე, ივანე ჯავახიშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, მოწაფე პაა-

ტა გუგუშვილი ეკონომიკის ინსტიტუტის შექმნაზე ფიქრობდა. მაშინ მას მხარის დამჭერი ორიოდე ეკონომისტი თუ ჰყავდა, უმრავლესობა კი გვერდზე იდგა. ამის მიუხედავად მან ყველა დაბრკოლება გადალახა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ეკონომიკის ინსტიტუტი დააარსა, რომელსაც დაარსებიდან 1976 წლამდე, 32 წლის განმავლობაში თვითონვე ედგა სათავეში. ინსტიტუტი, მალე დიდ ორგანიზაციად იქცა და ერთ-ერთ წამყვან დაწესებულებად გადაიქცა აკადემიის სისტემაში. ამ ინსტიტუტმა შემდგომში მოუმზადა ქვეყანას აკადემიკოსები, დოქტორები და პროფესორები, ასეული კანდიდატი და დოცენტი. განაახლა ჟურნალ „საქართველოს ეკონომისტის“ გამოცემა, ინსტიტუტმა დანერგა მრავალი წინადადება სახალხო მეურნეობაში. მის ბაზაზე შეიქმნა საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ინსტიტუტი, სადაც მოღვაწეობა დაიწყეს ეკონომიკის ინსტიტუტის კვალიფიცირებულმა კადრებმა, რითაც შეიქმნა უძლიერესი ქართული ეკონომიკური სკოლა და სხვ.

შემდეგ ინსტიტუტს დაემატა სამართლის სექტორი, რომელსაც ხელმძღვანელობდა აკადემიკოსი **თინათინ წერეთელი.**

ბატონმა პაატამ ბევრი იბრძოლა და მოამზადა ნიადაგი დემოგრაფიის ინსტიტუტის ჩამოსაყალიბებლად. რომელი ერთი შეიძლება ჩამოვთვალოთ... ყველაფერი ეს კი 60 წლის მანძილზე სამეცნიერო ასპარეზზე მისი მოღვაწეობის პერიოდში, ამა თუ იმ ეტაპზე წამოიჭრებოდა ხოლმე. **პაატა გუგუშვილმა** გაამართლა მისი მასწავლებლების, ბუმბერაზი მეცნიერების იმედები. მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაში არჩეულ იქნა 1960 წელს წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1974 წელს – ნამდვილ წევრად.

მისი მეცნიერული კვლევა ეხება ეკონომიკას, ისტორიას, სახალხო მეურნეობის ისტორიას, ეკონომიკური აზრის

განვითარების ისტორიას, XIX და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს საკითხებს. ეხება სოციოლოგიას, სტატისტიკას, კერძოდ დემოგრაფიას, ფინანსებსა და კრედიტს, ჟურნალისტიკას, ქართულ ეკონომიკურ ტერმინოლოგიას და საერთოდ, საქართველოს ეკონომიკის პრობლემებს.

ინსტიტუტში სხვადასხვა წლებში მის გვერდით მოღვაწეობდნენ: ქართული ეკონომიკური მეცნიერების გიგანტები, საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერები: აკადემიკოსები ვ. ჩანტლაძე, ა. გუნია, ვ. პაპავა, ა. სლაგაძე, მ. ჯიბუტი, აკადემიის წ/კორესპონდენტი ლ. ჩიქავა. პროფესორები: ზ. პოლიექტოვი, ლ. გორგილაძე, შ. მესხია, ა. სურგულაძე, ს. ჯორბენაძე, მ. კახეთელიძე, ნ. იაშვილი, ვ. პაპავა ი. კაჭარავა, ივ. ბალანჩივაძე, ა. კაკაბაძე, ი. ბაჯაძე, ვ. ბახტაძე, ა. იოსელიანი, გ. ჭანუყვაძე, ბ. ხასია, დ. ქორიძე, გრ. თოდუა და სხვები, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს არა მხოლოდ ახალი თაობის ეკონომისტთა აღზრდაში, არამედ ქვეყნის გარეთ ქართული ეკონომიკური მეცნიერების სახელი. უმადურობა იქნება არ ვახსენოთ ინსტიტუტის ყოფილი, აწ გარდაცვლილი დირექტორების: აკად. ა. გუნიას და გ, წერეთლის ღვაწლი ინსტიტუტის საქმიანობაში.

დაუფასებელი იყო საბჭოთა პერიოდში ქართული ეკონომიკური მეცნიერების ქურუმის აკადემიკოს გუგუშვილის ღვაწლი საქართველოს კომუნისტურ ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ეკონომიკის ინსტიტუტის ორგანიზაცია-დაარსების საქმეში, მის მეცნიერულ მოღვაწეობაში (ორჯერ გაანთავისუფლეს დირექტორებიდან), მაგრამ აკად. პაატა გუგუშვილის მსგავსი ღირსეული პიროვნებები თავისთავად იმკვიდრებენ საპატიო ადგილს ერის ცხოვრებაში. ამის დასტურია ის, რომ

წლების მანძილზე (დღესაც) ეკონომიკის ინსტიტუტს არაოფიციალურად ყველა „პ. გუგუშვილის ინსტიტუტად“ მოიხსენიებდა, ვიდრე 1991 წელს ბატონი პაატა გუგუშვილის სახელის უკვდავსაყოფად აკად. ლადო პაპავას ინიციატივა და თხოვნა ინსტიტუტისათვის მისი დამაარსებლის, აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელის მინიჭების საკითხზე. სრულიად სამართლიანად ახალმა ხელისუფლებამ გაიზიარა და ბატონი პაატას სახელი ოფიციალურადა ამშვენებს დღეს ინსტიტუტს.

საამაყოა რომ ბედნიერება გვერგო წილად ჩვენი მასწავლებლები ყოფილიყვნენ შესანიშნავი კოჰორტის ბრწყინვალე წარმომადგენლები, არა მარტო მაღალი რანგის მეცნიერები, არამედ ასევე სანიმუშო ინტელექტისა და მისაბაძი ზნეობის პიროვნებები. მათ შორის ცხადია, უწინარეს ყოვლისა, ბატონი **პაატა გუგუშვილი** მყავს მხედველობაში. ვფიქრობ ინსტიტუტის თანამშრომლებს მიესადაგება ისააკ ნიუტონის სიტყვები: „თუკი მე ვხედავდი სხვებზე შორს, ეს იმიტომ, რომ მე გიგანტების მხრებზე ვიდექი“.

მიუხედავად მრავალი პრობლემისა (საკუთარი შენობის არქონა, გამოკვლევების დაფინანსების სიმწირე და სხვ.) ინსტიტუტი, დირექტორის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ **რამაზ აბესაძის** ხელმძღვანელობით დღესაც წამყვან პოზიციებს იკავებს სოციალურ-ეკონომიკური მეცნიერების პრობლემების კვლევაში, ცდილობს არ შელახოს მუნდირის ღირსება უკეთესი დროის მოლოდინში.

ავთანდილ სულაბერიძე

ემდ., პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი

ქართული ეკონომიკური მეცნიერების ფლაგმანი

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტს 80 წელი შეუსრულდა. უაღრესად მნიშვნელოვანია მისი როლი საქართველოში ეკონომიკური კვლევა-ძიების წარმართვისა და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადების საქმეში,

ჩემი საქმიანობა ინსტიტუტში 1979-1988 წლებში წარიმართა, რასაც ყოველთვის დიდი სიამაყით ვიხსენებ. ინსტიტუტში იმ დროს ძალიან საინტერესო და ნაყოფიერი მუშაობა მიმდინარეობდა: რეგულარულად იმართებოდა სხვადასხვა დონის სამეცნიერო კონფერენციები, სიმპოზიუმები. ხშირი იყო სამეცნიერო ნაშრომების განხილვები, დისკუსიები და ა.შ. ახალგაზრდების ენთუზიაზმსა და მონდომებას ორგანულად ერწყმოდა გამოცდილი და ღვაწლმოსილი მეცნიერების სიბრძნე. განსაკუთრებით ხაზს გავუსვამ იმ დიდ ყურადღებას, რომელსაც ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და კერძოდ, მისი დირექტორი, აკადემიკოსი ავთანდილ გუნია იჩენდა ახალგაზრდა მეცნიერთა მიმართ. აღნიშნულის საილუსტრაციოდ მხოლოდ ერთ ფაქტს გავიხსენებ: 1987 წელს საბჭოთა კავშირში მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში პირველად იქნა შემოღებული მთავარი და წამყვანი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობები. ბატონი **ავთანდილ გუნიას** გადაწყვეტილებით წამყვანი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე დაინიშნენ ახალგაზრდა მეცნიერები, ამჟამად საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები **ვლადიმერ პაპავა, მიხეილ ჯიბუტი** და პროფესორი **ელგუჯა მექვაბიშვილი.** როგორც მორალური, ასევე მატერიალური თვალსაზრისით ეს ძალიან დიდი სტიმული იყო ჩვენთვის. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ წამყვანი მეცნიერ-თანამშრომლის ანაზღაურება იმ დროს აღემატე-

ბოდა უმაღლესი სასწავლებლის დოცენტის თანამდებობრივ სარგოს.

ეკონომიკის ინსტიტუტმა თავისი არსებობის ისტორიაში რამდენიმე რთული და გარდამტეხი პერიოდი განვლო. პირველი მათგანი უკავშირდება ქვეყანაში მომხდარ ეპოქალურ ტრანსფორმაციას, რამაც აუცილებელი გახადა სამეცნიერო კვლევების შინაარსისა და განხორციელების ორგანიზაციული ფორმების სისტემური ცვლილება. ინსტიტუტის კოლექტივმა აკად. **ვლადიმერ პაპავას,** პროფესორების **გიორგი წერეთლისა** და **რამაზ აბესაძის** ხელმძღვანელობით წარმატებით გაართვა თავი ამ ურთულეს ამოცანას. მძიმე აღმოჩნდა ინსტიტუტისთვის ნაციონალების ხელისუფლების მიერ გატარებული ე.წ. „რეფორმა“, რაც, ფაქტობრივად წარმოადგენდა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ნგრევას. ვფიქრობ, ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ ამ დროსაც გამონახა ოპტიმალური გადაწყვეტილება ინსტიტუტის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურაში ინტეგრირების სახით. იმედია, ინსტიტუტის ახალი შენობის პრობლემა მაქსიმალურად მოკლე დროში მოგვარდება და ინსტიტუტი უკეთეს პირობებში წარმატებით გააგრძელებს თავის მრავალწლიან ნაყოფიერ საქმიანობას.

სახელოვან იუბილეს ვულოცავ, შემდგომ წინსვლას და წარმატებებს ვუსურვებ **პაატა გუგუშვილის** ეკონომიკის ინსტიტუტს.

ელგუჯა მექვაბიშვილი

ემდ., პროფესორი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის თეორიული ეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი იუბილარია

საქართველოს ისტორიულ წარსულსა თუ თანამედროვეობაში პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი ყოველთვის თამაშობდა განსაკუთრებულ როლს ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში. დაარსების დღიდან (1944 წელი) დღემდე, ინსტიტუტის სახელოვანი კოლექტივი მისდევს იმ ტრადიციებს, რომლებსაც საფუძველი ჩაუყარეს მისმა დამფუძნებლებმა, მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, ცნობილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს – **პაატა გუგუშვილს.**

ინსტიტუტის შექმნას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში ეკონომიკური ხასიათის კვლევების წარმართვისათვის. ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ ცვლილებებთან ერთად, იცვლებოდა ინსტიტუტის სამეცნიერო პრიორიტეტები. მეოცე საუკუნის 40-50-იან წლებში ასეთ პრიორიტეტს წარმოადგენდა დარგობრივი ეკონომიკური პრობლემების შესწავლა, 60-იან წლებში ინსტიტუტი გამოირჩეოდა მნიშვნელოვანი ფუნდამენტური კვლევებით, ხოლო ქვეყანაში მიმდინარე რადიკალური ეკონოდმიკური რეფორმის ფონზე, 90-იანი წლებიდან ინსტიტუტმა განიცადა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია, შეიცვალა პროფილი და გახდა საბაზრო ეკონომიკური პრობლემების კვლევის ცენტრი.

თავდაპირველად ინსტიტუტი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ფუნქციონირებდა, დღეს კი ის არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სა-

ხელმწიფო უნივერსიტეტის ორგანული ნაწილი და უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტთან ერთად, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საბაზრო ეკონომიკის თეორიისა და პრაქტიკის ფუნდამენტური პრობლემების შესწავლაში.

სხვადასხვა დროს ინსტიტუტის ბაზაზე შეიქმნა ისეთი მსხვილი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები, როგორიცაა: სამართლის ინსტიტუტი, დემოგრაფიისა და სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა კვლევის ინსტიტუტი და საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

დღეისთვის ინსტიტუტის კვლევის ძირითადი მიმართულებას საბაზრო ურთიერთობების სრულყოფის თეორიული და პრაქტიკული პრობლემების შესწავლა წარმოადგენს. ამ პრობლემებს იკვლევს ინსტიტუტის სტრუქტურაში შემავალი მაკრო და მიკროეკონომიკურ პრობლემათა კვლევის, საჯარო ეკონომიკის, ინოვაციებისა და საერთაშორისო კონკურენციის, ბიზნესის პრობლემათა კვლევის, მეწარმეობის განვითარებისა და რეგიონული ეკონომიკის, მდგრადი ეკონომიკის განვითარებისა და ეკონომიკური თეორიის განყოფილებები.

სხვადასხვა დროს ინსტიტუტში მოღვაწეობდნენ თვალსაჩინო ქართველი მეცნიერები: **ფილიპე გოგიჩაიშვილი, პაატა გუგუშვილი, ავთანდილ გუნია,** ვასილ ჩანტლაძე, **ვალერიან მელქაძე, თინათინ წერეთელი, გიორგი გეხტმანი,** და სხვები.

დღეისათვის ინსტიტუტს თავკაცობს ცნობილი მეცნიერი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **რამაზ აბესაძე,** რომელმაც ხარისხობრივად ახალ საფეხურზე აიყვანა მისი საქმიანობა. პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტში არსებობს სადისკუსიო დარბაზი, რომლის მთავარი ამოცანაა ცნობილ მეცნიერ და პრაქტიკოს ეკონომისტთა მონაწილეობით აქტუალურ სამეცნიერო და გამოყენებითი ხასიათის საკითხებზე დისკუსიების გამართვა, მისი მიზანია სამეცნიერო პრობლემათა და ქვეყნის ეკონომიკის წინაშე მდგარ მწვავე ამოცანათა გადაჭრისათვის ხელის შეწყობა; ეკონომიკის ინსტიტუტში არსებობს გამომცემლობა, რომელიც ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე აწარმოებს საგამომცემლო საქმიანობას; ინსტიტუტის ძალისხმევით გამოდის ჟურნალი „ეკონომისტი“, რომელიც ინდექსირებულია საერთაშორისო საძიებო სისტემებში; ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით 2008 წელს დაარსდა ინსტიტუტის პერიოდული გამოცემა - „პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული“, რომელიც გამოდის წელიწადში ერთხელ. შრომების კრებულში ქვეყნდება საქართველოს და საზღვარგარეთის მეცნიერთა ნაშრომები, რომლებიც ეძღვნება ეკონომიკური განვითარების აქტუალურ პრობლემებს. უკვე ტრადიციად იქცა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების ჩატარება, სადაც თავიანთ მოსაზრებებს ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების აქტუალურ საკითხებზე წარმოადგენენ ქართველი და უცხოელი მეცნიერები.

თსუ-ს ინიციატივით დამტკიცდა ინსტიტუტის ახალი შენობის პროექტი, რომლის დასრულების შემდეგ, მისი სა-

ხელოვანი კოლექტივი ახალი ენერგიით გააგრძელებს ჩვენი ქვეყნისთვის ესოდენ აუცილებელ და მნიშვნელოვან სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას.

ვულოცავ სრულიად საქართველოსა და პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სახელოვან კოლექტივს იუბილეს, მის თითოეულ წევრს მინდა ვუსურვო წარმატებები იმ საქმიანობაში, რომელიც ესოდენ მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისთვის.

თემურ შენგელია

ემდ პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საერთაშორისო ბიზნესის“ კათედრის ხელმძღვანელი

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი 80 წლისაა – გილოცავთ იუბილეს!

გულწრფელად და უღრმესი პატივისცემით ვულოცავ **პაატა გუგუშვილის** ეკონომიკის ინსტიტუტს, მისი ყველა თაობის წარმომადგენელს 80 წლის იუბილეს. ინსტიტუტს მრავალი წელია მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ეკონომიკის სფეროში ფუნდამენტური და გამოყენებითი მიმართულებებით სამეცნიერო კვლევების წარმართვასა და საერთაშორისო სამეცნიერო ურთიერთობების განვითარებაში.

ჩემს მეხსიერებაში **პაატა გუგუშვილის** ეკონომიკის ინსტიტუტს ურთულესი გზის გავლა მოუხდა, განსაკუთრებით კვლევითი ინსტიტუტების უმეტესობის გაუქმების პერიოდში. თუმცა, განსწავლულ მეცნიერთა და კომპეტენტური კადრების მეშვეობით შეძლო დამოუკიდებლობის შენარჩუნება, უფრო მეტიც, განავითარა და ახალ საფეხურზე აიყვანა სამეცნიერო კვლევები.

გამორჩეულია ეკონომიკის ინსტიტუტის კრედო: მისი არსებობის მიზანია არა მარტო ზოგადად მეცნიერების განვითარება, არამედ კვლევით დაინტერესებული თითოეული ადამიანისათვის პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენების შესაძლებლობის მიცემა. ჩემი აზრით, სწორედ ასეთმა მიდგომამ განაპირობა ურთულეს პერიოდებშიც კი ინსტიტუტის მდგრადობის მიღწევა და დამოუკიდებლობის შენარჩუნება.

მრავალწლიანი მუშაობითა და მოუღლელი აზრების ჭიდილით ინსტიტუტის მეცნიერებმა შეძლეს ინოვაციების შეტანა საქართველოს ეკონომიკის სფეროში. ინსტიტუტის ნებისმიერ მკვლევართან თანამშრომლობაში იგრძნობა, რომ

ამ დაწესებულებაში მეცნიერების დიდი სული ბატონობს. სწორედ ეს აძლევს ინსტიტუტს, როგორც ერთ მთლიან გუნდს იმის შესაძლებლობას, რომ დიდი საქმეები მცირე საშუალებებითაც აკეთოს.

ინსტიტუტში განხორციელებული კვლევებით გადაიჭრა ევროინტეგრაციისა და საქართველოში ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების მრავალი პრობლემა. ამჟამად უდიდესია კვლევების როლი საქართველოს ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოების სტრატეგიის კონცეფციის შემუშავებაში, ფასდაუდებელია ინსტიტუტის ეგიდით ჩატარებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, საერთაშორისო მასშტაბით. ინსტიტუტის წარმატების კრიტერიუმებია: გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციები აღიარებულ ბაზებში; საერთაშორისო სამეცნიერო-ანლიტიკური სამენოვანი ჟურნალი „ეკონომისტი“; ინსტიტუტთან დაფუძნებული სადისკუსიო დარბაზი საქართველოს მეცნიერ და პრაქტიკოს ეკონომისტთა საუკეთესო წარმომადგენლებით და სხვა. ინსტიტუტი კვლავ წარმატებით ახორციელებს მაღალრეიტინგულ კვლევებს და გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებით მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ახალი ცოდნის შექმნასა და გადაცემაში. აღნიშნულის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ იგი რამდენჯერმე გამოცხადდა წლის სუკეთესო სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებად.

ინსტიტუტმა არაერთი წარმატება მოუტანა ქვეყანას, მრავალი ახალგაზრდა მკვლევარი აზიარა მეცნიერებას, თუმცა, როგორც ა. აინშტაინი ამბობდა „მეცნიერება არ არის და არც არასოდეს იქნება დამთავრებული წიგნი. ყოველ მნიშვნელოვან წარმატებას ახალ-ახალი კითხვები

მოაქვს“. დარწმუნებული ვართ დღევანდელი სწრაფი ცვლილებების ფონზე წარმოშობილ მრავალ კითხვაზე ინსტიტუტის შესანიშნავი მკლევართა გუნდი კვლავაც ჩვეული წარმატებით მოიძიებს პასუხს და ქვეყანას წინ ახალი გამარჯვებებისაკენ წაიყვანს.

მეცნიერება აზროვნების ხელოვნებაა და სწორედ ასეთი ხელოვნებით გამორჩეულმა ლიდერმა პიროვნებებმა უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანეს ინსტიტუტის დაარსებასა და წარმატებების მოპოვებაში. ასეთი ისტორიული პიროვნებების დამსახურებაა ეკონომიკის სფეროში ფუნდამენტური და გამოყენებითი მიმართულების მსხვილი სამეცნიერო კვლევითი ცენტრის არსებობა.

ინსტიტუტის პირველი დირექტორი ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე, აკადემ. **პაატა გუგუშვილი** წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ინსტიტუტს და თავისი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობით, მეცნიერული ნაშრომებით, ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგიის შემუშავებით, აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობით ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა საქართველოში ეკონომიკური მეცნიერების განვითარების საქმეში.

ეკონომიკური პრობლემების კვლევაში, ინსტიტუტის მართვასა და განვითარებაში მნიშვნელოვანია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, **ავთანდილ გუნიას** როლი. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეკონომიკური პრობლემების, ეკონომიკური ზრდის ტემპებისა და პროპორციების საკითხების, მრეწველობის ეკონომიკის,

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და საბაზრო ეკონომიკის აქტუალური საკითხების კვლევით, საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის კონცეფციაზე მუშაობით მან მნიშვნელოვანი სიახლეები შემატა სამეცნიერო კვლევებსა და ინსტიტუტის წინსვლას.

ეკონომიკის ინსტიტუტის განვითარება და სამეცნიერო კვლევების ინტერნაციონალიზაცია ახალ საფეხურზე აიყვანა ინსტიტუტის მომდევნო ლიდერმა, ხელმძღვანელმა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს-მდივანმა **ვლადიმერ პაპავამ**. ფასდაუდებელია მისი ღვაწლი ეკონომიკური თეორიის, მაკროეკონომიკის, გამოყენებითი ეკონომიკის, ეკონომიკის მათემატიკური მოდელირების, ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის თეორიების კვლევაში, ასევე, საქართველოსა და კავკასიის ეკონომიკის პრობლემური საკითხების შესწავლაში, ნეკროეკონომიკისა და რეტროეკონომიკის კონცეფციების შემუშავებაში.

აკადემიკოს **ვლადიმერ პაპავას** მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაციები აშშ-ში, შვედეთში, საბერძნეთში, რუსეთში, აზერბაიჯანსა და სხვა ქვეყნებში აღიარებულია მსოფლიოს წამყვანი სამეცნიერო წრეების მიერ. აღნიშნულმა მიღწევებმა განაპირობა მისი საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა საერთაშორისო CORE აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევა.

ამჟამად ბატონი ვლადიმერი, როგორც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, რონდელის ფონდის უფროსი

მკვლევარი თავისი მოღვაწეობით კვლავ შეუცვლელ როლს ასრულებს კვლევის სრულიად თანამედროვე მიმართულებების განსაზღვრასა და ეკონომიკის ინსტიტუტის წინსვლაში, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროგრამებისა და კონცეფციების შემუშავებაში. ეკონომისტთა დღის დაარსებით, ამ დღისადმი მიძღვნილი ყოველწლიური ეროვნული სამეცნიერო კონფერენციებით ბატონმა ვლადიმერმა გააერთიანა ეკონომიკის ინსტიტუტისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მეცნიერ-მკვლევრები და ახალი ხიბლი შესძინა მსოფლიო ეკონომიკური პრობლემების ეროვნულ ჭრილში ხედვის პრობლემებს.

ეკონომიკის ინსტიტუტს წარმატებები არ მოკლებია პროფესორ **გიორგი წერეთლის** ხელმძღვანელობით. დღესაც არ კარგავს აქტუალურობას ბატონ გიორგის ნაშრომები ბუნებათსარგებლობის პროცესების ოპტიმიზაციის ეკონომიკურ საკითხებზე მაკროეკონომიკის, ეკონომიკური თეორიის, ბუნების დაცვის ეკონომიკური რეგულირების პრობლემებზე, პოსტკომუნისტურ ქვეყნებში უმუშევრობით გამოწვეული ნეგატიური ეკონომიკური შედეგების განსაზღვრისა და შემცირების გზებზე, ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების ეკონომიკაში გამოყენების პრაქტიკული საკითხებზე და სხვა. სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად ბატონ **გიორგი წერეთელს** მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ეკონომისტთა კვალიფიციური კადრების მომზადებაში.

ამჟამად ეკონომიკის ინსტიტუტის წარმატებების ტრადიციას ღირსეულად უძღვება ინსტიტუტის დირექტორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **რამაზ აბესაძე.** ბატონ რამაზის მაღალკვალიფიციური კვლევები მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და სამრეწველო წარ-

მოების, ელექტრო-ენერგეტიკული წარმოებისა და მოხმარების ეკონომიკურ პრობლემებზე, ენერგეტიკული ბაზრის ფორმირების მაკროეკონომიკურ მექანიზმებზე, ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის, ეკონომიკური განვითარებისა და ეკონომიკური რეგრესის თეორიის საკითხებზე გამორჩეულია და საფუძვლად უდევს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებისათვის სტაბილურობის მიღწევის გზების შემუშავებას, სამთავრობო და საკანონმდებლო დოკუმენტებს, სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის დაძლევის კონცეფციებს და პროგრამებს. დარწმუნებული ვართ, პროფესორ **რამაზ აბესაძის** სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა კვლავ დიდი როლს შეასრულებს საქართველოში ეკონომიკაში საჭირო რეფორმების მიმართულებების შექმნასა და წარმატებით განხორციელებაში.

ღრმად მწამს, რომ **პაატა გუგუშვილის** სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი ღირსეული და ღვაწლმოსილი ლიდერებით მომავალშიც ბევრ წარმატებას მოუტანს ქართულ ეკონომიკურ სკოლას და საპატიო ადგილს დაიმკვიდრებს XXI საუკუნის საქართველოს ეკონომიკის აღმავლობაში.

ნება მომეცით, კიდევ ერთხელ მოგილოცოთ იუბილე და შემდგომი წარმატებები გისურვოთ. ახალი გამოწვევების დაძლევა და ჭეშმარიტების დადგენა ყოფილიყოს თქვენი სამეცნიერო მოღვაწეობის მრწამსი ქვეყნის საკეთილდღეოდ!

ეთერ ხარაიშვილი
პროფესორი, კათედრის ხელმძღვანელი
თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

სახელოვნად განვლილი 80 წელი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი, დღეს – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, ყოველთვის იყო და არის ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკური მეცნიერების განვითარების, ფუნდამენტური მეცნიერული კვლევების განხორციელების მთავარი დასაყრდენი და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის განმსაზღვრელი. რამდენი ნიჭიერი მეცნიერ-მკვლევარი აღუზრდია 80 წლის განმავლობაში ამ შესანიშნავ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას.

ფაქტობრივად არ არსებობს ეკონომიკური მეცნიერების არც ერთი პრიორიტეტული მიმართულება, რომელზეც არ მუშაობდნენ აღნიშნულ ინსტიტუტში. სწორედ აქ მიმდინარეობს წლების განმავლობაში ეკონომიკურ მეცნიერებაში სისტემატური და სიღრმისეული კვლევა-ძიება, მეცნიერ-ეკონომისტთა პროფესიონალი კადრების მომზადება, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება და სხვა მრავალი საინტერესო მოვლენა.

ეკონომიკის ინსტიტუტის დამაარსებლის, აკადემიკოს **პაატა გუგუშვილის** მეცნიერული მემკვიდრეობა დღესაც დიდად აქტუალურია. მის ნაშრომებზე დაყრდნობით ახალგაზრდა მეცნიერები წარმატებით განაგრძობენ საინტერესო სამეცნიერო კვლევებს. ტრადიციები წარმატებით გააგრძელეს დირექტორებმა: აკადემიკოსმა **ავთანდილ გუნიამ,** აკადემიკოსმა **ლადო პაპავამ,** პროფესორმა **გიორგი წერეთელმა** და პროფესორმა **რამაზ აბესაძემ.**

ვულოცავთ თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტს დაარსებიდან 80 წლის იუბილეს, ვუსურვებთ შემდგომ საერთაშორისო დონის წარმატებებს და თვითდამკვიდრებას მსოფლიო ეკონომიკურ აზროვნებაში აღიარებულ ინსტიტუციებს შორის.

რევაზ გველესიანი
პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის ხელმძღვანელი

თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სახელოვანი იუბილე

1980-იან წლებში სრულიად ახალგაზრდა ჩავირიცხე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურაში. პირველი სამეცნიერო ნაშრომი ინსტიტუტის შრომათა კრებულში გამოვაქვეყნე. მახსოვს, როგორ მიხაროდა, ჩემი ნააზრევი ამხელა კრებულში, ცნობილ მეცნიერებთან ერთად რომ იყო დაბეჭდილი. მალევე დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია. ეს იყო უდიდესი ბედნიერებისა და სიამაყის განცდა. ვიყავი იმ ინსტიტუტის ნაწილი, რომელსაც დიდი ამაგი ჰქონდა და აქვს ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარების საქმეში. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ 10 წელი ვმუშაობდი აღნიშნულ ინსტიტუტში უმცროსი მეცნიერ თანამშრომლის, მეცნიერ თანამშრომლის და უფროსი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე.

სამეცნიერო მუშაობა ბედნიერებაა – ამბობდა დიდი ივანე ჯავახიშვილი. ამ ბედნიერებას ვეზიარე სწორედ ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში. დღესაც თუ რაიმე შევძელი მეცნიერებაში, სწორედ ამ ინსტიტუტის დამსახურებაა. განსაკუთრებით დამამახსოვრდა ჩემი სამეცნიერო დისერტაციის პირველი ოპონენტი, პროფესორი **გიორგი პაპავა,** რომელიც შემდგომ წლებშიც რჩევებს მაძლევდა, ამა თუ იმ სტატიაზე მუშაობისას თავის გამოცდილებას უშურველად მიზიარებდა

იმ პერიოდში ინსტიტუტში მოღვაწეობდნენ თვალსაჩინო მეცნიერები: **პაატა გუგუშვილი, ავთანდილ გუნია,**

ლეო ჩიქავა, არჩილ თეთრაული, თამაზ ჩიკვაიძე, ლადო პაპავა, გიორგი წერეთელი, რამაზ აბესაძე, ელგუჯა მექვაბიშვილი, თემურ ბერიძე, გივი ბედიანაშვილი და სხვ.

განსაკუთრებული კვალი ინსტიტუტის განვითარებაში დატოვეს მისმა დირექტორებმა: აკადემიკოსებმა **პაატა გუგუშვილმა, ავთანდილ გუნიამ** და **ვლადიმერ (ლადო) პაპავამ,** პროფესორებმა: **გიორგი წერეთელმა** და **რამაზ აბესაძემ.** თითოეულს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ეკონომიკის ინსტიტუტის შემდგომ განვითარებაში. აკადემიკოს **ლადო პაპავას** ძალისხმევით ინსტიტუტს მისი დამაარსებლის **პაატა გუგუშვილის** სახელი მიენიჭა. პროფესორ **რამაზ აბესაძის** მეცადინეობით ინსტიტუტი დაექვემდებარა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ამავე დროს შეინარჩუნა საქმიანი ურთიერთობა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან. ინსტიტუტი დღესაც წარმატებით აგრძელებს საქმიანობას: საინტერესო სამეცნიერო კვლევები, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების მაღალ დონეზე ორგანიზება, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის, „ეკონომისტის“, გამოცემა, სამეცნიერო კრებულების პუბლიკაცია, საზღვარგარეთ მეცნიერული კავშირების გაფართოება და ა.შ. შეიძლება ითქვას, რომ არ არის საქართველოში ცნობილი მეცნიერ ეკონომისტი, რომელიც რაიმე ფორმით არ არის დაკავშირებული ეკონომიკის ინსტიტუტთან.

ინსტიტუტის აღზრდილები დღესაც წარმატებით საქმიანობენ სხვადასხვა სამეცნიერო-საგანმანათლებდლო თუ სამთავრობო დაწესებულებებში, თავიანთი მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობაში.

ვულოცავ ჩემს მშობლიურ, თსუ **პაატა გუგუშვილის** სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტს 80 წლის იუბილეს. ვულოცავ ინსტიტუტის თითოეულ თანამშრომელს, მის წარმატებულ დირექტორს, პროფესორ **რამაზ აბესაძეს.**

გისურვებთ ხანგრძლივ და ნაყოფიერ მოღვაწეობას.

გულნაზ ერქომაიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორი, კათედრის ხელმძღვანელის მოადგილე

ვულოცავ ჩემს მშობლიურ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტს 80 წლის იუბილეს

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, მეორე მსოფლიო ომის დროს (1944 წელი) შეიქმნა. ეს იყო პერიოდი, როდესაც ფაქტობრივად მეცნიერებისთვის არავის ეცალა. პაატა გუგუშვილის უშუალო ინიციატივით ახლად ჩამოყალიბებულ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში, ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შექმნამ უდიდესი წვლილი შეიტანა ახალგაზრდა კადრების მეცნიერ-მკვლევარებად ჩამოყალიბებაში.

ეკონომიკის ამ სახელოვან ინსტიტუტს წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდნენ ისეთი გამორჩეული მეცნიერები როგორებიც იყვნენ აკადემიკოსი **პაატა გუგუშვილი,** აკადემიკოსი **ავთანდილ გუნია,** აკადემიკოსი **ვლადიმერ პაპავა,** პროფესორი **გიორგი წერეთელი.** ბოლო წლებში კი ინსტიტუტს ხელმძღვანელობს პროფესორი **რამაზ აბესაძე.**

ეკონომიკის ინსტიტუტი ერთადერთია, რომელმაც შეძლო ისტორიული ცვალებადობის ღირსეულად გადატანა და შემართებით, უწყვეტ რეჟიმში გააგრძელა დიდი წინაპრების ტრადიციებზე დაფუძნებული მოღვაწეობა. წლების განმავლობაში ამ ეკონომიკური აზროვნების უძლიერესმა სამეცნიერო კერამ არაერთი გამორჩეული მეცნიერი, მინისტრი, საზოგადო მოღვაწე მისცა ქართულ ეკონომიკურ სკოლას.

„ისტორიული წარსულის მემკვიდრეა ყველა საზოგადოება და ყოველი ადამიანი... საქმე ისაა, რომ საერთოდ სანამ უკეთესი მომავალი დადგებოდეს, საზოგადოებას, კერძოდ მის პროგრესულ ძალებს ნანატრი ცხოვრების აშენებისთვის ზრუნვისა და ღონისძიებათა ამოსავალ საწყისად შეიძლება

ჰქონდეთ თანამედროვეობა, რომელიც მთლიანად დაფუძნებულია იმ გრძელ და რთულ მრავალწახნაგოვან წარსულზე, საიდანაც იგი წარმოიქმნა (პაატა გუგუშვილი, ტ.4, წიგნი პირველი, თბ., 1965).

უშუალოდ დღევანდელი ხელმძღვანელის პროფესორ **რამაზ აბესაძის** დამსახურებად შეიძლება ჩაითვალოს იმ ღვაწლმოსილი მეცნიერების შენარჩუნება და მათი სრულფასოვანი ჩართვა ახალ კვლევებსა თუ ინსტიტუტის აქტიურ სამეცნიერო საქმიანობაში, რაც უშუალოდ დიდი **პაატა გუგუშვილის** მსოფლმხედველობასაც გამოხატავს, და განა შესაძლებელია გადაიდგას ნაბიჯი წინ, პროგრესისაკენ, თუკი ის თაობა არ იქნება ღირსეულად დაფასებული, რომელმაც დღემდე, თანამედროვეობას მოუტანა ქართული ეკონომიკური სკოლა?! ამიტომაც ვთვლი, რომ ეკონომიკის ინსტიტუტის დღევანდელი წარმატებული საქმიანობა იმ ღირებულებების წიაღიდან მოდის „რომელიც რთულ მრავალწახნაგიან წარსულზე არის“ დაფუძნებული.

ამ ინსტიტუტმა საბოლოოდ განსაზღვრა ჩემი, როგორც მეცნიერ-ეკონომისტის მომავალი. 1991 წლიდან იწყება ურთიერთობა ამ ღვაწლმოსილ ინსტიტუტთან, სადაც ჯერ ასპირანტის ხოლო შემდეგ წლების განმავლობაში მეცნიერ თანამშრომლის პოზიციაზე ვმუშაობდი. თავს ყოველთვის ბედნიერად და ამაყად მივიჩნევ, რომ ისეთი ადამიანების გვერდით მომიწია მუშაობა, დისერტაციის დაცვა სამეცნიერო საქმიანობა როგორებიცაა: **ავთანდილ გუნია, ბექირბი ხასია, ვალერიან დათუკიშვილი, იოველ ასათიანი, ლეო ჩიქავა, იური კაპანაძე, ვლადიმერ პაპავა, გიორგი წერეთელი, რამაზ აბესაძე, მურმან კვარაცხელია, თამაზ ჩიკვაიძე, ნანული არევაძე, გიორგი პაპავა, როლანდ სარჩი-**

მელია, იზა ნათელაური, უშანგი სამადაშვილი, თეიმურაზ ბერიძე, ალფრედ კურატაშვილი, თინა ჩხეიძე, ნანა მიჩილაშვილი, ამირან სხირტლაძე, ნათია შიოლაშვილი, ეთერი კაკულია, გულიკო კვირიკაშვილი, ზეინაბ (ციცო) ხუციშვილი, რევაზ ჯავახიშვილი, გიორგი ბერულავა, მადონა შველიძე, ელენე დათუკიშვილი, ლიანა შაყულაშვილი, ელენე ჟორდანია, თეა ლაზარაშვილი, ლია თოთლაძე, მამუკა ხუსკივაძე, ზურაბ წერეთელი, ნანა ბიბილაშვილი, ნუნუ ქისტაური, ნატა დავლაშელიძე, ლინა დათუნაშვილი, მაია ჭინჭარაული, მაია დეკანოსიძე, ზურაბ ნოზაძე, ქეთევან ქველაძე, რომელთა უმეტესობა დღესაც ერთგულად ემსახურება ქართულ ეროვნულ საქმეს.

ქედს ვიხრი ამ სახელოვანი, ღვაწლმოსილი და ავბედობის ჟამს უანგაროდ მსახური კოლექტივის წინაშე. ვუსურვებ მას და მის ხელმძღვანელობას – პროფესორ **რამაზ აბესაძეს** დიდი ხნის წარმატებულ გზას.

ნაზირა კაკულია

ეკონომიკის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაკროეკონომიკის
კათედრის ასოცირებული პროფესორი

იუბილეს ვულოცავ

ვულოცავ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის **პაატა გუგუშვილის** სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტს დაარსებიდან 80 წლის იუბილეს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტს დაარსებიდან სხვადასხვა წლებში სათავეში ედგა გამოჩენილი ქართველი მეცნიერ-ეკონომისტები და ამავე დროს, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეები: აკადემიკოსი **პაატა გუგუშვილი,** აკადემიკოსი **ავთანდილ გუნია,** აკადემიკოსი **ვლადიმერ პაპავა,** პროფესორი **გიორგი წერეთელი.** დღეისათვის ინსტიტუტის ტრადიციებს ღირსეულად აგრძელებს პროფესორი **რამაზ აბესაძე.**

80-წლიანი პერიოდის განმავლობაში ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ მომზადებულია და გამოქვეყნებულია ასობით ინდივიდუალური და კოლექტიური მონოგრაფია და სამეცნიერო სტატიები, როგორც საქართველოს, ასევე მსოფლიოს ეკონომიკური პროფილის მქონე რეიტინგულ გამოცემებსა და ჟურნალებში. ეკონომიკის ინსტიტუტში ყოველწლიურად ტარდება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები, რომელშიც მონაწილეობას იღებენ როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერ-ეკონომისტები.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი არსებობის მანძილზე ყოველთვის იყო ნიჭიერი ახალგაზრდა მეცნიერ ეკონომისტების მომზადების სამჭედლო, რომლებიც ყოველთვის წარმატებით საქმიანობ-

დნენ და დღესაც მოღვაწეობენ ისეთ უმნიშვნელოვანეს სფეროებში, როგორიცაა: მეცნიერება, საჯარო სექტორი, უმაღლესი სასწავლებლები და ეკონომიკის სხვადასხვა უმ-ნიშვნელოვანესი სექტორი.

გულით ვულოცავ ყველა თანამშრომელს ინსტიტუტის 80 წლიან იუბილეს და წარმატებებს ვუსურვებ მათ ქვეყნი-სათვის დიდი მნიშვნელობის მქონე საქმიანობაში.

მარინა მუჩიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი იუბილარია

ეკონომიკის ინსტიტუტი საკმაოდ მძიმე პერიოდში 1944 წლის 29 ივნისს დაფუძნდა. მისი დაფუძნების ინიციატორი იყო გამოჩენილი მეცნიერი, აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ინსტიტუტის შემდგომ განვითარებაში. ნიშანდობლივია, რომ ინსტიტუტი დღეს სწორედ პაატა გუგუშვილის სახელს ატარებს.

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი უდიდესი ტრადიციების მატარებელია. ეს გასაკვირი არცაა, რადგან, ამ ინსტიტუტში მოღვაწეობდნენ ისეთი ცნობილი მეცნიერები, როგორიცაა: **ფილიპე გოგიჩაიშვილი, ვასილ ჩანტლაძე, ლეო ჩიქავა ვალერიან მელქაძე, ნიკოლოზ იაშვილი, იოსებ ბაჯაძე, გიორგი გეხტმანი, გიორგი პაპავა, თამაზ ჩიკვაიძე, არჩილ თეთრაული, როზეტა ასათიანი, მიხეილ კახეთელიძე, ბექირბი ხასია, თენგიზ ხოშტარია** და სხვები. მისი დირექტორები იყვნენ აკადემიკოსი **პაატა გუგუშვილი,** აკადემიკოსი **ავთანდილ გუნია,** აკადემიკოსი **ვლადიმერ პაპავა,** პროფესორი **გიორგი წერეთელი.** ამჟამად ინსტიტუტის დირექტორია პროფესორი **რამაზ აბესაძე.** მათ განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით ინსტიტუტის განვითარებაში.

80 წლის განმავლობაში ეკონომიკის ინსტიტუტი მრავალი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა, მაგრამ მისი ხელმძღვანელობისა და კოლექტივის ძალისხმევით ყველა დაბრკოლება გადალახა და დღესაც წარმატებით აგრძელებს სამეცნიერო და ორგანიზაციულ საქმიანობას. მან უამრავი მეცნიერი აღუზარდა ქვეყანას. ინსტიტუტის ინიციატივით ყოველწლიურად ტარდება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები და გამოდის კონფერენციის მასალათა კრებული. ინსტიტუტმა

დააარსა საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომისტი“, რომელიც ინდექსირებულია ERIHPLUS-ში და მინიჭებული აქვს DOI კოდი. აგრეთვე ინსტიტუტი ყოველწლიურად გამოსცემს სამეცნიერო შრომების კრებულს, სადაც იბეჭდება ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომელთა ნაშრომები, რომლებიც ეხება თანამედროვე აქტუალურ ეკონომიკურ პრობლემებს. ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო ურთიერთობებში ჩაბმის მიმართულებით.

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტთან უკვე 36 წლიანი ურთიერთობა მაკავშირებს. 1988 წელს, 19 წლის მივედი ამ ინსტიტუტში, სადაც გავიარე გზა ლაბორანტის თანამდებობიდან, მთავარ მეცნიერ თანამშრომლამდე, განყოფილების გამგეობასა და დირექტორის მოადგილეობამდე.

დღეს მე ძალიან ამაყი ვარ, რომ ამ ინსტიტუტის კედლებში ჩამოვყალიბდი მეცნიერ-მკვლევარად და მომეცა საშუალება ჩემი წვლილი შემეტანა მის ფუნქციონირებაში.

წელს ჩვენი ინსტიტუტი იუბილარია და მინდა დიდი სიყვარულით მივულოცო მას ეს ღირსეული თარიღი. პირველ რიგში მის ხელმძღვანელს, ბატონ **რამაზ აბესაძეს,** ყველა მის თანამშრომელს, რომლებიც ასე გულანთებული და სიყვარულით ემსახურებიან ინსტიტუტს.

უამრავ წარმატებასა და წინსვლას ვუსურვებ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტს, რომელიც თავისი მნიშვნელობით შეუფასებელია ეკონომიკური სამეცნიერო საზოგადოებისთვის.

თეა ლაზარაშვილი

ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში,
მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, კსუ ასოცირებული
პროფესორი

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან ისტორიული 80 წელი

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტს დაარსებიდან 80 წელი შეუსრულდა. ძალიან საამაყო და გასახარია, რომ ინსტიტუტი სხვადასხვა პერიოდში, მის წინაშე მდგარი სიძნელეებისა და წინააღმდეგობების მიუხედავად, ყოველთვის გაძლიერებული გამოდიოდა და, ყოველთვის წარმოადგენდა ქვეყნის ეკონომიკური მეცნიერების ფლაგმანს. ინსტიტუტმა, აკადემიკოს **პაატა გუგუშვილის,** ხელმძღვანელობით, რომელიც მისი დამაარსებელი და 32 წელი ინსტიტუტის უცვლელი დირექტორი იყო, დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში. ამ საქმეში დიდი იყო ინსტიტუტის დირექტორების, აკადემიკოს **ავთანდილ გუნიას,** აკადემიკოს **ვლადიმერ (lado) პაპავას** და ემდ, პროფესორ **გიორგი წერეთლის** ღვაწლი, რომლის ხელმძღვანელობით ინსტიტუტს იმ ძნელბედობის ჟამს, გასული საუკუნის ბოლოს, როდესაც ქვეყანას ძალიან უჭირდა, არ შეუწყვეტია აქტიური სამეცნიერო საქმიანობა.

განსაკუთრებით თვალსაჩინოა ბოლო პერიოდში, ის დიდი სამუშაო, რომელსაც ინსტიტუტის კოლექტივი ინსტიტუტის დირექტორის, ემდ, პროფ. **რამაზ აბესაძის** ხელმძღვანელობით წარმატებით ახორციელებს: ინსტიტუტში გამოიცემა სამეცნიერო შრომების კრებული, ყოველწლიურად ტარდება საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები და ინტერნეტკონფერენციები; ქვეყნდება კონფერენციების მასალათა კრებულები, რომელშიც ქვეყნის ცნო-

ბილ მეცნიერ-ეკონომისტებთან ერთად, აქტიურ მონაწილეობას იღებენ უმაღლესი სასწავლებლებისა და უნივერსიტეტების წარმატებული ბაკალავრები, მაგისტრანტები და დოქტორანტები.

აღსანიშნავია ჟურნალი „ეკონომისტი“, რომელმაც ახალი სიცოცხლე შეიძინა 2009 წლიდან, როდესაც მისი პირველი ნომერი გამოვიდა. დღეისათვის სულ გამოვიდა 70-ზე მეტი ნომერი. ჟურნალში ქვეყნდება როგორც გამოჩენილი ქართველი, ისე საზღვარგარეთის ქვეყნების მეცნიერ-ეკონომისტთა სამეცნიერო სტატიები. ჟურნალმა თავისი მეცნიერული პროდუქციით მაღალი რეიტინგი დაიმსახურა და 2016 წლიდან იგი ინდექსირებულია საძიებო ბაზაში ERIH PLUS. ინსტიტუტში ტარდება სიმპოზიუმები, რომელიც იმართება ინსტიტუტის დამსახურებული თანამშრომლების იუბილეების აღსანიშნავად, ასევე აწ გარდაცვლილი თანამშრომლების მოსაგონებლად.

დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ვულოცავ ინსტიტუტის დირექტორს ბატონ **რამაზ აბესაძეს,** ყველა თანამშრომელს, მთელ ქართულ სამეცნიერო საზოგადოებას, მნიშვნელოვან საიუბილეო თარიღს – თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მე-80-ე წლისთავს და ვისურვებდი, აქტიურ და ნაყოფიერ სამეცნიერო საქმიანობას, წინსვლას და წარმატებებს.

ლინა დათუნაშვილი

ეკონომიკის დოქტორი, ინსტიტუტის სწავლული მდივანი

მეცნიერ-ეკონომისტთა დიდი ოჯახი - 80

საქართველოს ეკონომიკური პრობლემების შესწავლა-დამუშავებისა და ქართული ეკონომიკური აზრის განვითარების ისტორიაში საეტაპო მნიშვნელობის მოვლენა იყო 80 წლის წინათ, ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის ქარცეცხლიან დღეებში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსება. ამ დიდი ეროვნული და სამამულიშვილო დაწესებულების შექმნისა და ამოქმედების სათავეებთან იდგნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერ-ეკონომისტები აკადემ. პაატა გუგუშვილის მეთაურობით. ამ მოვლენამ ფაქტობრივად სათავე დაუდო და მყარი საფუძველი ჩაუყარა ქვეყანაში ეკონომიკური თეორიისა და ეკონომიკური მეცნიერების ცალკეული დარგების სწრაფი ტემპებით აღორძინება-განვითარებას.

ეკონომიკის ინსტიტუტმა, დაარსებიდან დღემდე, განვლო დიდი და შინაარსიანი მეცნიერული ცხოვრების გზა. იგი, ეკონომიკური განვითარების ცალკეული ეტაპების შესაბამისად, წარმატებით ართმევდა თავს ქვეყნის ეკონომიკის წინაშე მდგარი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მეცნიერული შესწავლის, კვლევის შედეგების პრაქტიკული გამოყენებისა და მაღალკვალიფიციური სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადების დიდსა და საპატიო საქმეს. შემთხვევით არაა, რომ სწორედ ინსტიტუტის სამეცნიერო პოტენციალისა და მის მიერ მომზადებული მაღალკვალიფიციური სამეცნიერო კადრების საფუძველზე ქვეყანაში შეიქმნა მეცნიერული კვლევა-ძიების არაერთი დაწესებულება. ინსტიტუტში აღზრდილ მეცნიერ-ეკონომისტთა და იურისტთა არაერთი თაობა წარმატებით მუშაობდა და ამჟამადაც

განაგრძობს მუშაობას, როგორც ქვეყნის სამეცნიერო--კვლევით დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, ასევე ეკონომიკისა და სამართალდამცავი ორგანოების მაღალი რანგის ხელმძღვანელ თანამდებობებზე.

ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში ფასდაუდებელი როლი შეასრულა ინსტიტუტის შემადგენლობაში ქართული სამეცნიერო-ეკონომიკური ჟურნალის „საქართველოს ეკონომისტის“ დაარსებამ, რომლის ორგანიზატორი და დიდი ხნის მანძილზე მთავარი რედაქტორ-გამომცემელი იყო აკად. პაატა გუგუშვილი. სწორედ ეს ჟურნალი გახდა მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგების პუბლიკაციისა და პრაქტიკული რეალიზაციის შესანიშნავი საშუალება, სადაც ცნობილ მეცნიერ-მკვლევარებსა და პრაქტიკოს-სპეციალისტებთან ერთად, აქტიურად მონაწილეობდნენ ახალგაზრდა მეცნიერთანამშრომლებიც. ამ ჟურნალში აიდგა ფეხი ბევრმა ასპირანტმა და დამწყებმა მეცნიერ-მკვლევარმა, რომელთაც წარმატებით გააგრძელეს თავიანთი საქმიანობა ქვეყნის სხვადასხვა სამეცნიერო-პედადგოგიურ დაწესებულებასა და პრაქტიკულ ასპარეზზე.

მისასალმებელია ის ფაქტიც, რომ გარკვეული პაუზის შემდეგ ინსტიტუტში კვლავ აღდგენილ იქნა ეს ჟურნალი, რომელიც 2009 წლიდან ინსტიტუტის გრიფით და „ეკონომისტის“ სახელწოდებით სისტემატურად გამოდის მისი დირექტორის – პროფესორ **რამაზ აბესაძის** რედაქტორობით.

ინსტიტუტის სამეცნიერო კოლექტივს, მისი არსებობის სხვადასხვა ეტაპზე, ხელმძღვანელობდნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერები – აკად. **პაატა გუგუშვილი,** აკად. **ავთანდილ გუნია,** აკად. **ვლადიმერ პაპავა,** პროფ. **გიორგი წერე-**

თელი. დიდი წინააღმდეგობებისა და სიძნელეების მიუხედავად, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი დღესაც წარმატებით განაგრძობს თავის საქმიანობას ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისი დირექტორის პროფ. **რამაზ აბესაძის** ხელმძღვანელობით, ღირსეულად ავითარებს ინსტიტუტში დაფუძნებულ მეცნიერული კვლევა-ძიების ძირძველ ტრადიციებს, სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უქონლობის, შედარებით მწირი სამეცნიერო კადრებისა და ფინანსური რესურსების პირობებში, აქტიურად მონაწილეობს ეკონომიკური თეორიისა და ქვეყანაში არსებული მწვავე ეკონომიკური პრობლემების შესწავლა-დამუშავებაში.

და ბოლოს, არ შეიძლება დიდი მოწონებით არ აღინიშნოს ისიც, რომ ამ დიდ სამეცნიერო ოჯახში სწავლისა და მუშაობის პერიოდში, შეიქმნა არაერთი ბედნიერი ქართული ოჯახი, რომელთა შემქმნელები არიან ბატონები და ქალბატონები: **1. სერგო სოსელია და შუშანა მარგველაშვილი; 2. გურამ ყუფუნია და მარინა ნახუცრიშვილი; 3. რეზო ჯანაშია და ნანული არევაძე; 4. გიორგი წერეთელი და ნანა ბიბილაშვილი; 5. რამაზ აბესაძე და ნატო ჩხაიძე; 6. ზურაბ სოსელია და თამარ თაფლაძე; 7. ოთარ ავალიშვილი და თინა კაცია; 8. ზურაბ ახვლედიანი და ლეილა გუგუშვილი; 9. ჯონი ხეცურიანი და როდამ ფაღავა; 10. რობერტ აბურჯანიძე და ნათია შიოლაშვილი; 11. გურამ წერეთელი და ხათუნა ჭიჭინაძე; 12. ლუდვიგ სადუნიშვილი და ნანული ჟორჟოლიანი; 13. შოთა კიზირია და ნათელა ბაქრაძე; 14. კოკა ბოკუჩავა და თინა ნემსაძე; 15. თემურ ჯაფარიძე და ანი როინიშვილი; 16. თამაზ ჯოლოხავა და მზია არსენიშვილი; 17. დათო პაქსაშვილი და ირინა დად-**

ვანი; 18. გია ბენაშვილი და ლალი აზარიაშვილი; 19. თემურ გოგოხია და თეა შონია.

რაოდენ სასიხარულოა, რომ ამ დიდ სამეცნიერო ოჯახში მომუშავე ბ-ონ ს. სოსელიასა და ქ-ონ **შ. მარგველაშვილის** პირველი თაობის ოჯახში აღზრდილმა შესანიშნავმა მეცნიერ-მკვლევარმა და სახელმწიფო მოღვაწემ ბ-მა **ზურაბ სოსელიამ** ქ-ონ **თამარ თაფლაძესთან** ერთად ამავე ინსტიტუტში შექმნეს მეორე თაობის (შვილიშვილი) ოჯახი, სადაც აღიზარდა უაღრესად ნიჭიერი და დიდი პერპექტივის მქონე მკვლევარი-სპეციალისტი **დათუნა სოსელია.** სასიხარულო და მისალოცია ისიც, რომ ჩვენს ინსტიტუტში შექმნილ ოჯახებში აღზრდილმა ნიჭიერმა ახალგაზრდებმა, **შალვა (შაკო) წერეთელმა და დემეტრე აბესაძემ** ბრწყინვალედ ჩააბარეს მისაღები გამოცდები უმაღლეს სასწავლებელში და წარმატებით ეუფლებიან მათ მიერ არჩეულ სპეციალობებს.

ყოველმხრივ სასურველი და მისასალმებელია სამომავლოდ თუ ჩვენს დიდ სამეცნიერო ოჯახში ახალ-ახალი ქართული ოჯახების შექმნის დიდებული ტრადიცია კვლავაც გაგრძელდება, სადაც აღიზრდებიან ჩვენი ქვეყნის ბედნიერი მომავლის მშენებლობისთვის ესოდენ საჭირო ღირსეული ახალგაზრდა თაობები.

კიდევ ერთი შტრიხი ინსტიტუტის სამეცნიერო კოლექტივის ცხოვრებიდან. სადღეისოდ ჩვენი დიდი სამეცნიერო ოჯახის თანამშრომლებს შორის არსებობს უაღრესად წყნარი და მშვიდი, თბილი და სასიყვარულო, ურთიერთდახმარებისა და გვერდში დგომაზე დამყარებული, მეგობრული და კოლეგიალური დამოკიდებულება, რაც ესოდენ საჭირო და აუცილებელია ნაყოფიერი სამეცნიერო-საკვლევაძიებო სა-

მუშაოების წარმოებისთვის. ასეთი გარემოს შექმნაში კი დიდი წვლილი მიუძღვის ინსტიტუტის ყოფილ და ამჟამინდელ ხელმძღვანელობას.

სულითა და გულით ვულოცავ აკად. პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტს, მის სამეცნიერო კოლექტივს პროფ. **რამაზ აბესაძის** ხელმძღვანელობით, დაარსებიდან 80 წლისთავის იუბილეს. მეცნიერ-ეკონომისტთა ამ დიდ ოჯახს ვუსურვებ ახალ-ახალ წარმატებებს სამეცნიერო პოტენციალის შემდგომი გაძლიერების, საკვლევაძიებო სამუშაოების გაფართოება-გაღრმავებისა და მაღალკვალიფიციური სამეცნიერო კადრების მომზადების დიდსა და საპატიო საქმეში.

რევაზ ჯავახიშვილი

ეკონომიკის დოქტორი, ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი
თანამშრომელი, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების
განყოფილების ხელმძღვანელი

ინსტიტუტის დაარსების იუბილეს მილოცვა

ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომლები მისი არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში ნაყოფიერ სამეცნიერო საქმიანობას ეწეოდნენ.

უკანასკნელ პერიოდში მთელ მსოფლიოში იზრდება იმის გაგება, რომ საჭიროა არსებული ეკონომიკური სისტემის სიღრმისეული რეფორმირება. ამის საჭიროება დაკავშირებულია გარემოს დაბინძურებისა და კლიმატის ცვლილების, არაგანახლებადი რესურსების ამოწურვის, ნარჩენების დაგროვებისა და სხვა საფრთხეების ნეიტრალიზაციის აუცილებლობასთან. ამიტომ მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით, განვითარებად ქვეყნებში, თანდათანობით ხდება ალტერნატიული ეკონომიკების ფორმირება: ინოვაციური ეკონომიკის, ცოდნის ეკონომიკის, მწვანე ეკონომიკის, წრიული ეკონომიკის და სხვა. მაგრამ, ეკონომიკის რეფორმირება არა ყოველთვის მიმდინარეობს სწორად და წარმატებულად. ამიტომ იმისათვის, რომ საქართველოში ეკონომიკის რეფორმირება წარიმართოს სწორედ და წარმატებულად, საჭიროა ამ საქმეში განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გამოკვლევა.

ჩვენი დირექტორის პროფესორ **რამაზ აბესაძის** დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან შეამჩნია ეკონომიკის რეფორმირების მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციები და შეიმუშავა ინსტიტუტისათვის შვიდწლიანი გეგმა (2015-2021 წწ) „ევროინტეგრაცია და ინოვაციური ეკონომიკის პრობლემები საქართველოში“. ინსტიტუტის თანამშრომლები შვიდი წელიწადი წარმატებით და ნაყოფიერად ასრულებ-

დნენ ამ მრავალასპექტიან თემას. თემის მიხედვით გამოქვეყნდა მრავალი ნაშრომი საქართველოს და ასევე უცხოურ პრესტიჟულ გამოცემებში.

ამ თემის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს ახალი შვიდწლიანი თემა (2022-2028) „საქართველოს ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოების სტრატეგია“, რომელსაც ამჟამად ამუშავებს ინსტიტუტის კოლექტივი. უკვე შემუშავებულია ისეთი ამოცანები, როგორიცაა „ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოების თეორიულ-მეთოდოლოგიური პრობლემები გლობალიზაციის პირობებში“ და „საქართველოში ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოების მეთოდიკების შემუშავება“ (2022); „საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოება“ (მაკრო- და მიკროეკონომიკის პრობლემები, სექტორული და რეგიონული პრობლემები, ციფრული ეკონომიკა, ცოდნის ეკონომიკა, ინვესტიციები ინოვაციებში და სხვა), „საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხები“ (2023); „საქართველოს საფინანსო უსაფრთხოების საკითხები“, „რეგიონული ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოება“ (2024). ყველა ეს საკითხი ასევე წარმატებით შესრულდა ან დასრულების სტადიაში იმყოფება. გამოქვეყნებულია მრავალი ნაშრომი, მათ შორის პრესტიჟულ უცხოურ გამოცემებში. შემდეგი შესასრულებელი ამოცანებია „საქართველოს სასურსათო უსაფრთხოება“ და სხვა (2025), „საქართველოს სოციალური უსაფრთხოება“ (2026), „გლობალური და ეროვნული ეკოლოგიური უსაფრთხოება“ (2027), „საქართველოს ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოების მოდელები“ (2028). ამ

თემებსაც, ჩემი აზრით, ინსტიტუტის თანამშრომლები ასევე წარმატებით შეასრულებენ.

ამიტომ, ვულოცავ რა მათ ინსტიტუტის დაარსების იუბილეს, მე ვუსურვებ დირექტორსა და მთელ კოლექტივს ამ თემის წარმატებით დასრულებას იმ მიზნით, რომ კვლევის შედეგები მოემსახურონ ქვეყნის ეკონომიკური სისტემის წარმატებით რეფორმირების საქმეს, განვითარებული ქვეყნების წარმატებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით. ინსტიტუტის კოლექტივს ასევე ვუსურვებ შემდგომ წარმატებებს ეკონომიკური მეცნიერების განვითარების გზაზე.

ვახტანგ ბურდული

ემდ, პროფესორი, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, სექტორული და რეგიონული ეკონომიკის განყოფილების ხელმძღვანელი

ინსტიტუტის დაარსებიდან 80 წლის იუბილეს მილოცვა

ძვირფასო მეგობრებო და კოლეგებო,

დიდი სიამაყით და სიხარულით გილოცავთ ყველას პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის 80 წლის იუბილეს. გამოჩენილი მეცნიერის და საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს პაატა გუგუშვილის მიერ, დაარსების დღიდან მთელი თავისი ისტორიის მანძილზე, ინსტიტუტი უცვლელად იდგა ეკონომიკური აზროვნების მოწინავე პოზიციებზე და ეს არც არის გასაკვირი, რამდენადაც ინსტიტუტს აკადემიკოს **პაატა გუგუშვილიის** შემდეგ ყოველთვის ხელმძღვანელობდნენ ისეთი უზადო მეცნიერები, როგორიც იყვნენ აკადემიკოსები: **ავთანდილ გუნია** და **ვლადიმერ პაპავა,** პროფესორი **გიორგი წერეთელი,** რომლებიც არა მხოლოდ აგრძელებდნენ აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაწყებულ საქმეს, არამედ მათ არსებითად გაამყარეს ინსტიტუტის პოზიციები და მნიშვნელობა სამეცნიერო წრეებში. სხვადასხვა პერიოდში ინსტიტუტის კოლექტივის წევრები იყვნენ ისეთი გამოჩენილი მეცნიერები, როგორიცაა ფილიპე გოგიჩაიშვილი, ვასილ ჩანტლაძე, იოსებ ბაჯაძე, ვალერიან მელქაძე, ვლადიმერ პაპავა, ნიჟა ხურციძე, ლეო ჩიქავა, ვალერიან დათუკიშვილი, თამაზ ჩიკვაიძე, იოველ ასათიანი, გიორგი პაპავა, ზურაბ სოსელია, თინათინ ჩხეიძე, ალფრედ კურატაშვილი, ნანული არევაძე, მიხეილ ჯიბუტი, ელგუჯა მექვაბიშვილი, თემურ ბერიძე, მიხეილ თოქმაზიშვილი, უშანგი სამადაშვილი და სხვ. ინსტიტუტის თანამშრომლებს თავიანთი შრომით მუდმივად შეჰქონდათ მნიშვნელოვანი წვლილი ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში და ქვეყნის საჭირბოროტო სოციალურ-ეკონო-

მიდკური პრობლემების გადაწყვეტაში. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი დიდი ხანია არის ეკონომიკური აზროვნებისა და კვლევის საყრდენი, რომელიც ხელს უწყობს ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებას, ინოვაციების ხელშეწყობასა და ჩვენი ქვეყნის განვითარებას.

ეს დიდებული ტრადიცია დღესაც გრძელდება. თანამედროვე ეტაპზე პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი მოწინავე პოზიციებზე გამოდის ქვეყნისა და უცხოეთის ეკონომიკურ სამეცნიერო საზოგადოებაში პროფესორ **რამაზ აბესაძის** ხელმძღვანელობითა და თანამშრომლების – აკადემიკოს **ვლადიმერ (ლადო) პაპავას,** პროფესორების: **ვახტანგ ბურდულის, მურმან კვარაცხელიას,** მთავარი მეცნიერი თანამშრომლების: **რევაზ ჯავახიშვილის, ლინა დათუნაშვილის, თეა ლაზარაშვილის, მამუკა ხუსკივაძის, ლია თოთლაძის,** ეკონომიკის დოქტორების: **თენგიზ ქავთარაძის, ეთერ კაკულიას, ნანა ბიბილაშვილის, ხათუნა ბერიშვილის, ნატა დავლაშერიძის, მარინე ცუცქირიძის, გიორგი ბრეგვაძის, თემურ გოგოხიას, ნუნუ ქისტაურის, ქეთევან ქველაძის, ნინო ჟორჟიკაშვილის,** მეცნიერი თანამშრომლების: **ზურაბ წერეთლის, მედეა მელაშვილის, ციცინო თეთრაულის, თამარ თაფლაძის, ზურაბ ნოზაძის, ქრისტინე კურატაშვილის** აქტიური მონაწილეობით. როგორც ამ დაწესებულების წევრს, მე მაქვს პრივილეგია, უშუალოდ შევესწრო ჩვენი ინსტიტუტის, მისი მკვლევარებისა და პერსონალის დაუღალავ შრომას.

როდესაც ჩვენ აღვნიშნავთ ამ მნიშვნელოვან იუბილეს, ჩვენ ასევე მოუთმენლად ვუყურებთ მომავალში. მსოფლიოში, რომელსაც ახასიათებს სწრაფი ტექნოლოგიური ცვლილებები, ეკონომიკური გაურკვევლობა და გლობალური გა-

მოწვევები, ისეთი დაწესებულების როლი, როგორიცაა პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, უფრო გადამწყვეტია, ვიდრე ოდესმე. ინსტიტუტის მუდმივი ერთგულება თანამედროვე კვლევის, ინოვაციური აზროვნებისა და ეკონომისტთა შემდეგი თაობის ფორმირებისადმი, კვლავაც ფასდაუდებელი იქნება წარმატებული და სამართლიანი მომავლის ჩამოყალიბებაში.

გულწრფელი მილოცვა და საუკეთესო სურვილები!

გიორგი ბერულავა

ემდ, პროფესორი, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ეკონომიკური თეორიისა და ბიზნესის პრობლემათა კვლევის განყოფილების ხელმძღვანელი

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი 80 წლისაა!

დიდი ილია ჭავჭავაძე თავის ამოუწურავ აზრთა კონაში საზოგადოებრივი ცხოვრების უამრავ მხარესთან ერთად, არც მეცნიერებასა და კულტურას უვლის გვერდს. მისი აზრით, მეცნიერება ერის გადარჩენის ერთ-ერთი მთავარი სფეროა. მეცნიერების გარეშე შეუძლებელია კაცობრიობის პროგრესი და, სწორედ მისი ძალით ვითარდება ქვეყნიერება და ადამიანთა ყოფა უკეთესობისაკენ მიისწრაფისო, ბრძანებს მოძღვარი. „ყველაფრის სიკვდილი შეიძლება, აზრისა კი თავის დღეში არა. ამაშია მთელი იმედი კაცობრიობის უკვდავებისა, იმიტომ, რომ გრეხილი აზრისა გაუწყვეტელია... მეცნიერებას და ხელოვნებას ჩვენ ვუყურებთ, როგორც ცხოვრების გასაუმჯობესებელ ღონისძიებათა“.

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ილია მართალი საერთო ბალავარზე აშენებს მეცნიერებასა და ხელოვნებას. ეს ორი ძლიერი ძალა ერის თვითმყოფადობისა და იდენტობის უცილობელი დასტურიცაა უთუოდ. ამით ის პირდაპირ თუ ირიბად ერის მთავარ ტრიადამდე მიდის, – „მამული, ენა, სარწმუნოება“! სწორედ მასშია ჩაბეტონებული მეცნიერების საყოველთაო მნიშვნელობაც და ხელოვნების უცილობელი სიდიადეც.

„იდეალური მდგომარეობაა, – აგრძელებს წიაღსვლას დიდი წმინდანი, – როცა ადამიანს აქვს გამეცნიერებული სარწმუნოება და გასარწმუნოებული მეცნიერება, ცოდნა და რწმენა არ უპირისპირდება ერთმანეთს. ამის შემდეგ უფრო საოცარ აზრამდე მიდის დიდი მოაზროვნე და ასკვნის: მარტო ცოდნა რწმენის გარეშე ხშირად გამხდარა ამპარტავნების მიზეზი. რწმენაც **საღმრთო ცოდნის** გარეშე არაერთ-

გზის გამხდარა ფანატიზმის მიზეზი. ძალზე საჭიროა მეცნიერების სხვადასხვა დარგის შესწავლა, მაგრამ ყველაფერს საფუძვლად მაცხოვნებელი რწმენა უნდა ედოს“.

აქ ნათლად იკვეთება მეცნიერული აზროვნების არამიწიერი ძალა და მისი სინერგიული სიდიადე. მეცნიერება, დიდი ილიას აზრით, **„საღმრთო ცოდნაა“,** კაცობრიობის წინ წამწევი მარადჟამს!

მეცნიერების უამრავ დარგთა შორის, ეკონომიკური მეცნიერება ერთ-ერთი უმძლავრესი სფეროა მისი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობით. სწორედ ეს ჰქონდათ სულით ხორცამდე გააზრებული ჩვენს უახლოეს წინაპრებს, როდესაც მეორე მსოფლიო ომის დროს, ქვეყნისა და კაცობრიობის ბედი ბეწვზე რომ ეკიდა, თბილისში, ახლად ჩამოყალიბებულ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში, ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი დაეფუძნებინათ. რაოდენ შორსმჭვრეტელობა გამოიჩინა მაშინდელმა ქვეყნის ხელისუფალმა, ახალგაზრდა მეცნიერ, აკადემიკოს პაატა გუგუშვილთან ერთად, შეექმნათ ჯერ კიდევ ჩანასახოვან მდგომარეობაში მყოფი ეკონომიკური მეცნიერების განვითარებისათვის მეცნიერული კადრების სამჭედლო – ფლაგმანი! მთავარია, ინსტიტუტმა უამრავ ისტორიულ ქარტეხილებს გაუძლო და დღესაც სახელოვნად აგრძელებს წლებგამოვლილ ტრადიციებს. მისი მეცნიერული პოტენციალი ახლაც ძველი შემართებით იღწვის აზროვნების ქურაში გამოწრთობილი დღევანდელი მეცნიერული კვლევის უმაღლესი შედეგებისთვის.

დროთა მდინარებამ უფრო გააფართოვა მეცნიერული კვლევები ახალ რეალობასა და გარემოებაში. ინსტიტუტის ხელისუფალთა კოჰორტაში ყოველთვის გამოირჩეოდნენ მაღალი ზნეობის, რაციონალური აზროვნების, მეცნიერების

ზეგარდმო ნიჭით მირონცხებული **„საღმრთო ცოდნის“** მამულიშვილები. მის მწვერვალზე საპატიო ადგილი მიუჩინა მადლიერმა შთამომავლობამ დიდ მეცნიერ-მკვლევარს, ეპოქალური მეცნიერული შრომების ავტორს, მეცნიერების სწორუპოვარ ორგანიზატორს, ერის სასახელო შვილს, აკადემიკოს **პაატა გუგუშვილს.** დიდად საამაყოა მის მოწაფეთა რიგებს დღესაც ამშვენებენ და საუკუნოვან ტრადიციებს აგრძელებენ საერთაშორისო დონეზე აღიარებული მეცნიერები, აკადემიკოსი **ვლადიმერ პაპავა,** პროფესორი **რამაზ აბესაძე** და სხვები. სულმნათთა სამწყსოს ამშვენებენ **გია წერეთლის, ავთანდილ გუნიას, გიორგი პაპავას** და სხვათა სახელები.

დღეს, დედა-უნივერსიტეტის ფრთებქვეშ შეყუჟული პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი ღირსეულად აგრძელებს თანამედროვე, ინოვაციურ აზრთან ჭიდილს, უანგარო მოღვაწეობას და საყურადღებო მეცნიერულ კვლევებს აწვდის ქვეყანას. წლების განმავლობაში დამკვიდრებული წესებით, მეცნიერული კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიით აღჭურვილი მეცნიერთა გამოცდილი თაობა, ყველა მისი საქმიანობის ორგანული ნაწილია და დიდი სიამაყით დააბიჯებს ამ სამყაროში.

ვულოცავ ჩვენს მშობლიურ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტს იუბილეს!

მურმან კვარაცხელია

ემდ., პროფესორი, პაატა გუგუშვილის სახელობის
ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

მილოცვა ჩემს ინსტიტუტს - ქართული ეკონომიკური მეცნიერების კერას

1944 წელს, ეკონომიკის ინსტიტუტის შექმნას პროფესორ პაატა გუგუშვილის თაოსნობით და ხელმძღვანელობით, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში ეკონომიკური მეცნიერების განვითარებისათვის. ათწლეულობის განმავლობაში სწორედ ამ ინსტიტუტის კედლებში მიღებული ცოდნითა და დაგროვებული გამოცდილებით ჩამოყალიბდა კვალიფიციური სამეცნიერო კადრები, რომელთაც უდიდესი წვლილი შეჰქონდათ და ახლაც შეაქვთ ქვეყანაში ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში თუ პრაქტიკულ სარბიელზე. ამჟამად, ინსტიტუტი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნაწილია და არსებითად ზრდის უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალს.

დღეს, მსოფლიოში არსებული გლობალური გამოწვევების, სწრაფი ტექნოლოგიური ცვლილებების ფონზე აღსანიშნავია პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სწრაფვა იყოს მოწინავე თანამედროვე კვლევის, ინოვაციური აზროვნებისა და ეკონომისტთა თაობის აღზრდის საქმეში.

ათწლეულების განმავლობაში ინსტიტუტის წარმატებებს, წინსვლასა და განვითარებას განაპირობებდა უდიდეს მეცნიერთა ხელმძღვანელობა, როგორებიც იყვნენ: აკადემიკოსები **პაატა გუგუშვილი, ავთანდილ გუნია და ვლადიმერ პაპავა,** პროფესორი **გიორგი წერეთელი.**

თანამედროვე ეტაპზე კი პროფესორ **რამაზ აბესაძის** თაოსნობით ინსტიტუტის განვითარება ახალ ეტაპზე გადავიდა, რაც უკავშირდება არა მხოლოდ უაღრესად საინტერესო

ფუნდამენტური თუ გამოყენებითი კვლევების განხორციელებას, არამედ ინსტიტუტის საერთაშორისო ცნობადობის გაზრდას, თანამედროვეობის შესაბამისი მაღალი დონის საერთაშორისო სამეცნიერო და მედია გამოცემების დაფუძნებას. ეს კი კიდევ უფრო პერსპექტიულს ხდის ინსტიტუტს. ასევე ხასგასასმელია, რომ ინსტიტუტი გადაურჩა დახურვას, მაშინ როდესაც საქართველოში ყველა სხვა ეკონომიკური პროფილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი დაიხურა. ეს, რასაკვირველია, ინსტიტუტის ხელმძღვანელობისა და მთელი კოლექტივის თავდადებული მუშაობის დამსახურებაა.

ჩემთვის დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტში მოღვაწეობა, ინსტიტუტში, რომელიც ეკონომიკის მიმართულებით ერთადერთია საქართველოში და უძველესი კავკასიის რეგიონში. ძვირფასია ის გზა, რაც გავიარე ამ ინსტიტუტში. გავიარეთ ჩვენ ყველამ, ვუერთგულეთ და ჩვენი წვლილი შევიტანეთ ინსტიტუტის წინსვლასა და განვითარებაში.

იმედიანად ველოდებით ახალ, თანამედროვე სტანდარტების შესაბამის შენობას და დარწმუნებული ვარ კიდევ არაერთი წარმატებული წელი გვაქვს წინ.

ვულოცავ ინსტიტუტის ხელმძღვანელობას და მთელ კოლექტივს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და შემდგომ წინსვლასა და წარმატებებს ვუსურვებ.

ლია თოთლაძე

ეკონომიკის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი,
პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის
ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი იუბილარია

პატივცემულო კოლეგებო,

გილოცავთ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 80 წლის საიუბილეო თარიღს!

1944 წელს, ურთულეს გეოპოლიტიკურ ვითარებაში, გამოჩენილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს **პაატა გუგუშვილის,** მიერ უდიდესი ძალისხმევით ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსება, საქართველოზე და საქართველოში ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაზე ფიქრით იყო ნაკარნახევი. დაარსების დღიდან ინსტიტუტი გახდა მძლავრი ეკონომიკური კვლევების სკოლა და თანამედროვე ეტაპზეც აგრძელებს წარმატებულ საქმიანობას. 80 წლიანი ისტორიის მანძილზე ინსტიტუტს მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ჩვენი ქვეყანაში ეკონომიკური აზრის განვითარებაში, სხვადასხვა სახის სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების განხორციელებაში. განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ინსტიტუტის როლი და მნიშვნელობა პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში, დამოუკიდებელ საქართველოში, საბაზრო-ეკონომიკური სისტემის დამკვიდრებაში. ეკონომიკის ინსტიტუტის მრავალმხრივი აღიარებები და წარმატებები დაკავშირებულია მის ცნობილ დირექტორებთან, ისეთ აღიარებულ მეცნიერებთან როგორებიც იყვნენ: აკადემიკოსი **პაატა გუგუშვილი,** აკადემიკოსი **ავთანდილ გუნია,** აკადემიკოსი **ვლადიმერ პაპავა** და პროფესორი **გიორგი წერეთელი,** ხოლო ამჟამინდელი მიღწევები კი უკავშირდება ცნობილ მეცნიერს, პროფესორ **რამაზ აბესაძეს,** ინსტიტუტის კოლექტივთან ერთად.

ეკონომიკის ინსტიტუტის არსებობის მანძილზე საკმაოდ მრავლად იყო რთული და წინააღმდეგობრივი პერიოდები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მიღებული მცდარი პოლიტიკური გადაწყვეტილება, რამაც დიდი დარტყმა მიაყენა სამეცნიერო--კვლევით ინსტიტუტებს და რომ არა ინსტიტუტის თავდადებული შრომა, ინსტიტუტის დირექტორის პროფესორ **რამაზ აბესაძის** ძალისხმევა და შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაშინდელი ხელმძღვანელობის თანადგომა ინსტიტუტი, შეიძლება ითქვას, განწირული იყო დახურვისათვის. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განსაკუთრებული თანადგომა და ზრუნვა თვალსაჩინო იყო აკადემიკოს **ვლადიმერ პაპავას** რექტორობის დროს, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო არენაზე წარმოჩენაში და მისი სახელოვანი ისტორიის შექმნაში.

ეს ტენდენცია ახლაც გრძელდება, ვინაიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახლანდელი ხელმძღვანელობის გაცხადებული პოლიტიკა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან დაკავშირებით არის მაქსიმალური ინტეგრაცია საუნივერსიტეტო სივრცეში და მათი მდიდარი სამეცნიერო პოტენციალის განვითარებისთვის ხელშეწყობა.

მაქვს პატივი, თითქმის სამი ათეული წელია, ვიყო ეკონომიკის ინსტიტუტის ერთიანი და ძლიერი კოლექტივის წევრი. მადლობა მინდა გადავუხადო ინსტიტუტის ყველა თანამშრომელს, რომლებთან ურთიერთობამაც მომცა პროფესიული და მოქალაქეობრივი განვითარების შესაძლებლობა. მოწიწებით გავიხსენებ ყველა გარდაცვლილ თანამშრო-

მელს, რომელთა გარკვეული ნაწილი ნაადრევად წავიდა ამ ქვეყნიდან.

კიდევ ერთხელ ვულოცავ თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტს ღირშესანიშნავ საიუბილეო თარიღს და ყველა თანამშრომელს ვუსურვებ მრავალფეროვან შემოქმედებით წარმატებებს. მჯერა, რომ ეკონომიკის ინსტიტუტის მომავალი ისტორია არანაკლებ სასახელო იქნება, ვიდრე წარსული.

მამუკა ხუსკივაძე

ეკონომიკის დოქტორი, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, მაკროეკონომიკის, მდგრადი განვითარებისა და ფინანსების განყოფილების ხელმძღვანელი

მილოცვები უცხოეთიდან

მოგესალმებით კონფერენციის მონაწილე ქალბატონებო და ბატონებო

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი მთელი ჩვენი ოჯახისთვის თავიდანვე სათაყვანებელი რამ იყო და ასეთად რჩება ამჟამადაც.

როგორც მახსოვს, პირველად ინსტიტუტს ვეწვიე 5-6 წლის ასაკში, ალბათ სადღაც 1950 წელს, „იმელ"-ის შენობაში. დამამახსოვრდა – უზარმაზარი დარბაზი, მასში მასიური კარები და კარს იქით დიდი, დიდი ნათელი ოთახი სადაც ბევრი მაგიდა იდგა, რომელთაც ადამიანები უსხდნენ და წიგნებს კითხულობდნენ, წერდნენ. შემდეგ ინსტიტუტის მდიდარ ბიბლიოთეკით ვსარგებლობდი სადიპლომო და საკანდიდატო ნაშრომების დაწერისას. ინსტიტუტის თანამშრომლები და განსაკუთრებით ბატონები: ბექირბი ხასია, ვახტანგ კახეთელიძე, აპოლონ ნუცუბიძე ხშირად მიწევდნენ მეცნიერულ კონსულტაციებს.

განსაკუთრებით მჭიდრო საქმიანი ურთიერთობა გამიჩნდა ეკონომიკის ინსტიტუტთან მას შემდეგ რაც მეცნიერებათა აკადემიის ინფორმაციის ცენტრის ეკონომიკის განყოფილების გამგე გავხდი და ეს ურთიერთობა თითქმის 20 წელი გრძელდებოდა, 1990 წლამდე.

ამ განყოფილების მოვალეობა იყო ქართული ეკონომიკური მეცნიერებისა და პირველ რიგში აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის ინფორმაციული მომსახურება. განყოფილება ამზადებდა, გამოსცემდა და საბჭოთა კავშირის, სოციალისტური ქვეყნების მასშტაბით ავრცელებდა საქართველოში გამოცემული ეკონომიკური მეცნიერული პუბლიკაციების ყოველწლიურ სრულ ბიბლიოგრაფიას ქართულ და რუ-

სულ ენებზე, გამოცემული წიგნების რეფერატების ყოველ-წლიურ კრებულებს რუსულ ენაზე, თემატურ რეფერატიულ მიმოხილვებს რუსულ ენაზე. ამას გარდა, განყოფილება ეკონომიკის ინსტიტუტთან შეთანხმებით და დაკვეთით ამ-ზადებდა უცხოური სამეცნიერო ლიტერატურის თემატურ ბიბლიოგრაფიებს, თემატურ რეფერატიულ მიმოხილვებს და მეცნიერული ნაშრომების შერჩევით თარგმანებს.

სასიხარულოა, რომ ეკონომიკის ინსტიტუტმა გაუძლო 1990-იანი წლების ქარტეხილებს, გარდაქმნებს რამაც ბევრი სასარგებლო ინსტიტუცია მოსპო, დაანგრია და დღესაც წარმატებით განაგრძობს 80 წლის წინ დაწყებულ საქმეს.

ეკონომიკის ინსტიტუტის თანამშრომლებს, მის ხელ-მძღვანელობას, ბატონ **რამაზ აბესაძეს** რომელთანაც სის-ტემატური პირადი მეგობრული კავშირი მაქვს, კონფერენ-ციის მონაწილეებს ვულოცავ ინსტიტუტის დაფუძნების მე--80-ე წლისთავს, ვუსურვებ შემდგომ შემოქმედებით წარმა-ტებებს, წინსვლას ქართველი ერის სასარგებლოდ მეცნიე-რულ კვლევასა და პირად ცხოვრებაში.

ბესარიონ გუგუშვილი

ზვიად გამსახურდიას მთავრობის პრემიერ მინისტრი

ფინეთი, ვანტა 2024 წლის 14 სექტემბერი

Dear Professor Abesadze,

Our congratulations on the 80th anniversary of your Institute and 15 th jubilee of the scientific-analytical journal "Ekonomisti". Wishing your Team a very productive and useful scientific-research work for development sustainable future of your wonderful ancient country.

We, in the UN SDSN, looking forward to enlarge cooperation with your Institute.

Yours Sincerely,

Jeffrey D. Sachs

Professor at Columbia University in New York

President at the UN SDSN, New York, USA

Директору Института экономики
имени Паата Гугушвили
Тбилисского государственного Университета
имени Иванэ Джавахишвили,

профессору Рамазу Абесадзе

Дорогие коллеги и друзья!

Дирекция и сотрудники Института экономики Российской академии наук сердечно поздравляют вас с замечательным юбилеем – 80-летием со дня основания вашего Института.

Институт экономики имени Паата Гугушвили был создан как ведущий центр экономической мысли Грузинской ССР. За прошедшие десятилетия Институт внес огромный вклад в развитие научной мысли Грузии в области экономики, в становление и развитие системы подготовки кадров высшей квалификации, создание научных школ.

В настоящее время исследования вашего Института актуальны и тесно увязаны с основными задачами развития национальной экономики Грузии и глобальными вызовами.

Институт экономики Российской академии наук и Институт экономики имени Паата Гугушвили связывает научное сотрудничество, взаимное участие в проводимых нашими институтами конференциях, в публикациях по их итогам.

Мы уверены, что творческие связи между нашими коллективами будут и дальше развиваться, взаимно обогащая нас новыми знаниями.

Дорогие друзья! В этот праздничный день желаем вам творческих успехов в вашей благородной деятельности, направленной на процветание вашей прекрасной страны.

Директор Института экономики
Российской академии наук,
член-корреспондент РАН Головнин *Головнин М.Ю.*

THE JOHN PAUL II CATHOLIC
UNIVERSITY OF LUBLIN
FACULTY OF SOCIAL SCIENCES

CENTRE OF SOCIOLOGICAL

RESEARCH ON THE ECONOMY

AND THE INTERNET

Dr. Alina Betlej 11th September 2024

Head of the Centre of Sociological Research on the Economy and the Internet

The John Paul II Catholic University of Lublin, Poland

Distinguished Professor **Ramaz Abesadze**

Dear Distinguished Professor,

It is with great pleasure and honour that I extend to you my sincere congratulations on the 80th anniversary of the Paata Gugushvili Insitute of Economics. For many years we have been impressed by the research and projects carried out by this noble Institute, which has become a permanent part of the history of Georgian science.

May my congratulations be an expression of the great appreciation of the Polish scientists of the John Paul II Catholic University of Lublin for the merits and achievements of the scientists co-creating such a beautiful and inspiring history of The Paata Gugushvili Institute of Economics. I wish the authorities, academics, researchers and all friends of the Institute every success in their academic endeavours! May your beautiful history become a fruitful ground for the future!

Yours sincerely,

Alina Betlej

Alina Betlej

Al. Racławickie 14 | 20-950 Lublin | Poland | www.kul.pl

Dear Colleagues,

On behalf of Mariupol State University (Ukraine), it is a great honor to extend our sincerest congratulations to the Institute of Economics on the occasion of its 80th anniversary. This impressive milestone reflects not only the Institute's rich legacy but also its unwavering dedication to advancing economic science and research. Over the past eight decades, the Institute has earned its place as a leading institution, shaping the economic discourse both in Georgia and internationally.

Founded in 1944 by the esteemed academician **Paata Gugushvili**, the Institute has consistently been at the forefront of tackling key theoretical and practical issues in fields such as political economy, economic theory, sociology, and demography. The visionary leadership of its directors, academicians **Avtandil Gunia, Vladimer Papava**, Professor **Giorgi Tsereteli**, and the current director, Professor **Ramaz Abesadze**, has been instrumental in guiding the Institute through pivotal periods of economic transition and development.

We are particularly proud of our long-term and productive partnership with the Institute of Economics. Our collaboration has fostered a shared commitment to academic excellence, research innovation, and the advancement of economic thought. Through jo-

int projects, conferences, and scholarly exchanges, our institutions have strengthened ties, enriched the academic experience, and contributed to a deeper understanding of the complexities of modern economies. This partnership stands as a testament to the enduring importance of international academic cooperation.

The Institute's notable achievements, including its contributions to the post-communist transformation, Eurointegration, and the development of innovative economies, have had a profound impact not only in Georgia but across the global academic community. The Institute's dedication to high-quality research, as evidenced by its many publications and international recognition, is a source of inspiration for all of us.

As the Institute of Economics celebrates this remarkable 80th anniversary, we at Mariupol State University wish the entire academic community continued success in all their future endeavors. We are confident that the Institute will continue to flourish and lead the way in economic research, contributing to the prosperity and development of not only Georgia but the global economy.

With warmest regards and best wishes for the future,

Professor Anna Chechel,

Head of Department (Public Management and Administration), Mariupol State University, Visiting Academic, Cambridge Judge Business School

==========

Dear Professor Abesadze,
Dear Colleagues,

Our Congratulations with 80th anniversary of your Institute and 15th
jubilee of the scientific- analytical journal „Ekonomisti.“
I really regret very much that have no possibility to be with all of You
during this very important and considerable dates.
Wish all of You to have productive and useful discussions during the International conference that will be held in October 19, 2024 and hope very much for
development cooperation between our research institutions asap.

Warm regards,
Joshua Bernstein
Professor of Economics at New York University
Vice-president at General International Services (GIS,Inc.) New York,USA.

Dear Professor Abesadze,
Dear Colleagues,

Our Congratulations with 80th anniversary of your Institute and 15th
jubilee of scientific-analytical journal “Ekonomisti”. Wish all of You to have an

interesting and fruitful events dedicated to the anniversary of your Institute
and journal.

Yours sincerely,
Elisabeth Tuerk
Director of Economic Cooperation and Trade Division at
UN Economic Commission for Europe
Geneva, Switzerland

Dear Professor Abesadze,

Our congratulations with celebration of 80 th anniversary of your Institute and 15 th jubilee of founding scientific – analytical journal " Ekonomisti".
Wishing your Team a very productive scientific research work in the years to come.
Hope very much that we will be able to deep a useful and productive

cooperation in the nearest future.

Yours sincerely,
Frank Araujo
Professor of Economics,
University of California at Berkeley. California, USA.

სარჩევი

სახელოვანი 80 წელი (რამაზ აბესაძე) 3
პაატა გუგუშვილი 26
ავთანდილ გუნია 29
ვლადიმერ (ლადო) პაპავა 32
გიორგი წერეთელი 37
რამაზ აბესაძე 40
წარსულიდან დღევანდელობამდე –
პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი - 80 (რამაზ აბესაძე) 44
PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS – 80
(Ramaz Abesadze) 59
ИНСТИТУТ ЭКОНОМИКИ ИМИНИ ПААТА ГУГУШВИЛИ – 80 (Рамаз Абесадзе) 64

მილოცვები

ჯაბა სამუშია 72
როინ მეტრეველი 75
ვლადიმერ (ლადო) პაპავა 77
ლია მელიქიშვილი 80
კახაბერ ჭეიშვილი 81
ერეკლე ასტახიშვილი 83
ლაშა საღინაძე 85
ავთანდილ სილაგაძე 87
ნოდარ ჭითანავა 88
პაატა კოღუაშვილი 91
მიხეილ ჯიბუტი 92

სოლომონ პავლიაშვილი 94
გიორგი ღაღანიძე 96
რევაზ გოგოხია 99
ავთანდილ სულაბერიძე 101
ელგუჯა მექვაბიშვილი 105
თემურ შენგელია 107
ეთერ ხარაიშვილი 111
რევაზ გველესიანი 117
გულნაზ ერქომაიშვილი 119
ნაზირა კაკულია 122
მარინა მუჩიაშვილი 125
თეა ლაზარაშვილი 127
ლინა დათუნაშვილი 129
რევაზ ჯავახიშვილი 131
ვახტანგ ბურდული 136
გიორგი ბერულავა 139
მურმან კვარაცხელია 142
ლია თოთლაძე 145
მამუკა ხუსკივაძე 147

მილოცვები უცხოეთიდან

ბესარიონ გუგუშვილი 152
Jeffrey D. Sachs 154
Головнин М.Ю. 155
Alina Betlej 156
Anna Chechel 157
Joshua Bernstein 159
Elisabeth Tuerk 159
Frank Araujo 160

გამოცემაზე მუშაობდნენ ლელა წიკლაური
და ნინო ებრალიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი 2024

0128 თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 1
1, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0128
Tel 995(32) 225 04 84, 6284/6279
https://www.tsu.ge/ka/publishing-house